# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 11 მარტი 2000 №66 (1088) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

2

### ჟორდანია დინამოს ანგრევს და ბათუმს ეხმარება

ამბობს ვაჟა ჟვანია

2

### ლევან ყიფიანი: გაიოზ დარსაძე უალტერნატივოა...

უმცროსი ყიფიანი ბავშვთა ლიგაზე და მწვრთნელთა განათლებაზე

3

### უფალო, შეგვიწყალე!

ნუ დასდევთ მინდორზე ბავშ..ებს მანქანით!





განტერესებთ, რას მოგვითხრობს მიხეილ მესხი (ცხადია, გულწრფელად!) ნოდარ ახალკაცზე, კონსტანტინ ბესკოვზე, 300 ათას მანეთ ქრთამზე, დიდ მიშაზე და ბევრ სხვა რამეზე?

განტერესებთ, რას ნიშნავს ბემ, ბემ, ბემ! ანუ რა მოსწონს და რა არა უელსელ გრეჰემას ქართულ რაგბიში?

განტერესებთ, როგორ ვითარდებოდა საფეხბურთო ტაქტიკა ან რას ამბობს ვლადიმერ სტეფანიაზე ექსკლუზიურ ინტერვიუში მეჯიქ ჯონსონის დუბლიორი დევიდ რივერსი?

შეიძინეთ

ჟურნალ სარბიელის

მეორე ნომერი,

*რომელიც პირველზე ლარით იაფია და ორშაბათიდან იყიდება*

ფასი 2 ლარი


# ფინკე იაშვილზე: ეს იაში ის იაშია!

## პატარა ქართველმა ფრაიბურგი გასწია



REUTERS ფოტოქრონიკა

ჩემი ქართველები ჩემთან: ფოლკერ ფინკე ალექსანდრე იაშვილთან და ლევან კობიაშვილთან ერთად

— ეს იაშვილის საღამო იყო — წერდა ორშაბათის „შპორტი" „დუისბურგ" — „ფრაიბურგის" და „დორტმუნდ" — „ლევერკუზენის" კვირის მატჩებით დასრულებული ბუნდესლიგის ოცდამერვე ტურის შემდეგ.

ალექსანდრე იაშვილის თამაშით აღფრთოვანებული დარჩა „ფრაიბურგის" თავკაცი ფოლკერ ფინკეც, იმ „იაშში" კი ფინკემ შარშანდელი ბუნდესლიგის საწყის რვა მატჩში 6 ბუნდესგოლის გამტანი იაშვილი იგულისხმა.

ქართველმა თავდამსხმელმა 16-თვიანი პაუზის შემდეგ კვლავ აღმართა საჩვენებელი თითი — მატჩის მიწურულს კი გერმანული პრესისგან „პატარა ქართველად" მონათლულმა ულამაზეს გოლს საგოლე პასიც დაურთო. „ფრაიბურგმა", რომლის რიგებშიც იაშვილის გარდა ლევან კობიაშვილი და ამჟამად ტრავმირებული ლევან ცქიტიშვილი ირიცხებიან, სტუმრად 2:1 მოიგო და გასავარდნთა ზონას გვარიანად დასცილდა — დათარსული მეცამეტე საფეხური „დორტმუნდს" გაუცვალა.

იხილეთ მეექვსე გვერდი

# ვიმარჯვებ, ესე იგი, ვარსებობ

## მიხაელ შუმახერის 38-ე ტრიუმფი და 600 ქულა!

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

კვირას იმოლას ავტოდრომზე სან მარინოს დიდი პრიზის გათამაშება მიხაელ შუმახერის მორიგი ტრიუმფით დასრულდა. ეს გერმანელი პილოტის ზედიზედ მესამე გამარჯვებაა ამ სეზონში.

შუმის საათივით აწყობილი სუპერ-ფერარი კონკურენტ „მაკლარენზე" ბევრად საიმედოცაა და შარშანდელზე სწრაფადაც დაქრის.

ძნელი სათქმელია, სეზონის ბოლომდე კიდევ რამდენი რბოლის მოგებას შეძლებს გერმანელი პილოტი, ის კი დღესავით ნათელია, რომ მისთვის მესამე ტიტულის მოპოვებაში ხელის შემშლელი ჯერჯერობით არავინ ჩანს.

მართალია, ფინიშამდე კი არა, ჯერ პირველობის შუა წელამდეც ბლომად მანძილია, მაგრამ ასეთ ბარაქიან უპირატესობას შუმისნაირი პროფესიონალები ქარს რომ არ ატანენ, ლაპარაკიც ზედმეტია.

ისე, 1994 წელს მიხაელს უკეთესი შედეგიც კი ჰქონდა — ზედიზედ ოთხი მოგება, თუმცა მაშინ ის „ბენეტონის" ღირსებას იცავდა. „ფერარის" პილოტს სამ სასტარტო ეტაპზე 1953 წელსაც გაუმარჯვია: ლეგენდარულმა ალბერტო ასკარიმ არგენტინის, ჰოლანდიისა და ბელგიის დიდი პრიზები დაისაკუთრა და ჩემპიონობაც არავის დაანება.

შუმახერს გაშინწინდელმა, კარიერაში 38-ე მოგებამ ზუსტად 600 ქულა შეუსრულა და ორიოდ თვეში იქნებ თვით „ჯადოქარ" სენას მიღწევებიც დაამხოს.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



AP ფოტოქრონიკა

მიხაელ შუმახერი

# ვაჟა ქვანია: ჟორდანია ბათუმს ეხმარება

*ამას წინათ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ სენსაციური განცხადება გააკეთა — თბილისის „დინამო" რამდენიმე წელია უკანონოდ არსებობს, კლუბს იუსტიციის სამინისტროში ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია, ჩემი პრეზიდენტობის დროსაც უკანონო გადაწყვეტილებები მიგვიღიაო. „დინამოში" კი სრულიად საპირისპირო ხდება. მათ კლუბის პრეზიდენტიც აირჩიეს, გენერალური მდივანიც, სტრუქტურულადაც თითქმის ყველაფერი ჩამოაყალიბეს. ამასთან დაკავშირებით მერაბ ჟორდანია ამბობს, „დინამოში" თანამდებობების დანაწილება ნაადრევიაო. მოკლედ, რამდენიც უნდა ვთქვათ, ფედერაცია — „დინამოს" დაპირისპირება აშკარაა. ეს მას შემდეგ უფრო გაცხადდა, რაც ფედერაციამ დინამოელ მიხეილ აშვეთიას ტრანსფერი შეაფერხა ვლადიკავკაზურ „ალანიაში". ყოველივეს, გეხსომებათ, დიდი ამბავი მოჰყვა. ფედერაცია არც ანჩაბაძეს აძლევდა „ალანიაში" თამაშის უფლებას, თუმცა... მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციამ რუსეთში ბოლოს მაინც გაგზავნა ანჩაბიძის ტრანსფერი, „ალანიამ" ფეხბურთელი საჩემპიონატოდ ვერ განაცხადა. რა მოხდა? რა ხდება? რატომ დაიძაბა ფედერაცია — „დინამოს" ურთიერთობა? ამის თაობაზე მერაბ ჟორდანიამ თავისი უკვე თქვა. ახლა „დინამოს" გენერალურ მდივან ვაჟა ქვანიას ნალაპარაკევი წაიკითხეთ. მას, გუშინ, შინ ვესტუმრეთ და... საუბარი გიორგი ანჩაბაძის „ალანიაში" არ თუ ვერ გადასვლის მიზეზით დავიწყეთ.*

— „დინამომ" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კლუბიდან ანჩაბიძის განთავისუფლების ოფიციალური ფურცელი გაუგზავნა, ფედერაციამაც ამის საფუძველზე გასცა ფეხბურთელის საერთაშორისო ტრანსფერი რუსეთში — გვითხრა ვაჟა ქვანიამ — მიიღეს რუსებმა შესაბამისი სერთიფიკატი, მაგრამ ფეხბურთელი „ალანიას" განაცხაში ვერ მოხდა. სულ ცოტა ხნის წინ, პირადად ვესაუბრე „ალანიას" მწვრთნელ ვლადიმერ გუცაევს, რომელმაც ერთხელაც გამიმეორა, იცი, რომ ანჩაბაძე მე მჭირდება, კვიპროსზე შეკრებაზეც მყავდა და ძალიან მსურდა მას „ალანიაში" ეთამაშაო.

**— აბა რა მოხდა? რატომ არ თამაშობს ახლა ანჩაბაძე რუსეთში?**

— იცით, კვიპროსული შეკრებიდან ანჩაბაძე გუნდზე ადრე ჩამოვიდა. მოვიდა ჩვენთან და ტრანსფერი გვთხოვა, ჩვენ ვუთხარით, „ალანიაში" დაბრუნდი, ტრანსფერს უშენოდაც გავგზავნითო. მართლაც „დინამოდან" განთავისუფლების ფურცელი არ შეყოვნებულა. როგორც ვთქვი, სერთიფიკატი „ალანიამ" მიიღო და ანჩაბაძის განაცხადში შესაყვანად თითქმის დაბრკოლებაც არ იყო, მაგრამ ანჩაბაძეს, როცა ის „ალანიას" მოსკოვში შეუერთდა, „ალანიას" ხელმძღვანელთათვის არც პასპორტი მიუტანია, არც ორი ფოტოსურათი, რაც საგანაცხადოდ აუცილებელია. „ალანიამ" ველარაფერი მოახერხა. ანჩაბაძე ველარ განაცხადა. მაშინ ფეხბურთელი ამბობდა, რომ არ იცოდა რა ხდებოდა, მას სურდა „ალანიაში" თამაში. დაახლოებით კვირის წინ კი, თქვა, არც „დინამოში" დავბრუნდები, არც „ალანიაში" გადავალო. ეტყობა ფეხბურთელი ვიღაცამ „დაავერბოვკა", ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მოგვიანებით, როცა აღმოჩნდა, რომ ანჩაბაძეს შესაძლო იყო „ბათუმში" გაეგრძელებინა თამაში, ჩვენ მას შევხვდით და ყველაფერი პირში ვუთხარით, „დინამომ" ხუთი თვის ხელფასი მოგცა, პრემიები, სათაო თანხა, მანქანა, რა დაგიშავეთ, ადექი და თქვი, „დინამოს" შენთვის ხელი არ შეუშლია „ალანიაში" რომ გადასულიყავიო. მოკლედ, ანჩაბაძემ იცის, ჩვენგან მას დაბრკოლება არ ჰქონია. ახლა, ისევ „დინამოს" ფეხბურთელად ითვლება და ეროვნულ ჩემპიონატშიც ითამაშებს.



ვაჟა ქვანია

**— ვიღაცამ „დაავერბოვკაო". ვინ „ვიღაცამ"? ვის გულისხმობთ?**

— ხელს ვერ დავადებ, მაგრამ, ფაქტია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ალანია" ანჩაბაძის აყვანას აღარ აპირებს, მას გუნდში აღარ დაიტოვებსო. გამოდის, რომ ჟორდანია, შესაძლოა სხვა ვინმეც, „ალანიასთან" მოლაპარაკებული იყო და იცოდა, ანჩაბაძის ტრანსფერი ჩაიშლებოდა. იმასაც ვიტყვი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მერაბ ჟორდანიას სახით ეხმარება „ბათუმს", რათა თბილისის „დინამო" ჩაძიროს. ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. მან ხელი შეუშალა ჯერ აშვეთიას, ტრანსფერს, მერე ანჩაბაძისა და კიკნაძისას. ამ ტრანსფერებით „დინამო" ორ კაპიკს მიიღებდა და ვალებს გაისტუმრებდა. ფეხბურთის ფედერაციის ნამუსზე იყოს.

**— ფედერაციის პრეზიდენტი რომ ამბობს „დინამო" უკანონოდ არსებობდა, თანამდებობების დარიგება ნაადრევია — რეგისტრაცია არ აქვთ გავლილიო, ამის თაობაზე რას იტყვით?**

— 8 მარტს ჩატარდა კლუბის საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილი იყო არჩევნები ჩაეტარებინა. ყოფილი დირექტორატის წევრები შეიკრიბნენ და ყველაფერი სამართლებრივად გაკეთდა. კრებაზე ჟორდანიაც იყო მიწვეული, რომან შოთაძეც, მაგრამ არც ერთი მოვიდა. ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა, დამფუძნებლებმა კი პრეზიდენტად მერაბ რატიანი აირჩიეს, მე — გენერალურ მდივნად. საქართველოს კანონმდებლობით „დინამოს" ჩემპიონატში მონაწილეობა შეუძლია, საქმიანობის უფლება გვაქვს. ჟორდანიას კი სამართალი ეტყობა კარგად არ ესმის. ის „დინამოს" ანგრევს, ასე მოქცევა არ შეიძლება, არ აპატიებენ.

მან, რომან შოთაძემ, მიხეილ სურგულაძემ ჩამოიყვანეს ბოსკამპი, რა გააკეთეს ამით? ბოსკამპმა ვიღაც მეშახტე დე სოუზა მოძებნა, რომელიც „დინამომდე" სად თამაშობდა კაცმა არ იცოდა და 200 ათასი დოლარი ამ არაფრისმაქნის ფეხბურთელს მისცეს. რატომ, გეკითხებით!

ვალები რომ აქვს „დინამოს" სწორედ ამის გამოა. იაშვილის, კობიაშვილის, ცქიტიშვილის „ფრაიბურგში" ტრანსფერიდან „დინამოს" [illegible] შემოსულა, არც ალექსიძის [illegible] „ჩელსიდან". არადა 7-8 მილიონი მარკა [illegible] დოლარი [illegible] ფილიყო და „დინამოს" ანგარიშზე არც ერთი კაპიკი არ შემოსულა. ამ ვალებს კი, ვიდრე თქვენ მკითხავდეთ, თავად გეტყვით, სიხარულით გადავიხდით, ის ფული დააბრუნოს. „მრეტებისთვის" საკონპესაციო 300 ათასს დოლარსაც ჟორდანია გადაიხდის, რადგანაც „დინამოს" პრეზიდენტი მაშინ ის იყო. პასუხისმგებლობას ვერც ჟორდანია გაექცევა, ვერც შოთაძე. ფედერაციის პრეზიდენტი სწორედ ამიტომ არის გალიზიანებული...

**— ერთსაც კიკნაძეზე გკითხავთ და მოვრჩეთ. „ალანიაში" მის გადასვლას რამ შეუშალა ხელი?**

— ფეხბურთის ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა „დინამოს" უკითხავად თურქებს კიკნაძის ტრანსფერის დაბრუნება მოსთხოვა, „დინამოს" სურვილიაო. არადა, ძალიან კარგად იცოდა, ჩვენ კიკნაძე „სამსუნსფორში" განათხოვრებული გვყავდა. თურქებმა მომენტალურად გამოგზავნეს პასუხი, 2000 წლის 31 მაისამდე კიკნაძე ჩვენი ფეხბურთელიაო. მე ფიფას უკვე ვაცნობე ფედერაციამ რაც გააკეთა.

როცა „ალანიამ" „სამსუნსფორს" კიკნაძის ტრანსფერი სთხოვა და 90 ათასი დოლარის გადახდაზეც ყაბულს იყო, თურქებმა ოსებს შეუთვალეს, „დინამო" უკან ითხოვს ამ ფეხბურთელს და მათ გარეშე ტრანსფერს ვერ გამოგიგზავნით, ჯერ „დინამოსთან" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან გაარკვიეთ ურთიერთობაო. „სამსუნსფორი" კი იმ ფულს ითხოვს, რაც ფეხბურთელზე დახარჯული აქვს. კიკნაძე ახლა ჰაერშია გამოკიდებული. ხელფასს ვერსაიდან იღებს, გუცაევი ამბობს, ტრავმას როცა მოიშუშებს მერე შევხედავ და ვნახოთ, იქამდე შესაძლოა რამე მოგვარდესო.

რაც ზემოთ ვთქვი სიმართლეა, ყველაფერს დავამტკიცებ, დოკუმენტები მაქვს.

**ქობა ინასარიძე**

---

# ლევან ყიფიანი: დარსაძე უალტერნატივოა...

**ᲒᲣᲨᲘᲜ** სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გამართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ყიფიანმა. მან ძირითადად ბავშვთა ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და ხუთიოდე ჟურნალისტის წინაშე ერთგვარი ანგარიშითაც წარსდგა. ყიფიანის თქმით, სფფ-ს დაქვემდებარებაში მყოფი ეს კომიტეტი ბავშვთა ფეხბურთში არსებული პრობლემების ძირეულად შეცვლას ცდილობს და საამისოდ ყველაფერს აკეთებს. რას შეძლებენ ყიფიანი და მის გვერდით მდგომი ადამიანები, ამას მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავკაცის გუშინდელ ნაუბარს გაგაცნობთ:

„შეუძლებელია ბავშვთა ფეხბურთის განვითარება პრესის დაუხმარებლად. თქვენ უნდა შეძლოთ ამ სფეროს პოპულარიზაცია. ბავშვთა ფეხბურთში რომ დიდი გამოცოცხლება შეინიშნება, ამაში ახლავე დაგარწმუნებთ. სფფ-ს დიდი მცდელობით ამას წინათ ჩამოყალიბდა ბავშვთა ლიგა. თავდაპირველად ქვეყნის ყველა რეგიონში ჩატარდა შესარჩევი ეტაპი და გამოვლინდა 12 საუკეთესო გუნდი, რომელმაც ფინალურ ეტაპზე განაგრძო ბრძოლა. ფინალური ეტაპი 2 აპრილს დაიწყო და უკვე ორი ტურიც მიილია, მაგრამ გუნდებს შორის საოცრად დიდი სხვაობაა — ორი-სამი მათგანი შესამჩნევად სჯობს დანარჩენებს, მაგრამ მთავარია, რომ ლიგამ ფუნქციონირება დაიწყო და ნელ-ნელა ყველაფერი გამოსწორდება. ბავშვთა ლიგას ამ ეტაპზე სფფ აფინანსებს, ნორჩ ფეხბურთელებს ბურთები და ფორმები არ აკლიათ. ჩვენს წამოწყებას რეგიონებმაც აუბეს მხარი. ბათუმმა, გორმა, ქუთაისმა, ბოლნისმა, ზუგდიდმა ცენტრალური სტადიონები დაუთმეს ბავშვთა ლიგის მატჩებს. წარმოიდგინეთ, ბოლნისში ნორჩთა თამაშს 1000 მაყურებელი ჰყავდა, 500 კაცი იყო გორში, სადაც ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდაც გახსნეს ლიგის თამაშები. ბავშვთა ლიგა წლეულს ორ ეტაპად გაიმართება გაზაფხულ-შემოდგომის პრინციპით და ნოემბერში დასრულდება."

ამის შემდეგ ლევან ყიფიანი ქართული ფეხბურთის ყველაზე მტკივნეულ პრობლემასაც შეეხო ზოგადად. „საქართველოდან თექვსმეტწლამდე ნორჩი ფეხბურთელები დიდი რაოდენობით გაედინებიან. მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე საზღვარგარეთ 15 ასეთი ფეხბურთელი წავიდა. ეს ძალიან დიდი ციფრია. ჩვენი ნიჭიერი ბავშვები გროშების ფასად ტოვებენ სამშობლოს. ნორჩები ძირითადად რუსეთში მიდიან. მიხვდნენ რუსული კლუბები, რომ ამგვარი მუქთა შენაძენით დიდი მოგების ნახვა ძალუძთ. ჩვენში ბავშვთა ლიგის ჩამოყალიბება ნორჩების ამგვარი მიგრაციის შეჩერებასაც ისახავს მიზნად. ერთიაცაა: ჩვენი ფეხბურთელების ამგვარი „გამამლუქებისგან" დაცვის ერთიანი მექანიზმი არ არის შემუშავებული, მაგრამ რალაცნაირად ამ პროცესს ხელი უნდა შევუშალოთ. აქ სტაჟირებაზე არ არის ლაპარაკი, ნიჭიერი ფეხბურთელებისთვის აუცილებელიცაა გარკვეული პერიოდით საზღვარგარეთ სტაჟირებაზე წასვლა, მაგრამ ის, რომ იგი კაპიკებად ფასად სამუდამოდ დაშორდეს თავის სკოლას, გაუმართლებელია. ამაში გარკვეულ როლს მშობლებიც თამაშობენ. მესმის, რომ ბევრს უჭირს ეკონომიკურად. მაგრამ... ამასწინათ აღმოვაჩინეთ, რომ მოლდოვის ერთ-ერთ გუნდში ამჟამად მოთამაშე ქართველ ფეხბურთელს 50 დოლარი აქვს ხელფასი, რამდენად შეძლებს იგი ამ დროს კლასის ამაღლებას, თავად განსაჯეთ. ფაქტია, ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელები რომ გვეკარგებიან, ამაში დიდ როლს ამ ბოლო დროს სოკოებივით მომრავლებული ვითომდა საფეხბურთო აგენტები თამაშობენ. მათი კანტორები ქართულ ფეხბურთს გამოუვალ მდგომარეობამდე მიიყვანს. მათ წინააღმდეგ იურიდიული ბერკეტები უნდა შევიმუშავოთ. ამასწინათ დავადგინეთ (ამას უკვე დებულებაც ითვალისწინებს), რომ სკოლამ ნიჭიერი მოთამაშის სანაცვლოდ კლუბისგან უნდა მიიღოს გარკვეული საკომპენსაციო თანხა. ეს თანხა ქართული კლუბებისთვის 1 500 დოლარია, უცხოური გუნდებისთვის კი 1 500-დან 15 000 დოლარამდე მერყეობს. საბედნიეროდ, დღეს მაგალითების მოყვანაც შეგვიძლია, როცა ჩვენი ეს მოთხოვნა კლუბებმა სრულად დააკმაყოფილეს — ხობის სოკლას „ვიტ ჯორჯიამ" გადაუხადა სოკომპენსაციო თანხა, ქობულეთის საფეხბურთო სკოლის სასარგებლოდ რუსეთის ერთ-ერთმა კლუბმაც გააკეთა იგივე. ერთი სიტყვით, ამ მხრივ საქმე დაიძრა. ჩვენს სასარგებლოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ ის ფაქტიც, რომ ღლეისთვის არსებობს უეფას ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ფონდი. იქ სარჩელის შეტანის შემთხვევაში თუ უეფამ გაგვამართლა, როგორც დაზარალებულს, 150 ათას შვეიცარიულ ფრანკს გამოგვიყოფს. ეს კი ნებისმიერ ჩვენს საფეხბურთო სკოლას საგრძნობლად გამართავს წელში... ბავშვთა ფეხბურთის სატრანსფერო საკითხებზე ამჟამად მასალებს ვამუშავებთ და უახლოეს აღმასკომის სხდომაზე გავიტანთ. ვფიქრობთ ასაკობრივი ცენზის შემოღებას, მაგრამ აქაც პრობლემებს ვაწყდებით. გვეუბნებიან, ეს ადამიანთა უფლებების შელახვააო. ერთი რამ ვიცი — ჩვენს ბავშვთა ფეხბურთში არსებული პრობლემები დაუყოვნებლივ გადასაჭრელია და ამ მხრივ ნებისმიერი ადამიანის — სპეციალისტის, გულშემატკივრის, ჟურნალისტის მოსაზრებასაც მივიღებთ. ეს პრობლემა ყველამ ერთად უნდა აღმოვფხვრათ."



ლევან ყიფიანი



გაიოზ დარსაძე

პრესკონფერენციის ბოლოს ლევან ყიფიანი კიდევ ერთ მტკივნეულ თემას შეეხო:

— ფაქტობრივად ჩვენი ქვეყანა მცოდნე მწვრთნელთა დეფიციტს განიცდის. ჩვენი დიდი სურვილია, საქართველოში მწვრთნელთა მომზადების ცენტრი ჩამოყალიბდეს. გვინდოდა, ამ საქმეს გამოცდილი სპეციალისტი გაიოზ დარსაძე ჩასდგომოდა სათავეში. ამ მხრივ ალტერნატივაც არ გვქონდა. დარსაძეს შინ ვესტუმრეთ, ისიც თანახმა იყო გაძღოლოდა ამ საქმეს, მაგრამ საბოლოოდ ვერ შევთანხმდით.

**— რა მიზეზით?**

— ანაზღაურების პრობლემა არ ყოფილა, დარსაძეს საუკეთესო პირობებს ვთავაზობდით, მაგრამ მან სტატუსი მოითხოვა, ეს კი ჩვენს გეგმებში არ ჯდებოდა.

**— რა სტატუსი? ნუთუ არ შეიძლებოდა მასთან შეთანხმება?**

— მან ტექნიკური დირექტორის სტატუსი მოითხოვა. ასეთი კი დღეს სფფ-ში ალექსანდრე ჩივაძეა. საქმის კეთების მსურველ კაცს, ჩემის აზრით, არანაირი სტატუსი არ უნდა სჭირდებოდეს, მით უმეტეს დარსაძეს ფედერაცია იდეალურ პირობებს სთავაზობდა. მოკლედ, იგი ვერ დავითანხმეთ, ჩვენ კი ვერ დავიცდით, სპეციალისტები, კარგი მწვრთნელები გვჭირდება.

**— თუ დარსაძე უალტერნატივოა, ვინ გაუძღვება ამ საქმეს?**

— დროა მთავარი, თორემ უეფა პირდაპირ ინსტრუქციებს გვაძლევს რა და როგორ გავაკეთოთ. უბრალოდ, ამ საკითხების შესწავლაა საჭირო. დღეს ხელთ გვაქვს ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების მწვრთნელთა მომზადების ცენტრების ძირითადი თეზისები, მათზე დაყრდნობაც შეიძლება.

**— მწვრთნელთა მომზადების ცენტრში ლექციებს ვინ წაიკითხავს?**

— ისევ და ისევ ჩვენი სპეციალისტები, დაგვეხმარებიან ფიზკულტურის აკადემიის პროფესორებიც. ასე რომ საქმე გაკეთდება, ამაში დარწმუნებული იყავით.

პრესკონფერენციის შემდეგ „სარბიელი" საქართველოს ბოლო თასის ფინალში „სამგურალის" გამყვან ბოლოხანს კი უმუშევარ გაიოზ დარსაძეს დაუკავშირდა:

— სფფ-ს სამსახურში ყოფნა დიდი პატივია ჩემთვის. მოვალეობას არასდროს გავქცევივარ. ლევან ყიფიანისაც მადლობელი ვარ ასეთი ყურადღებისთვის, მაგრამ არსებობს ერთი პრინციპული საკითხი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. რის გაკეთებასაც სფფ ჩემგან ითხოვს, ყველა ნორმალურ ფედერაციაში ტექნიკური დეპარტამენტის და მისი დირექტორის საკეთებელია. როგორც ბატონი ლევანის ნათქვამიდან ირკვევა, ჩვენს ფედერაციას ტექნიკურ დირექტორად ალექსანდრე ჩივაძე დაუნიშნავს. თუ ასეა, ვერ გამიგია, ჩემგან რაღას მოითხოვენ.

**პაატა ქვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფედერაციაში მარჩიელობენ

## ახალგაზრდული ნაკრები მესამე ადგილზე ან გავიდა ან — არა

— რა ქნეს ჩვენებმა ბრაზილიასთან?
— მოიგეს.
— რა ანგარიში?
— ზუსტად არ ვიცით, 1:0 თუ 2:0 და ნახევარფინალში გავიდნენ. იქ კი ხორვატებთან, მგონი, პენალტების სერიაში დამარცხდნენ.
— თბილისში როდის ბრუნდებიან?
— ან დღეს ჩამოვლენ, ან ხვალ.

ეს დიალოგი გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, მოგეხსენებათ, წინა კვირაში საფრანგეთს გაემგზავრა. ქალაქ ჰავრში საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, რომელზეც ხურცილავას შეგირდებიც მიიწვიეს. პირველი ორი მატჩის შესახებ არცთუ ზოგადი ინფორმაცია „სარბიელმა“ შაბათსვე მოგაწოდათ, რადგან მაშინ ჰავრში ახალგაზრდული ნაკრების ტექნიკურ დირექტორთან დაკავშირება შევძელით. გუშინ ეს აღარ მოხერხდა. როცა დავრეკეთ, საქართველოს დელეგაცია სასტუმროდან უკვე აყრილიყო. მეტი რა გზა გვქონდა, ფედერაციას მივმართეთ. და... რა ინფორმაციაც მივიღეთ, თავად განსაჯეთ.

ისე, მართლაც გასაკვირია (დამეთანხმებით, რბილად ნათქვამია) ფედერაციის მხრიდან ასეთი უპასუხისმგებლობა. ნაკრები (რა მნიშვნელობა აქვს, ეროვნულია, ახალგაზრდული თუ თოთხმეტწლამდელთა) საზღვარგარეთ გაუშვა ტურნირზე და წინა დღეს რა ქნა, როდის ბრუნდება და სხვა მსგავსი ამბები არ იცოდე, სხვა თუ არაფერი, სირცხვილია. ისიც არა გვგონია, ფედერაციაში ეს ყველაფერი სცოდნოდათ და დაემალათ.

ჩვენ კი ჩვენივე წყაროების საშუალებით ის შევიტყვეთ, რომ ალჟირელთა 3:0 და დანიელთა 1:0 ძლევის შემდეგ, ქართველი ახალგაზრდები არც ბრაზილიელ თანატოლებს შეუშინდნენ და 1:0 დაამარცხეს. ნახევარფინალური შეხვედრა ხორვატ ახალგაზრდებთან ფრედ 1:1 დასრულდა, პენალტების სერია კი უფრო უკეთ ექსიუგოსლავიელებმა შეასრულეს და ფინალშიც ისინი გავიდნენ. ჩვენებურები მესამე ადგილისთვის მატჩში ისევ ალჟირელებს დაუპირისპირდნენ და კვლავ იმარჯვეს, ანგარიშზე და გოლების ავტორებზე სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით.

უფრო დაწვრილებით ინფორმაციას კი ახალგაზრდული ნაკრების დაბრუნების შემდეგ მოგაწვდით, რომელიც ან გუშინ ჩამოვიდოდა ანაც დღეს ჩამოვა.

**ვანო ოქროპირიძე**



1997 წლის 26 მაისი. „დინამოს“ ბოლო თასი პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიას ირაკლი ზოიძემ ჩამოართვა

# დაბრუნება

### შარშანწინ

ირაკლი ზოიძეს 1998 წლის 26 მაისის საღამო, ალბათ, არასდროს დაავიწყდება. თბილისის „დინამომ“ თასი „ბათუმს“ გაატანა. სამართალმა პური ჭამა და ზოიძემაც სწორედ მაშინ გადაწყვიტა, საქართველოს გასცლოდა, დროებით მაინც გარიდებოდა ეროვნულ ჩემპიონატს.

...თამაშის ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა. მსაჯი სერგო კვარაცხელია მალ-მალე დასცქერის წამმზომს. დამატებითი დროც იწურება. „ბათუმი“ უტევს, ჩემპიონის საჯარიმოში არეულობაა. დავით ჭიჭვეიშვილი არცთუ ძლიერად, მაგრამ ზუსტად ურტყამს ზოიძის კარში. ბურთი გაზონზე მიგორავს. ირაკლი გადახტა, უფრო ზუსტად, უხერხულად გაიწელა და ბურთს ვერ შესწვდა. ოქროს გოლი, კვარაცხელიამ კარის აღება და თამაშის დამთავრება ერთდროულად დააფიქსირა...

ორიოდ კვირის მერე შემთხვევით გადავეყარე ბაზაზე. დაღონებული კი იყო, მაგრამ ბოლო დროს ჩვეული დაძაბულობა არ ეტყობოდა. ხელში დახვეული ფურცელი ეჭირა — ირაკლი ზოიძე განთავისუფლებულია საფეხბურთო კლუბ „დინამოდან“. ფეხბურთელზე დავალიანება არ ირიცხება და მის მიმართ კლუბს არანაირი პრეტენზია არ გააჩნია. არავინ იცის, რამდენ ხანს ელოდა ზოიძე იმ საბუთს. მის თვალებში კი მხოლოდ ერთი ფრაზა იკითხებოდა — მე კიდევ ვითამაშებ ფეხბურთს!

მას შემდეგ მთლად ორი წელი არ გასულა, მაგრამ ეს მაინც დიდი დროა. ირაკლიმ ითამაშა ისრაელში. მისი იაფას „მაკაბი“ უძლიერესთა ლიგას დაემშვიდობა. ძალები მოსინჯა ლიტვურ „ჟალგირისში“ და ყველასთვის მოულოდნელად გამოჩნდა ქუთაისში.

იქნებ კანონზომიერიც იყო ყველაფერი. ადრე თუ გვიან ზოიძე უნდა დაბრუნებულიყო, მისულიყო იქ, სადაც დიდი ფეხბურთისკენ პირველი ნაბიჯები გადადგა.

ზოიძე ქუთაისში შენიშნეს, როგორც პრესპექტიული მეკარე (მანამდე ოზურგეთის „მერცხალშიც“ თამაშობდა), ახლაც ქუთაისშია, ოღონდ გამოცდილი, დალვინებული, 31 წლის.

### სამოთხიდან ჯოჯოხეთში

ქუთაისიდან „დინამოში“ მისული პირდაპირ გუნდის ძირითადში დამკვიდრდა. დასაწყისისთვის ეს ჩინებული შედეგი იყო, თუმც მერე და მერე სწორედ ამ ფაქტმა იმოქმედა დამღუპველად.

ზოიძე თამაშობდა მთელი დატვირთვით. წლიდან წლამდე იდგა კარში უკონკურენტოდ. საქართველოს ჩემპიონი, თასის მფლობელი, სუპერთასის მომგები. ეროვნულ ჩემპიონატში ყველაფერი მოიგო და ეროვნული გუნდის კარშიც თამამად ჩადგა. მოსინჯა ძალები ბულგარელებთან, იტალიელებთან, ინგლისელებთან ორჯერ.

ჯოჯოხეთი ინსბრუკში დაიწყო. გივი ნოდიას „დინამო“ გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა. კარში ზოიძე იდგა. ამას მოჰყვა „ბოავიშტა“, „ბრაგა“, „ლევერკუზენი“. კარში ისევ ზოიძე იდგა, ისევ მის ზურგზე გადადიოდა გოლების წვიმა.

მაშინ არავის მოსვლია აზრად, ირაკლი დაესვენებინა, სულის მოთქმის საშუალება მიეცა, ფსიქოლოგიურად მოემაგრებინა. ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ცივსისხლიანი მეკარე დღითი დღე ემგვანებოდა თავის შესაძლებლობებში დაეჭვებულ, შემკრთალ, დებიუტანტ გოლკიპერს.

გამოცდილი თავდამსხმელები მაშინვე გრძნობდნენ ქართველი მეკარის სისუსტეებს. უტეხი ხასიათიც სადღაც გაქრა. მომხდური კი შეუბრალებელი იყო.

ადრე თავისი „ცივსისხლიანობით“ თანაგუნდელებსაც სიმშვიდეს გადასდებდა-ხოლმე, მერე, როცა ყველაფერი აირია, ისინიც აღარ ენდობოდნენ, შიშით იწყებოდნენ ყოველ საპასუხისმგებლო მატჩს. შიშს კი ბევრი წაუხდენია.

„ერ[...] ხომ მაინც უნდა გადაგვარჩინოს ამ ბიჭმა?! — წამოსცდა „დინამოს“ მაშინდელ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას. თბილისელები მორიგ კატასტროფულ მარცხს განიცდიდნენ ლევერკუზენში, „ბაიერთან“.

ზოიძეს მკვდარი ბურთებიც აუღია და გუნდიც არაერთხელ გადაურჩენია, მაგრამ ამდენი უიღბლობისა და წარუმატებლობის შემდეგ, ეს ბევრსაც არ გახსენებია.

ისე, დღევანდელი გადასახედიდან ასე ჩანს, მაშინ, იმ ავადსახსენებელ მატჩებში მნიშვნელობა არ ჰქონდა, „დინამოს“ კარში ირაკლი ზოიძე იდგებოდა თუ უფრო მაღალი კლასის მეკარე. გუნდი არ ვარგოდა. იმდროინდელი „დინამოსთვის“ სულ ერთი იყო, სამი ბურთის სხვაობით წააგებდა, თუ ხუთით. მაშინ „ჩემპიონები“ ერთი გოლის გამბათილებლებიც არ იყვნენ.

ფსიქოლოგიურად მოშლილი, ნერვებდაწყვეტილი და ღირსებაშელახული მეკარე კი საქართველოდან გარბოდა. ზოიძე თანახმა იყო, ნებისმიერი დაბალი დონის ჩემპიონატში ეთამაშა. ოღონდ ეროვნულ პირველობას ნუ გააგონებდი, ოღონდაც აქაური ჯოჯოხეთი არ გახსენებოდა.

### რა თქმა უნდა, „ტორპედო“!

ამას დიდი მიხვედრა არც უნდოდა. ადრე თუ გვიან ზოიძე უნდა დაბრუნებულიყო და საქართველოში ეროვნულ ჩემპიონატში დაესრულებინა საფეხბურთო კარიერა.

არც იმას სჭირდებოდა დიდი ფიცმტკიცი, ისევ ქუთაისურ კლუბს რომ მიაკითხავდა. ირაკლი იქ ჩამოყალიბდა ნამდვილ მეკარედ. ზოიძეს ქუთაისი სჭირდებოდა, „ტორპედოს“ — ზოიძე.

უცხოეთმოვლილი მეკარე ახალ კლუბში უკონკურენტოდ არ იქნება. ჭანტურიას თავისუფლად ხელეწიფება, ზოიძე შეავიწროვოს. „ტორპედოს“ ახალწვეული გულს ვერ დაიიმედებს, რომ ძირითადში ადგილი გარანტირებული ექნება. ქუთაისელები ჩემპიონობისთვის იბრძვიან. ახლა შეცდომა, თუნდაც უმნიშვნელო, არავის ეპატიება.

მანამდე კი იყო ხელმეორე დებიუტი საქართველოს თასზე. მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში წყალტუბოს „სამგურალთან“ბოლო შვიდი წუთი ითამაშა.

7 აპრილს „ტორპედო“ სომხებსაც დაუპირისპირდა ამხანაგურად. ქუთაისური სარბიელის პრეზენტაციად მონათლულ მატჩში ზოიძემ თავი გამოიჩინა.

...ნაზარიანის სახიფათოდ დარტყმული ირაკლიმ გააუვნებელა...

წინ კი ურთულესი და მეტად საპასუხისმგებლო მატჩებია.

**მამუკა ქვანტალიანი**



მურთაზ ხურცილავა

# უფალო შეგვიწყალე!

შფოთს და აყალმაყალს რა დალევს ქართულ ფეხბურთში. ყოველი უწესრიგობა კი სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის გასარჩევი ხდება. ასეა, სტკ ქართული ფეხბურთის ჭუჭყსა და ლექს ამზეურებს, მაგრამ ეს ჭუჭყი და ლექი ხანდახან ისე ჭრის თვალს...

ექვსი დღის მერე გასამართ სტკ-ს მორიგ სხდომას ინტერესი და მრავალფეროვნება არ უნდა მოაკლდეს. რატომ? თავად განსაჯეთ.

საქართველოს ნორჩ ფეხბურთელთა შორის გივი ჩოხელის თასის გათამაშება ტარდება. ჰოდა, ამ ტურნირის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში „ნორჩი დინამოელი“ „მთვარის გლობუსს“ ხვდებოდა. მოწინაალმდეგის ყოჩაღობით აღშფოთებული მეორე გუნდის ერთ-ერთი გულშემატკივარი არც მეტი, არც ნაკლები ავტომანქანით შევარდნილა მოედანზე და ფეხბურთელებს გამოეკიდებია. უთანასწორო დევნაში, როგორც ჩანს, ისევ ნორჩებმა იძალეს — არავინ დაზარალებულა.

იმავე თასის გათამაშების მორიგი მატჩიც („ვიტ ჯორჯია-კაკე“ [...] „აზას“ ხვდებოდა) არ დასრულებულა ექსცესის გარეშე. თამაშის დასასრულს მსაჯს ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელი გამოჰკიდებია, დასწევია კიდეც და ფიზიკურადაც გასწორებია შავოსანს.

ასე რომ, მომავალ ორშაბათს დისციპლინარებს გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევთ.

**პაატა ქვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეკორდი გაიმეორეთ



ამ მომენტს შოთა რვა თვე ელოდა

აქამდე ქართველ ლეგიონერებს საუკეთესო შედეგი წლეულს 25-27 მარტის ტურებისას ჰქონდათ. მაშინ ჩვენებურებმა რვა გოლი გაიტანეს, თანაც რატი ალექსიძემ ჰეთ თრიქიც შეასრულა „ჩელსის" სარეზერვო გუნდში. და აი, ქართველებმა რეკორდი ისევ გაიმეორეს. გასულ უქმეებზე ისევ რვა გოლი გავიდა.

რვათვიანი პაუზის შემდეგ შოთა არველაძემ ამ სეზონში მესამე აიაქსური გოლი შეაგდო. ქართველს ბოლოს 24 სექტემბერს გაეტანა „ამსტერდამ არენაზე" და ამიტომაც „სპარტასთან" გოლმა ერთობ გაახარა, ბურთსაც კი ემთხვია. არველაძე ზედიზედ მეორედ გამოჩნდა ძირითადში, რაკი მთავარი მეგოლე ნიკოს მახლასი კვლავაც დამტვრეულია. შოთამ მე-14 წუთზე დააწინაურა მასპინძლები. შემდეგ როტერდამელებმა იძალეს და ორი გაიტანეს, თუმცა ამჯერად „აიაქსი" არ გატეხილა. ანგარიში ჯერ გაიქვითა, შემდეგ კი ბრაიან ლაუდრუპმა პენალტით გამარჯვების შეაგდო.

სეზონში მე-15 გოლი გაიტანა შოთას ტყუპისცალმა არჩილმა. ბრედას „ვოლენდამი" ეწვია და 2:5 განადგურდა. არველაძემ სტუმრებს მეორე შეუგდო, შემდეგ კი საგოლე პასიც გააკეთა. „ბრედა" ისევ 4 ქულით უსწრებს მდევარს და პირველ დივიზიონში დაბრუნების მთავარი კანდიდატია.

ალექსანდრე იაშვილი „კიკერმა" 2,5 ქულით „დუისბურგ" — „ფრაიბურგის" შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. იაშკა მართლაც ბრწყინვალედ გაიხარჯა. ჯერ ულამაზესი გოლით დააწინაურა სტუმრები, 89-ე წუთზე კი, როცა ანგარიში საყაიმო იყო, ვაისჰაუპტს გამარჯვების პასი მიაწოდა. ეს იაშვილის პირველი გოლია სეზონში, ბოლოს ქართველმა 1998 წლის ნოემბერში გაიტანა. სულ კი ბუნდესლიგაში ეს იაშვილის მეექვსე გოლია. „კიკერს" ამჯერად არ მოეწონა ლევან კობიაშვილი, მას 5-იანი არგუნა, თუმც ფოლკენ ფინკე კობით მეტად კმაყოფილი დარჩა. „ფრაიმ" ცოტა ამოისუნთქა. მე-12 ადგილზე აინაცვლა და დორტმუნდის „ბორუსიაც" კი ჩამოიტოვა.

გიორგი დემეტრაძემ მეორე უკრაინული გოლი გაიტანა, ამჯერად სიმფეროპოლში, „დინამო" 0:1-ს აგებდა, როცა დემემ ლამაზად გაისროლა. ნიველი ტარიელ კაპანაძის გოლი კი გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა. ქართველების ბანდამ „მარიუპოლს" მოუგო და ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსები გაიზარდა. ალეკო კაიდარაშვილი ამჯერად ვერაფრით დაეხმარა „კრივბასს".

ვლადიკავკაზის „ალანია" კიდევ უფრო ჩაეშვა რუსეთის ცხრილის ფსკერზე. ამჯერად მან „როტორთან" წააგო. ჩვენებურთაგან ვოვა გუცაევმა სილაგაძე, ფოცხვერია და აშვეთია ათამაშა. ამ უკანასკნელმა პრესტიჟის გოლი გაიტანა, რაც მეექვსეა აშვეთიას რუსულ კარიერაში. მანამდე კი „ალანიას" მსაჯმა ნალდი გოლი გაუუქმა. დაიწყო პირველი დივიზიონიც. აღსანიშნავი ის მოხდა, რომ წააგო გივი ნოდიას და ძმები ჯელაძეების „ლოკომ" პეტერბურგიდან, პენალტი გააფუჭა მიშა ჯიშკარიანმა, „ვოლგარში" კი ექსმერანელი ბახვა ამბიძის დებიუტი შედგა.

„ვეზეტის" მესამე დივიზიონში გავარდნის მიუხედავად, კვლავ გააქვს ლაშა ჯაკობიას. ქართველმა ამჯერად „კაპელენს" გაუტანა 69-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:1 იყო და სტუმრებს არაფრისმომცემი სამი ქულა მოუპოვა. ეს ლაშას მე-12 გოლია მე-14 შეხვედრაში. „ლიერსში" კი გელა შეყილაძე ვალტერ მეუსმა 3 წუთით ათამაშა.

ამ სეზონში მეექვსედ გაიტანა ქფარსაველმა გიორგი დარასელიამ, თუმცა გუნდმა აუტსაიდერ იერუსალიმის „ჰაპოელთან" მაინც წააგო.

შინ დამარცხდა გოგა გახოკიძის „მაკაბი". წაგებას გუნდის მთავარი მწვრთნელი ელი კოენი შეეწირა. „მე მილიონებს ვხარჯავ, შედეგს კი ვერ ვხედავო" — ბრძანა კლუბის პრეზიდენტმა შახარმა.

„დერბიმ" უკვე ექვსი ქულით გაუსწრო „ბრედფორდს" და თან „უიმბლდონიც" ჩამოიტოვა. ეს „უოტფორდთან" უგოლო ფრის შემდეგ მოხდა. ამ შეხვედრაში „სანს" მეტად არ მოეწონა გიო ქინქლაძე, ვისაც ინგლისში დაბრუნების შემდეგ უცუდესი შეფასება 4-იანი დაუწერა, „სანდი მირორმა" კი 5-იანი გაიმეტა. ინგლისის თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა „ნიუკასლი". ქეცბაიას გუნდს ალექსიძის „ჩელსიმ" პოიეტის დუბლით აჯობა. თემურმა ბოლო 12 წუთი ითამაშა და მხოლოდ 5-იანი დაიმსახურა.

ამ უქმეებზე ახალი ჩემპიონატი საზეიმოდ გაიხსნა ლატვიაში. გახსნის მატჩში რიგის „სკონტო" ალექსანდრე რეხვიაშვილის კაპიტნობით „ვენტსპილს" ესტუმრა და 1:0 მოუგო. გოლი კოლესნიჩენკომ გაიტანა. მატჩში ოთხი ქართველი მონაწილეობდა. მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა „შერიფმა" მოლდოვაში. საბერძნეთში ტური საპარლამენტო არჩევნების გამო გადაიდო. შვეიცარიაში წააგო „ციურიხმა" და გავარდნის საშიშროების წინაშე დადგა. ბულგარეთში დამარცხდა „ბელასიცაც", პოლონეთში კი „რუხმა" ლიდერ „პოლონიას" ვერ მოუგო და მესამეზე ჩამოქვეითდა.

**სიმონ მენაბდე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | ნ | ჩელსი 1:2 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 1 | 11 |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | უოტფორდი 0:0 | 76 | შეცვალეს | 13 | 1 | 16 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ნ | ნიუკასლი 2:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 5 |
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | დუისბურგი 2:1 | 90 | გოლი, საგოლე პასი | 16 | 1 | 12 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | დუისბურგი 2:1 | 90 | გაფრთხილება | 28 | 3 | 12 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | დუისბურგი 2:1 | 0 | ტრავმა | 2 | 1 | 12 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | სპარტა 3:2 | 90 | გოლი | 10 | 3 | 5 |
| მეორე დივიზიონი | | | | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | შ | ვოლენდამი 5:2 | 72 | გოლი, საგოლე პასი, შეცვალეს | 22 | 15 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | გეელი 2:2 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 0 | 6 |
| მეორე დივიზიონი | | | | | | | | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | ს | კაპელენი 2:1 | 90 | გოლი | 14 | 12 | 17 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | სიონი 0:1 | 90 | | 25 | 5 | 12 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | სიონი 0:1 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 1 | 12 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | ტრიკალა | - | გადაიდო | 12 | 1 | 12 |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | ს | ოლიმპიაკოსი | - | გადაიდო | 3 | 1 | 6 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 1:0 | 60 | შეცვალეს | 1 | 0 | 3 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 1:0 | 90 | გაფრთხილება | 1 | 0 | 3 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 1:0 | 60 | შეცვალეს | 1 | 0 | 3 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 1:0 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 3 |
| ვალერი გაგუა | სკონტო | ს | ვენტსპილსი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 3 |
| დავით გოგოლაძე | ვენტსპილსი | შ | სკონტო 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 0:0 | 0 | ტრავმა | 2 | 1 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | როტორი 1:2 | 90 | გოლი | 3 | 1 | 15 |
| ლევან სილაგაძე | ალანია | ს | როტორი 1:2 | 90 | | 3 | 0 | 15 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | ს | როტორი 1:2 | 0 | ტრავმა | 2 | 0 | 15 |
| მიხეილ ფოცხვერია | ალანია | ს | როტორი 1:2 | 62 | შეცვალეს | 2 | 0 | 15 |
| დავით გვარამაძე | კრილია | შ | ცსკა 2:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 4 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია | შ | ცსკა 2:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 4 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ნ | ანჟი 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 11 |
| ბადრი სპანდერაშვილი | ჩერნომორეცი | ს | სატურნი 0:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 6 |
| ალეკო გოგობერიშვილი | ანჟი | ნ | როსტსელმაში 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| მიხეილ ჯიშკარიანი | სოკოლი | შ | ვოლგარი 1:0 | 90 | | 1 | 0 | 6 |
| ზვიად ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | ლ.ჩიტა 0:2 | 90 | | 1 | 0 | 16 |
| გიზო ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | ლ.ჩიტა 0:2 | 90 | | 1 | 0 | 16 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | ს | სოკოლი 0:1 | 45 | შეცვალეს | 1 | 0 | 12 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | ს | სპარტაკი 0:1 | 90 | | 1 | 0 | 13 |
| გერონტი ფრუიძე | ჟემჩუჟინა | ს | სპარტაკი 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 13 |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | ს | ტავრია 3:1 | 90 | | 16 | 1 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | ს | ტავრია 3:1 | 79 | გოლი, შეცვალეს | 4 | 2 | 1 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | მეტალურგი 0:0 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 5 | 2 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | შ | პრიკარპატიე 2:1 | ? | | ? | 0 | 10 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | შ | მარიუპოლი 2:1 | ? | | ? | 6 | 13 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | შ | მარიუპოლი 2:1 | ? | გოლი | ? | 2 | 13 |
| კახა დგებუაძე | ნივა | შ | მარიუპოლი 2:1 | ? | | ? | 1 | 13 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | შ | მარიუპოლი 2:1 | ? | | ? | 0 | 13 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | შ | მარიუპოლი 2:1 | ? | | ? | 3 | 13 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | შ | მარიუპოლი 2:1 | ? | | 1 | 0 | 13 |
| კოტე მეტრეველი | ნივა | შ | მარიუპოლი 2:1 | ? | | 1 | 0 | 13 |
| დიმიტრი არსოშვილი | ნივა | შ | მარიუპოლი 2:1 | ? | | 0 | 0 | 13 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | პოლონია 2:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 4 | 0 | 3 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰ.ქფარ სავა | ს | ჰ.იერუსალიმი 1:2 | 90 | გოლი | 29 | 6 | 13 |
| გიორგი გახოკიძე | მ.ჰაიფა | შ | მ.ფეთაჰ თიქვა 1:2 | 90 | | 24 | 2 | 3 |
| **ბულგარეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| კობა ნინუა | ბელასიცა | ს | ლოკომოტივი 0:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება | 0 | 0 | 10 |
| **მოლდოვა** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | ს | რომა ? | ? | | 3 | 0 | 2 |
| დავით მუჯირი | შერიფი | შ | კონსტრუქტორული 0:0 | ? | | ? | 7 | 1 |
| გიორგი რევაზიშვილი | შერიფი | შ | კონსტრუქტორული 0:0 | ? | | ? | 0 | 1 |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | კონსტრუქტორული 0:0 | ? | | ? | 0 | 1 |
| თამაზ პერტია | შერიფი | შ | კონსტრუქტორული 0:0 | ? | | ? | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## ინგლისი

XXXII ტური

**ასტონ ვილა 1:0 ლიდსი**

1:0 ჯოუჩიმი (39)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეპიოგუ, სამუელი, ბერი, უოტსონი, ჰენდრი (ტომპსონი 68), ბოატენგი, მერსონი, ა. რაიტი (გრაიები 52), ჯოუჩიმი, კარბონე (დაბლინი 59)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი, ბაკე, ბოიერი, უილკოქსი, მაკფაილი, კიუელი, ბრიჯისი (ჰაკერბი 59)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: სამუელი, კელი
მსაჯი: ნაითი
33 889 მაყურებელი

**ლივერპული 2:0 ტოტენჰემი**

1:0 ბერგერი (34), 2:0 ოუენი (61)
ლივერპული: ვესტერველდი, კარაგერი, ენჩოსი, ჰიიპია, მატეო, ბერგერი, ჰამანი, მერფი (ჰეგემი 82), ტომპსონი (შმიცერი 72), ოუენი (კამარა 87), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ტოტენჰემი: ი. უოკერი, კარი, პერი, სოლ კემპბელი, ტარიკო, ივერსენი, ანდერტონი, ფროინდი, კლემენსი (ეზერინგტონი 77), კ. არმსტრონგი, ჟინოლა (დევისი 77)
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: მერფი, პერი, ფროინდი, ტარიკო
მსაჯი: ლოჯი
44 536 მაყურებელი

**ბრედფორდი 1:2 საუთჰემპტონი**

0:1 მარსდენი (54), 0:2 პახარსი (76), 1:2 ბლეიქი (77)
ბრედფორდი: კლარკი, ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, ჯაკობსი, შარპი, მაკკოლი, უინდასი, ბიგრი, ბლეიქი, კადეტე (რანკინი 63)
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
საუთჰემპტონი: მოსი, დოდი, რიჩარდსი, ტაჰარი, ბენალი, რიპლი (სოლტვედტი 78), ტესემი, მარსდენი, ბრიჯი, ლე ტისიე (პახარსი 75), დევისი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ჰალე, ტაჰარი, რიპლი
მსაჯი: ელერეი
17 439 მაყურებელი

**ლესტერი 1:1 ევერტონი**

1:0 ტაგარტი (8), 1:1 ჰათჩისონი (27)
ლესტერი: ფლაუერსი, ტაგარტი, გაპი, სევიჯი, ჯილკრისტი, იმპი, იზეტი (ზაგორაკისი 80), ლენონი, ოუქსი (მარშალი 46), მ. ელიოტი, კოტი (დადფილდი 65)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ევერტონი: ჟერარი, გაფი (დანი 62), ანსუორთი, ვეირი, შავიერი, პემბრიჯი, კოლინზ, ბარმბი, ს. ჰიუზი (ბოლი 84), ჰათჩისონი, მური (კადამარტერი 43)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: ტაგარტი, გაპი
მსაჯი: უილ...
18 705 მაყურებელი

**სანდერლენდი 2:1 უიმბლდონი**

1:0 ქუინი (54), 1:1 ჰიუზი (73), 2:1 კილბეინი (82)
სანდერლენდი: სორენსენი, ჰოლოვეი, კრადოკი, უილიამსი, მაკინი, გრეი (ნუნიესი 75), რაე, რუა (ტირლველი 86), კილბეინი, ნ. ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ბლექველი, ანდერსენი, ჰრეიდარსონი, იუპი, მაიკლ ჰიუზი, ბადირი (ლებერნი 83), იუელი, გეილი, ლუნდი
მწვრთნელი: ეგილ ოლსენი
გაფრთხილება: იუპი, იუელი
მსაჯი: ბარბერი
41 592 მაყურებელი

**უოტფორდი 0:0 დერბი ქაუნთი**

უოტფორდი: ჩემბერლენი, პეიჯი, პალმერი, უორდი, კოქსი, ჰიდი, რ. ჯონსონი, ისტონი (ბონოტი 73), პერპეტუინი, სმარტი (ჰელგუსონი 65), მ. სმიტი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
დერბი ქაუნთი: პოომი, ლაურსენი, კარბონარი, შნური, დელაპი, ბარლი, პაუელი, ქინქლაძე (დორიგო 76), ს. ჯონსონი, სტარიჯი (კრისტი 78), შტრუპარი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: პეიჯი, ჰელგუსონი, ბარლი
მსაჯი: ბენეტი
16 679 მაყურებელი

**მიდლსბრო 3:4 მანჩესტერი**

1:0 ე. კემპბელი (19), 1:1 გიგზი (46), 1:2 კოული (60), 1:3 სქოულზი (74), 2:3 ინსი (86), 2:4 ფორჩუნი (87), 3:4 ჟუნინიო (90)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, კუპერი (ფესტა 12), ციგე, დინი, მასტო (ჟუნინიო 71), ინსი, სამერბელი, ე. კემპბელი, რიკარდი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, ბერგი, ირვინი (სილვესტრი 32), ბექემი, კინი (ბათი 82), სქოულზი, გიგზი (ფორჩუნი 81), იორკი, კოული
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ე. კემპბელი, ინსი, ჟუნინიო, გიგზი, კოული, სქოულზი, ფორჩუნი
მსაჯი: დარკინი
34 775 მაყურებელი




ლივერპული — ტოტენჰემი 2:0. შტეფან ფროინდი (მარცხნივ) კარგი მცველია, თუმცა მაიკლ ოუენმა თავისი მაინც გააკეთა

# ქინქლაძე შნურზე ჰკიდია

„მთელი სეზონია, პენალტი არ დაგვირტყამს. და აი, პირველი შანსი მოგვეცა და ისიც ვერ გამოვიყენეთ“ — „დერბი ქაუნთის“ მწვრთნელი ჯიმ სმიტი გულგატეხილი გახლდათ. „უოტფორდის“ მეკარემ ალექს ჩემბერლენმა დერბელთა გერმანელი ლეგიონერის შტეფან შნურის თერთმეტმეტრიანი მოიგერია. მატჩი 0:0 დამთავრდა და თუმცა მასპინძლებმა ამით ვერაფერი იხეირეს, არც ქინქლაძის გუნდს მისცეს დამშვიდების საშუალება — დარჩენილ ექვს ტურში იმ ექვსქულიანი სხვაობის გაბათილება, „ბრედფორდს“ რომ „დერბისგან“ აშორებს, არც მთლად არარეალური გახლავთ. აი, „დერბის“ რომ მოეგო...

ასეა თუ ისე, შარშან აღზევებული „უოტფორდი“ წლეულსავე რომ ჩამოლაბორანტდება, უკვე ცხადია, ცხადს კი ამ გუნდის მწვრთნელი გრემ ტეილორიც ვერსად გაექცევა: „ვიყოთ რეალისტები, ჩვენ გავვარდით, თუმცა გულს ნუ გაიტეხთ. ახალგაზრდა გუნდი გვყავს და პრემიერლიგაში დაბრუნება იმ ხანშივე შეგვიძლია, რომელშიც ამ ლიგიდან გავარდნა მოვახერხეთ“.

ტეილორის გუნდზე ექვსი ქულით მეტი აქვს ამ სეზონშივე გაპრემიერლიგებულ „ბრედფორდს“, თუმცა, ალბათ, ეს გუნდიც აგვისტოდან მისთვის უფრო ჩვეულ დივიზიონში ითამაშებს. შაბათს „ბრედფორდმა“ ზედიზედ მეხუთედ წააგო, ამჯერად შინ გლენ ჰოდლის „საუთჰემპტონთან“. აქ გადამწყვეტი მარიან პახარსის გოლი გამოდგა — ლატვიელმა მეტ ლე ტისიე შეცვალა და მოედანზე ფეხის დადგმიდან ზუსტად 25 წამში მასპინძელთა მეკარე მეტ კლარკს მეორე გოლი შეუგდო. „თამაშს სულაც არ ეთქმის ჩინებული, თუმცა სამი ქულა მოვიპოვეთ და კმაყოფილი ვარ. მართალია, გაგვიმართლა პირველი გოლისას, როცა მარდსენის დარტყმული მაკკოლს მოხვდა და მიმართულება შეიცვალა, მაგრამ გაიხსენეთ, რომ წინა კვირას „ჩელსისთან“ ასეთივე შემთხვევითი გოლი გავუშვით. ასე რომ, ბალანსი აღდგა“ — გლენ ჰოდლს შეუძლია თამამად მოემზადოს მომავალი სეზონის პრემიერლიგური ბრძოლისთვის.

ზედიზედ მეოთხედ წააგო „უიმბლდონმა“. „სანდერლენდიდან“ გოლები ნაილ ქუინმა და კევინ... არა, ამჯერად ფილიპსმა არა — მეორე გოლი მისმა სეხნიამ, „ვესტ ბრომვიჩიდან“ ახლახან ნაყიდმა კილბეინმა გაიტანა.

შაბათის ბოლო, მეოთხე შეხვედრაში, „ფილბერტ სტრიტზე“ 1:1 დაფიქსირდა. მასპინძლები რვა წუთში კი დაწინაურდნენ, მაგრამ „ევერტონის“ სქოთმა დონ ჰაჩისონმა, ბოლო რვა თამაშში სასტარტოში პირველად რომ გამოჩნდა, თავურით გაქვითა.

ეს ყველაფერი შაბათის ამბები იყო, კვირას კი კვლავ დაიჩაგრა „ლიდსი“. არა, ამჯერად კაცი არ დაღუპულა, მეტოქის გულშემატკივრებმაც გაიზიარეს ლიდსელთა უბედურება, მაგრამ ახლა დევიდ ოლირის გუნდი მსაჯმა არ დაინდო — მან ვერ შეამჩნია, როგორ წააქცია ბირმინგემელმა ჯოუჩიმმა სტუმართა მცველი გარი კელი, ორიოდ წამში კი ნაიჯელ მარტინის კარში მატჩის ერთადერთი გოლიც გავიდა. „ამ მომენტის თაობაზე არაფერს ვიტყვი — ტელევიზიით ის ყველამ ნახა, აღშფოთებას კი აზრი არ აქვს. მითუმეტეს, ასეთ დროს. სასიამოვნო იყო, თუ როგორ დაგვიდგნენ გვერდში „ვილას“ ფანები. ვფიქრობ, ყველა ინგლისელმა გაიზიარა ჩვენი მწუხარება“ — თავად ბურთაობაზე დევიდ ოლირიმ ამჯერად ცოტა ილაპარაკა, თუმცა დასძინა — „ლიდსის“ მოკლულ გულშემატკივრებს ყველაზე დიდ პატივს იმით მივაგებთ, თუ „გალათასარაის“ დავამარცხებთ და უეფას თასის ფინალში გავალთო.

მოკლედ, გასული კვირა „ლიდსის“ ისტორიაში მწუხრისფერია. სტამბოლის მოვლენები პლუს ჩემპიონობისთვის ბრძოლის დასრულება.

კვირის სხვა მატჩში „ლივერპულმა“ გააგრძელა 11-მატჩიანი წაუგებელი სერია და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. 17 თვეა, ანუ რაც ჟერარ ულიე ერთპიროვნულად წვრთნის ამ გუნდს, „ლივერპული“ ცხრილში ასე მაღლა ჯერ არ ყოფილა. „ეს ჯერ არაფერს ნიშნავს. დარჩენილ მატჩებშიც დიდი ბრძოლა გველის, თუმცა ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც მოკვდებიან, მაგრამ მიზანს, ჩემპიონთა ლიგა რომ ჰქვია, აუცილებლად მიაღწევენ. მთავარია, ნერვებს არ ავყვეთ“ — განაცხადა მასპინძელთა ფრანგმა მწვრთნელმა. საინტერესოა, რომ არცთუ წარმატებული სეზონის მიუხედავად, „ტოტენჰემმა“ მიმდინარე ჩემპიონატში პირველად წააგო ორი ბურთის სხვაობით, რასაც გუნდის ფანების მხრიდან უმალ მწვრთნელ ჯორჯ გრემის გადაყენების მოთხოვნა მოჰყვა.

და „მანჩესტერი“? ფერგიუსონის ბიჭებმა წუხელ მოიგეს „მიდლსბროსთან“. ამით თითქმის არაფერი შეცვლილა.

გიგა კობახიძე

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 32 | 22 | 7 | 3 | 80:39 | 41 | 73 | 16 | 12 | 4 | 0 | 49:13 | 36 | 40 | 16 | 10 | 3 | 3 | 31:26 | 5 | 33 |
| 2 ლივერპული | 32 | 18 | 8 | 6 | 49:24 | 25 | 62 | 17 | 11 | 3 | 3 | 28:11 | 17 | 36 | 15 | 7 | 5 | 3 | 21:13 | 8 | 26 |
| 3 ლიდსი | 32 | 19 | 3 | 10 | 49:35 | 14 | 60 | 16 | 11 | 1 | 4 | 25:12 | 13 | 34 | 16 | 8 | 2 | 6 | 24:23 | 1 | 26 |
| 4 არსენალი | 31 | 17 | 6 | 8 | 56:32 | 24 | 57 | 16 | 12 | 2 | 2 | 35:12 | 23 | 38 | 15 | 5 | 4 | 6 | 21:20 | 1 | 19 |
| 5 ჩელსი | 31 | 15 | 10 | 6 | 41:26 | 15 | 55 | 15 | 9 | 4 | 2 | 26:10 | 16 | 31 | 16 | 6 | 6 | 4 | 15:16 | -1 | 24 |
| 6 ასტონ ვილა | 33 | 14 | 10 | 9 | 37:27 | 10 | 52 | 16 | 8 | 6 | 2 | 20:8 | 12 | 30 | 17 | 6 | 4 | 7 | 17:19 | -2 | 22 |
| 7 სანდერლენდი | 32 | 14 | 9 | 9 | 52:47 | 5 | 51 | 17 | 9 | 6 | 2 | 27:16 | 11 | 33 | 15 | 5 | 3 | 7 | 25:31 | -6 | 18 |
| 8 ევერტონი | 33 | 11 | 12 | 10 | 54:45 | 9 | 45 | 15 | 6 | 8 | 1 | 32:18 | 14 | 26 | 18 | 5 | 4 | 9 | 22:27 | -5 | 19 |
| 9 ვესტ ჰემი | 31 | 12 | 9 | 10 | 42:47 | -5 | 45 | 15 | 9 | 4 | 2 | 25:21 | 4 | 31 | 16 | 3 | 5 | 8 | 17:26 | -9 | 14 |
| 10 ნიუკასლი | 31 | 12 | 7 | 12 | 52:44 | 8 | 43 | 15 | 8 | 4 | 3 | 34:14 | 20 | 28 | 16 | 4 | 3 | 9 | 18:30 | -12 | 15 |
| 11 ტოტენჰემი | 32 | 12 | 7 | 13 | 47:40 | 7 | 43 | 15 | 8 | 2 | 5 | 32:20 | 12 | 26 | 17 | 4 | 5 | 8 | 15:20 | -5 | 17 |
| 12 მიდლსბრო | 32 | 12 | 7 | 13 | 38:46 | -8 | 43 | 17 | 8 | 3 | 6 | 20:23 | -3 | 27 | 15 | 4 | 4 | 7 | 18:23 | -5 | 16 |
| 13 ლესტერი | 31 | 12 | 6 | 13 | 44:47 | -3 | 42 | 17 | 9 | 3 | 5 | 28:23 | 5 | 30 | 14 | 3 | 3 | 8 | 16:24 | -8 | 12 |
| 14 ქოვენთრი | 32 | 10 | 8 | 14 | 40:42 | -2 | 38 | 17 | 10 | 1 | 6 | 32:20 | 12 | 31 | 15 | 0 | 7 | 8 | 8:22 | -14 | 7 |
| 15 საუთჰემპტონი | 32 | 10 | 7 | 15 | 39:55 | -16 | 37 | 15 | 6 | 4 | 5 | 20:17 | 3 | 22 | 17 | 4 | 3 | 10 | 19:38 | -19 | 15 |
| 16 დერბი ქაუნთი | 32 | 8 | 8 | 16 | 36:46 | -10 | 32 | 16 | 5 | 2 | 9 | 19:23 | -4 | 17 | 16 | 3 | 6 | 7 | 17:23 | -6 | 15 |
| 17 უიმბლდონი | 32 | 7 | 11 | 14 | 43:61 | -18 | 32 | 16 | 6 | 6 | 4 | 27:22 | 5 | 24 | 16 | 1 | 5 | 10 | 16:39 | -23 | 8 |
| 18 ბრედფორდი | 32 | 6 | 8 | 18 | 29:57 | -28 | 26 | 16 | 4 | 7 | 5 | 18:25 | -7 | 19 | 16 | 2 | 1 | 13 | 11:32 | -21 | 7 |
| 19 შეფილდ უენსდი | 31 | 5 | 6 | 20 | 27:58 | -31 | 21 | 15 | 4 | 3 | 8 | 16:18 | -2 | 15 | 16 | 1 | 3 | 12 | 11:40 | -29 | 6 |
| 20 უოტფორდი | 32 | 5 | 5 | 22 | 28:65 | -37 | 20 | 16 | 4 | 4 | 8 | 19:25 | -6 | 16 | 16 | 1 | 1 | 14 | 9:40 | -31 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 27 |
| შირერი (ნიუკასლი) | 19 |
| ე. კოული (მანჩესტერი) | 19 |
| იორკი (მანჩესტერი) | 17 |
| ბრიჯისი (ლიდსი) | 15 |

12 აპრილი
ჩელსი — ქოვენთრი
ვესტ ჰემი — ნიუკასლი
უიმბლდონი — შეფილდი

XXXIII ტური
15 აპრილი
ქოვენთრი — მიდლსბრო
დერბი — ვესტ ჰემი
ევერტონი — ბრედფორდი
მანჩესტერი — სანდერლენდი
ნიუკასლი — ლესტერი
შეფილდი — ჩელსი
საუთჰემპტონი — უოტფორდი
ტოტენჰემი — ასტონ ვილა
16 აპრილი
ლიდსი — არსენალი
უიმბლდონი — ლივერპული

## პირველი დივიზიონი

XLI ტური

**ტრანმერი 1:1 ფულემი**
1:0 კელი (72), 1:1 მელვილი (88)

**ბარნსლი 2:2 ვესტ ბრომვიჩი**
0:1 სნიკსი (47პ), 1:1 ბარნარდი (53), 1:2 ტეილორი (55), 2:2 შიპერლი (90)

**ბოლტონი 4:3 უოლსოლი**
0:1 ჰოლი (1), 1:1 იოჰანსენი (2პ), 2:1 ჰანსენი (11), 3:1 ფილიპსი (25), 3:2 რიკეტსი (55), 4:2 ჰანსენი (74), 4:3 ბენეტი (83)

**კრ. პალასი 3:3 სტოკპორტი**
1:0 მაკკენზი (18), 2:0, 3:0 ფორსელი (29, 31), 3:1 მური (43), 3:2 კუპერი (55), 3:3 მური (63)

**ჰადერსფილდი 0:0 ბირმინგემი**

**იფსვიჩი 3:0 პორტვეილი**
1:0 შოუკროფტი (12), 2:0 ჯონსონი (39), 3:0 ჰოლანდი (83)

**მანჩესტერ სიტი 4:0 ქრიუ**
1:0 პრიორი (42), 2:0 დიკოვი (68), 3:0 კენედი (86), 4:0 დიკოვი (90)

**ნოტინგემი 1:1 ჩარლტონი**
0:1 ჰანტი (40), 1:1 ბარტ-უილიამსი (81პ)

**პორტსმუთი 2:1 ნორვიჩი**
0:1 მარშალი (44), 1:1 ჰარპერი (51), 2:1 მური (71)

**ქუინზ პარკი 2:1 სუინდონი**
1:0 რიდი (23), 2:0 ბეკი (29პ), 2:1 გრაციოლი (35)

**შეფილდ იუნ. 0:0 გრიმსბი**

**ვულვზი 2:1 ბლექბერნი**
1:0 მუსკატი (40პ), 1:1 დაფი (54), 2:1 ნილსენი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 41 | 27 | 8 | 6 | 76:37 | 89 |
| სიტი | 41 | 23 | 9 | 9 | 68:36 | 78 |
| იფსვიჩი | 41 | 21 | 12 | 8 | 63:38 | 75 |
| ბარნსლი | 41 | 22 | 9 | 10 | 82:59 | 75 |
| ბირმინგემი | 41 | 20 | 10 | 11 | 61:42 | 70 |
| ჰადერსფილდი | 41 | 19 | 11 | 11 | 59:40 | 68 |
| ვულვზი | 41 | 18 | 11 | 12 | 57:45 | 65 |
| ბოლტონი | 41 | 17 | 12 | 12 | 56:44 | 63 |
| ფულემი | 41 | 15 | 15 | 11 | 41:36 | 60 |
| ბლექბერნი | 41 | 15 | 14 | 12 | 51:43 | 59 |
| ქუინზ პარკი | 41 | 14 | 16 | 11 | 54:48 | 58 |
| შეფილდ იუნ. | 41 | 13 | 12 | 16 | 55:62 | 51 |
| ნორვიჩი | 41 | 12 | 14 | 15 | 41:46 | 50 |
| ტრანმერი | 40 | 13 | 11 | 16 | 50:58 | 50 |
| პორტსმუთი | 41 | 13 | 9 | 19 | 50:58 | 48 |
| სტოკპორტი | 41 | 11 | 15 | 15 | 46:60 | 48 |
| გრიმსბი | 41 | 13 | 9 | 19 | 38:62 | 48 |
| კრ. პალასი | 41 | 11 | 14 | 16 | 51:60 | 47 |
| ნოტინგემი | 41 | 11 | 12 | 18 | 46:52 | 45 |
| ვესტ ბრომვიჩი | 41 | 8 | 17 | 16 | 34:53 | 41 |
| ქრიუ | 41 | 11 | 8 | 22 | 37:60 | 41 |
| უოლსოლი | 41 | 9 | 12 | 20 | 47:70 | 39 |
| პორტვეილი | 40 | 7 | 13 | 20 | 44:60 | 34 |
| სუინდონი | 41 | 6 | 11 | 24 | 31:69 | 29 |

## მეორე დივიზიონი

41-ე ტური. რედინგი — ჯილინგემი 2:2; ბორნმუთი — ოლდემი 3:0; ბრისტოლი — რექსჰემი 4:0; ბარნლი — ნოტსი 2:1; კემბრიჯი — როვერსი 1:1; ჩესტერფილდი — უიკომბი 1:2; კოლჩესტერი — ბლექპული 1:1; მილუოლი — ბერი 3:0; პრესტონი — კარდიფი 0:0; სკანთორპი — ლუტონი 1:2; სტოკი — ბრენტფორდი 1:0; უიგანი — ოქსფორდი 2:0

## მესამე დივიზიონი

41-ე ტური. ბარნეტი — შრიუსბერი 1:1; ჩესტერი — კარლაისლი 0:1; ექსეტერი — ბრაიტონი 0:0; ჰალი — ლეიტონი 2:0; ლინკოლნი — ჩელტნემი 1:2; მაკლსფილდი — პლიმუთი 4:1; ნორთჰემპტონი — ალიფაქსი 3:4; როჩდეილი — ჰარტლპული 2:0; როტერჰემი — საუთენდი 0:0; სუონსი — პიტერბრო 0:0; ტორკი — მენსფილდი 4:0; იორკი — დარლინგტონი 0:0

## გერმანია

XXVIII ტური

**დუისბურგი 1:2 ფრაიბურგი**

0:1 იაშვილი (49), 1:1 ვოლერტი (67), 1:2 ვაისჰაუპტი (89)
დუისბურგი: სტაუჩე, ვოლერტი, ემერლინგი (ვედაუ 87), დრსეკი, ჰირში, ვოლტერსი, ოსტჰოფი (კეიდელი 54), ტოფტინგი, მ. ცაიერი, შპისი (რაისი 46), ბაიერლე
მწვრთნელი: ზეპო აიხკორნი
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, ა. ცაიერი, ვილი, ბ. დრეერი (ჰერმელი 73), კობიაშვილი, რამდანე (ვაისჰაუპტი 73), ბაია, სელიმი (ბენ სლიმანი 84), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ოსტჰოფი, ტოფტინგი, დიარა, კობიაშვილი, რამდანე ა. ცაიერი
მსაჯი: ფრიოლიხი
12 541 მაყურებელი

**ლევერკუზენი 3:1 დორტმუნდი**

0:1 რეინა (2), 1:1, 2:1 პაულო რინკი (42, 84), 3:1 ბრდარიჩი (90)
ბალაკმა ვერ გაიტანა პენალტი (12, მეკარე)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი (პონტე 78), რამელო (ბ. შნაიდერი 51), ნოვოტნი, ემერსონი, ბალაკი, ბაინლიხი, ნოივილი (ბრდარიჩი 78), ზე რობერტო, კირსტენი, პაულო რინკი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, ვიორნსი, კოლერი, ევანილსონი, დედე, სტევიჩი, ადო (ბობიჩი 85), რიკენი, ჯ. რეინა (იკპება 74), ჰერლიხი (ბარბარესი 56)
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
გაფრთხილება: ბალაკი, კირსტენი, ნოვოტნი, ზე რობერტო, ჟივკოვიჩი, კოლერი, ადო
გაძევება: როიტერი (53)
მსაჯი: შტრამპე
22 500 მაყურებელი

**ბაიერნი 4:0 ულმი**

1:0 შოლი (21), 2:0 პაულო სერჟიო (24პ), 3:0 იანკერი (62), 4:0 ვოიცეხოვსკი (85)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, ლინკე, იერემისი, ლიზარაზუ, ფინკი, სალიჰამიჯიჩი (ტარნატი 84), ეფენბერგი (სანტა კრუზი 70), პაულო სერჟიო (ვოიცეხოვსკი 73), შოლი, იანკერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, მარკესი, შტადლერი, კინკელი (უნსოლდი 46), მაიერი, გრაუერი, შარინგერი, რადოკი, ლეანდრო, პლულერი (ვაისი 46)
მწვრთნელი: მარტინ ანდერმატი
გაფრთხილება: ფინკი, სალიჰამიჯიჩი, კინკელი, შტადლერი
მსაჯი: კოოპი
63 000 მაყურებელი

**ვერდერი 3:1 არმინია**

1:0 ფრინგსი (21), 2:0 ჰერცოგი (41პ), 3:0 ფრინგსი (54), 3:1 ბოდე (65)
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, ბარტენი, ფ. ბაუმანი, მ. ბოდე, აილტსი, ტრარესი (დაბროვსკი 82), ფრინგსი (ფლოკი 61), ა. ჰერცოგი (მაქსიმოვი 76), აილტონი, ბოგდანოვიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
არმინია: მილეტიჩი, შტრატოსი, შტრაალი (ვიშნიარეკი 46), კლიცპერა, ვატერინკი, მაული, შ. ბოდე, ბომე (გიოქთანი 67), მ. ვაისენბერგერი, ლაბადია, ვან დერ ვენი (რიდლევიჩი 73)
მწვრთნელი: ჰერმან გერლანდი
მსაჯი: მაიერი
29 400 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:0 ჰანზა**

1:0 გროთი (19)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერჩი, გრავესენი, ნ. კოვაჩი, გროთი (დოლი 79), ჰოლერბახი, კარდოზო (ფ. ერნსტი 90), იუსალი, იებოა (ფიშერი 10)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი (კოვაჩიჩი 83), ცალმანი, ოსვალდი, ვაილანდტი, ლანცი, ემარა (მაიაკი 76), ვიბრანი, იასერი, ბაუმგარტი, არვიდსონი (ბროიტიგამი 65)
მწვრთნელი: ანდრეას ცახჰუბერი
გაფრთხილება: ჰოლერბახი, ჰოოგმა, პანადიჩი, იუსალი, ვაილანდტი, იასერი
გაძევება: პიკენჰაგენი (64)
მსაჯი: ალბრეხტი
44 180 მაყურებელი

**შალკე 1:2 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ტარე (6), 1:1 ლატალი (17), 1:2 პეტერსონი (45)
შალკე: რეკი, ვალდოხი, აიგენრაუხი, ტონი (ჰელდი 74), კმეტჩი, ნემეცი, ჰაპე, ვილმოტსი, ასამოა, ლატალი, ე. მპენზა
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, სფორცა, შონბერგი, რამზი, შტრასერი (როოსი 78), ბუკი, ბასლერი, კომლიენოვიჩი, ჯორკაეფი (პეტერსონი 30), ტარე (რაიხი 84)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
გაფრთხილება: ლატალი, ნემეცი, კომლიენოვიჩი
მსაჯი: აუსტი
46 300 მაყურებელი

**ჰერტა 1:0 აინტრახტი**

1:0 პრეეცი (37)
ჰერტა: კირალი, შმიდტი, ვან ბურიკი, სვერისონი, კონსტანტინიდისი, ნოიენდორფი, რემერი, ჰარტმანი, ვოში, პრეეცი, ალექს ალვეში (დარდაი 85)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
აინტრახტი: ჰაინენი, ბინდევალდი (რაიხენბერგერი 75), ხუბჩევი, კუჩერა, კრახტი, ცამპახი (რასიევსკი 58), გებჰარდტი, გუიე მიენი, ჰელდტი, სალუ (ფიორტოფტი 46), ჩენ იანგი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ნოიენდორფი, ვან ბურიკი, ჩენ იანგი
მსაჯი: იანსენი
42 683 მაყურებელი

**შტუტგარტი 2:5 ვოლფსბურგი**

1:0 კუკა (8), 1:1 აკპობორი (10), 1:2 იუსკოვიაკი (22), 2:2 სოლდო (30), 2:3, 2:4 აკპობორი (67, 84), 2:5 სებესკენი (90)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ბერთოლდი, ბორდონი, კელერი, სოლდო (ენდრესი 68), პინტო (ჯორჯევიჩი 68), გერბერი, ლისტეში, ბალაკოვი, კუკა, დანდი (ჰოსნი 76)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილიშკოვი, ბალვანცი, ტომსენი, კრიგერი, გრაინერი, ვაისერი, სებესკენი (დაბრიცი 90), ნოვაკი, იუსკოვიაკი (ფელდჰოფი 27), აკპობორი (მალტრიცი 86)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ბალაკოვი, ბერთოლდი, ბალვანცი
მსაჯი: ფანდელი
21 000 მაყურებელი

**უნტერჰახინგი 1:1 მიუნხენი**

1:0 ზაიფერტი (47), 1:1 აგოსტინო (90)
უნტერჰახინგი: ტრემელი, ბერგენი, გრასოვი, ზაიფერტი, ჰაბერი, მატიას ციმერმანი (ბუხერი 72), დ. შვარცი, შტრაუბე, ობერლაიტნერი (შერტლი 55), ზაიცი, ბრაიტენრაიტერი
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კოისტნერი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, გრაილიხი (აგოსტინო 52), ზელიჩი, კურცი, შტრანცლი, ტაისი (ჩიჟეკი 57), ჩერნი, რიდლი (ვინკლერი 77), ჰესლერი, შროტი, მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: გრაილიხი, ჰესლერი, შტრანცლი
გაძევება: შტრაუბე (37), გრასოვი (72)
მსაჯი: კესლერი
11 300 მაყურებელი

# იაშვილი: გოლნახევარი, 2.5


REUTERS ლევერკუზენიდან

ლევერკუზენი — დორტმუნდი 3:1. დორტმუნდელი კრისტიან ვიორნსი დუბლის ავტორ პაულო რინკს (მარჯვნივ) ვერ გაუმკლავდა

**ბოლოს** ეს 1998 წლის 28 ნოემბერს მოხდა, დიახ 16 თვის წინ. მაშინ „ფრაიბურგის" ქართველმა თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა, „შტუტგარტის" კარი დალაშქრა თანაც ორჯერ. მერე ფეხბურთელს ცუდი დრო დაუდგა, მძიმედ დაშავდა და თითქმის რვა თვე ვერ ითამაშა. მერე მინდორზე კი გამოჩნდა, მაგრამ ძველი იაშკას აჩრდილიღა იყო. მიუხედავად ამისა, გუნდის თავკაც ფოლკერ ფინკეს მისი სწამდა და ძირითადშიც მუდმივად აყენებდა. ჩვენებურმაც გაუმართლა. ქომაგს იმედი წინა ტურში „უნტერჰახინგთან" მატჩში გაუჩნდა, ქართველმა ფორვარდმა მეტოქის მცველები წამით არ ამოასუნთქა, მართალია, ოთხი გატანილი გოლიდან თავის ანგარიშზე ვერც ერთი ჩაიწერა, მაგრამ „ფრაიბურგის" გამარჯვებაში მაინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. კვირას კი...

„დუისბურგთან" საგარეო შეხვედრის 49-ე წუთზე „ფრაიბურგმა" მორიგი კონტრშეტევა განახორციელა — რამდანემ საჯარიმოს ხაზთან ბაიას მისცა პასი. ამან კი საჯარიმოში შეჭრილ იაშვილს ჩაუგდო, იაშვილმა მკერდით ჩამოიღო ბურთი და მიწაზე დაშვება არ აცალა, მარცხენა ფეხით ვარდნაში სტაუჩეს ცხრიანში გაუტანა — 0:1. მასპინძლებმა მალე გაათანაბრეს — 67-ე წუთზე ვოლერტმა ასევე ლამაზი დარტყმით შეაგდო. მერე კი 89-ე წუთიც დადგა — სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, ვაისჰაუპტმა ქართველი მეორედ დატოვა ხელსაყრელ პოზიციაში, იაშვილს თავადაც შეეძლო დარტყმა, მაგრამ არ იძუნწა, ვაისჰაუპტს გამოზომილი პასით დაუცველ კარში გაატანინა. შედეგად „ფრაიბურგმა" 2:1 გაიმარჯვა და სახიფათო ზონასაც ოდნავ დაშორდა.

„კიკერმა" იაშვილი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა (წლეულსაც ყველაზე მაღალი შეფასება 2,5 დაუწერა). „სტუმართა შორის ყველაზე საშიში იყო და თამაშის ბედი გადაწყვიტა" — აი, ასე შეფასდა ჩვენებურის გარჯა.

ცხრილის სათავეში კი არაფერი შეცვლილა. „ლევერკუზენმაც" და „ბაიერნმაც" მორიგი სამი ქულა შეიმატეს.

მიუნხენელებმა ზედიზედ სამი ფრის შემდეგ შინ წყალწაღებული „ულმი" გამოიჭირეს და ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს.

პირველი გოლი მართლაც შედევრი გახლდათ — 21-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა ერთ-ერთი ულმელის ჩაწოდებული მასპინძლებმა საჯარიმოდან გამოიტანეს, ბურთი პაულო სერჟიოს მიუვიდა, რომელმაც მაკრატელათი ეფენბერგს მოედნის ცენტრში უპასა. ამან ერთი შეხებით იანკერი მოძებნა, რომელმაც ასევე ერთი შეხებით მეკარესთან პირისპირ დატოვა შოლი. ესეც ერთხელ შეეხო ბურთს და ანგარიში გაიხსნა. სულ მალე პაულო სერჟიომ პენალტით სხვაობა ორამდე გაზარდა. მეორე ტაიმში „ბაიერნმა" უფრო უკეთ ითამაშა და კიდევ სამი გოლი გაიტანა, ერთი არ ჩაუთვალეს, თანამსაჯმა არარსებული თამაშგარე დააფიქსირა. 62-ე წუთზე ეფენბერგმა ჩვეული გრძელი გადაცემით იანკერი მეკარეს შეატოვა და ანგარიშიც 3:0 გახდა. ბოლოს კი ბავარიელთა პოლონელმა ლეგიონერმა ვოიცეხოვსკიმ გამოიჩინა თავი — ბუნდესლიგაში თავისი პირველი ბურთი შეაგდო.

„კარგია, როცა შენი თამაშით შენვე ტკბები. დღეს გუნდით ძალიან ნასიამოვნები ვარ" — შეიქო თავი „ბაიერნის" ლიდერმა შტეფან ეფენბერგმა.

„ლევერკუზენს" კი დიდი ბრძოლა გადახდა თავს და მსაჯს რომ მატჩის მიწურულს კირსტენის ხელით თამაში დაენახა, იქნებ ვერც მოეგო. ლევერკუზენელთა მთავარმა გოლეადორმა თავის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ხელით მოიგერია, შტრამპემ კი მატჩი გააგრძელა. ეს 89-ე წუთზე მოხდა, როცა „ლევერკუზენი" საკუთარ მინდორზე კრიზისში მყოფ „დორტმუნდს" 2:1-ს უგებდა. ბოლო წუთზე კი ლემანმა მანამ არ მოიგერია ბურთი, სანამ ბრდარიჩმა არ წაართვა და მესამე არ გაუტანა.

ისე კი, მეორე წრის საუკეთესო და ყველაზე ცუდი გუნდების მატჩი ამ უკანასკნელთა უპირატესობით დაიწყო და ეს ანგარიშშივე გამოიხატა. მე-2 წუთზე რეინამ ჩინებულად ითამაშა და „დორტმუნდი" დააწინაურა. მალე სტუმართა კარში უსამართლო პენალტი დაინიშნა. ბალაკმა კი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა რინკი წესების დარღვევაში ამხილა და დარტყმის გამეორება მოითხოვა. ბალაკს ნერვებმა უმტყუნა და ცუდად დარტყმული ლემანმა აუღო. მასპინძლებმა მაინც გაათანაბრეს — პირველი ნახევრის მიწურულს რინკმა თავით იხეირა. მეორე ნახევარში მინდორზე „ლევერკუზენი" ბატონობდა, თანაც სტუმრებს როიტერი გაუძევეს თუმცა გოლი არ გადიოდა. მასპინძლებს მხსნელად კვლავ რინკი მოევლინათ — 84-ე წუთზე ბრაზილიელმა თავით 2:1 გახადა. მერე რაც მოხდა, უკვე ვთქვით და მატჩიც 3:1 დასრულდა.

„ჩვენსას ყველაფერს ხედავენ, სხვისას ვერაფერს, ეს სამართალია?" — გაღიზიანებული იყო მატჩის შემდეგ დორტმუნდელთა ვეტერანი მცველი იურგენ კოლერი.

„კაიზერსლაუტერნმა" წინა ტურში „შტუტგარტთან" საშინაო მარცხს შაბათს „შალკესთან" საგარეო გამარჯვება მიაყოლა. ტარესა და პეტერსონის ორ საუცხოო გოლს ლატალმაც ლამაზად უპასუხა და მასპინძლებმა 1:2 დათმეს.

თავად „შტუტგარტმა" კი „კაიზერსლაუტერნთან" გამარჯვების მერე „ვოლფსბურგთან" შინ წააგო. წაგებაცაა და წაგებაც — შტუტგარტელები 2:5 შერცხვნენ. სტუმართაგან უდავოდ ჰეთ-თრიქის ავტორი ჯონათან აკპობორი გამოირჩა.

„ჰერტამ" კი ზედიზედ ხუთმატჩიანი წაუგებელი სერიით გათამამებულ ფრანკფურტის „აინტრახტს" სძლია და წარმატებული სვლაც შეუწყვიტა. ერთადერთი გოლი, რა თქმა უნდა, მიხაელ პრეეცმა გაიტანა.

საერთოდ, ეს ტური იმით გამოირჩა, რომ ბოლო შვიდეულის წარმომადგენელთაგან ექვსი დამარცხდა, მხოლოდ „ფრაიბურგმა" იმარჯვა. კარგია, რომ ამ საქმეში ლომის წილი ქართველმა დაიდო. იმედია, იაშვილი თავს არც 29-ე ტურში შეირცხვენს, „ფრაიბურგს" ხომ ხვალ მძიმე მატჩი ელის — „დრაიზამშტადიონს" მიუნხენის „ბაიერნი" სტუმრობს.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლევერკუზენი | 28 | 17 | 9 | 2 | 60:30 | 30 | 60 | 15 | 11 | 4 | 0 | 36:15 | 21 | 37 | 13 | 6 | 5 | 2 | 24:15 | 9 | 23 |
| 2 | ბაიერნი | 28 | 17 | 7 | 4 | 59:23 | 36 | 58 | 14 | 10 | 3 | 1 | 42:13 | 29 | 33 | 14 | 7 | 4 | 3 | 17:10 | 7 | 25 |
| 3 | ჰამბურგი | 28 | 15 | 9 | 4 | 59:30 | 29 | 54 | 14 | 10 | 3 | 1 | 34:9 | 25 | 33 | 14 | 5 | 6 | 3 | 25:21 | 4 | 21 |
| 4 | ვერდერი | 28 | 12 | 7 | 9 | 59:44 | 15 | 43 | 15 | 9 | 3 | 3 | 36:22 | 14 | 30 | 13 | 3 | 4 | 6 | 23:22 | 1 | 13 |
| 5 | ლაუტერნი | 28 | 13 | 4 | 11 | 42:49 | -7 | 43 | 13 | 6 | 2 | 5 | 22:23 | -1 | 20 | 15 | 7 | 2 | 6 | 20:26 | -6 | 23 |
| 6 | ჰერტა | 28 | 11 | 9 | 8 | 35:40 | -5 | 42 | 14 | 8 | 5 | 1 | 23:11 | 12 | 29 | 14 | 3 | 4 | 7 | 12:29 | -17 | 13 |
| 7 | მიუნხენი | 28 | 11 | 8 | 9 | 43:41 | 2 | 41 | 14 | 9 | 2 | 3 | 29:17 | 12 | 29 | 14 | 2 | 6 | 6 | 14:24 | -10 | 12 |
| 8 | ვოლფსბურგი | 28 | 10 | 11 | 7 | 46:49 | -3 | 41 | 14 | 7 | 3 | 4 | 24:23 | 1 | 24 | 14 | 3 | 8 | 3 | 22:26 | -4 | 17 |
| 9 | შტუტგარტი | 28 | 12 | 3 | 13 | 33:39 | -6 | 39 | 14 | 5 | 1 | 8 | 17:23 | -6 | 16 | 14 | 7 | 2 | 5 | 16:16 | 0 | 23 |
| 10 | შალკე | 28 | 8 | 11 | 9 | 38:37 | 1 | 35 | 14 | 4 | 8 | 2 | 19:13 | 6 | 20 | 14 | 4 | 3 | 7 | 19:24 | -5 | 15 |
| 11 | უნტერჰახინგი | 28 | 9 | 7 | 12 | 33:36 | -3 | 34 | 14 | 8 | 4 | 2 | 18:9 | 9 | 28 | 14 | 1 | 3 | 10 | 15:27 | -12 | 6 |
| 12 | ფრაიბურგი | 28 | 8 | 9 | 11 | 39:43 | -4 | 33 | 14 | 6 | 4 | 4 | 24:15 | 9 | 22 | 14 | 2 | 5 | 7 | 15:28 | -13 | 11 |
| 13 | დორტმუნდი | 28 | 7 | 11 | 10 | 32:30 | 2 | 32 | 14 | 4 | 6 | 4 | 19:16 | 3 | 18 | 14 | 3 | 5 | 6 | 13:14 | -1 | 14 |
| 14 | ჰანზა | 28 | 6 | 12 | 10 | 35:49 | -14 | 30 | 14 | 6 | 6 | 2 | 20:16 | 4 | 24 | 14 | 0 | 6 | 8 | 15:33 | -18 | 6 |
| 15 | ულმი | 28 | 8 | 6 | 14 | 30:52 | -22 | 30 | 14 | 6 | 3 | 5 | 19:21 | -2 | 21 | 14 | 2 | 3 | 9 | 11:31 | -20 | 9 |
| 16 | აინტრახტი | 28 | 8 | 5 | 15 | 31:38 | -7 | 29 | 13 | 5 | 3 | 5 | 19:13 | 6 | 18 | 15 | 3 | 2 | 10 | 12:25 | -13 | 11 |
| 17 | დუისბურგი | 28 | 4 | 8 | 16 | 32:54 | -22 | 20 | 14 | 2 | 6 | 6 | 17:19 | -2 | 12 | 14 | 2 | 2 | 10 | 15:35 | -20 | 8 |
| 18 | არმინია | 28 | 4 | 8 | 16 | 29:51 | -22 | 20 | 14 | 2 | 6 | 6 | 18:21 | -3 | 12 | 14 | 2 | 2 | 10 | 11:30 | -19 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 14 |
| მაქსი (მიუნხენი) | 13 |
| სანდი (შალკე 04) | 13 |
| აილტონი (ვერდერი) | 12 |
| აკპობორი (ვოლფსბურგი) | 12 |

**XXIX ტური**

11 აპრილი
ვოლფსბურგი - შალკე
დორტმუნდი - უნტერჰახინგი
ლაუტერნი - ჰერტა
ულმი - შტუტგარტი

12 აპრილი
ფრაიბურგი - ბაიერნი
მიუნხენი - დუისბურგი
ჰანზა - ლევერკუზენი
აინტრახტი - ვერდერი
არმინია - ჰამბურგი

## მეორე ბუნდესლიგა

XXVI ტური

**ნიურნბერგი 3:1 ალემანია**
1:0 ბელიაკოვი (11), 2:0 ნიკლი (25), 2:1 ჰეერენი (36), 3:1 ბელიაკოვი (61)

**მაინცი 1:1 ზანქტ პაული**
0:1 მარინი (27), 1:1 ჰოკი (33)

**ჰანოვერი 3:2 კოტბუსი**
1:0 შტენდელი (1), 2:0 რაინჰარდტი (12), 2:1 ბაიტენკურტი (47), 3:1 კობილანსკი (58), 3:2 მატიუში (59)

**მიონხენგლადბახი 1:1 კიკერსი**
0:1 მარიჩი (39პ), 1:1 ვან ლენტი (69)

**ოფენბახი 2:1 ობერჰაუზენი**
1:0 ბახაუსი (21ს.კ.), 1:1 შარპენბერგი (29), 2:1 კოლინგერი (39)

**ქემნიცი 3:1 კარლსრუე**
1:0 ზეპეკი (40ს.კ.), 2:0 კრუპნიკოვიჩი (72), 2:1 დე ნაპოლი (78), 3:1 კრუპნიკოვიჩი (87)

**ვალდჰოფი 3:3 ფიურტი**
1:0 პროცელი (8), 1:1 პასიეკა (16), 2:1 ტური (48), 2:2 რაიხელი (60), 2:3 ტური (87), 3:3 შებოკი (90)

**ფორტუნა 4:1 კიოლნი**
1:0, 2:0 იუნგა-მუჰანი (6, 38), 2:1 ტიმი (55), 3:1 შულერი (60), 4:1 გრაფი (90)

**ბერლინი 0:4 ბოხუმი**
0:1 რისტაუ (48), 0:2 მიოლერი (61), 0:3 პეშელი (64), 0:4 მარიჩი (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 26 | 14 | 7 | 5 | 50:26 | 49 |
| ბოხუმი | 26 | 14 | 5 | 7 | 45:34 | 47 |
| კოტბუსი | 26 | 13 | 3 | 10 | 48:33 | 42 |
| ნიურნბერგი | 25 | 12 | 6 | 7 | 42:38 | 42 |
| გლადბახი | 26 | 10 | 10 | 6 | 41:31 | 40 |
| ალემანია | 26 | 10 | 9 | 7 | 36:40 | 39 |
| ბერლინი | 26 | 9 | 10 | 7 | 33:33 | 37 |
| ვალდჰოფი | 26 | 8 | 12 | 6 | 38:36 | 36 |
| ჰანოვერი | 26 | 9 | 7 | 10 | 39:40 | 34 |
| მაინცი | 26 | 7 | 11 | 8 | 32:31 | 32 |
| ქემნიცი | 25 | 8 | 7 | 10 | 33:36 | 31 |
| ობერჰაუზენი | 26 | 7 | 10 | 9 | 27:30 | 31 |
| ფიურტი | 26 | 6 | 13 | 7 | 28:32 | 31 |
| ზტ. პაული | 26 | 6 | 12 | 8 | 26:31 | 30 |
| ოფენბახი | 26 | 6 | 10 | 10 | 26:37 | 28 |
| ფორტუნა | 26 | 5 | 11 | 10 | 25:35 | 26 |
| კიკერსი | 26 | 6 | 7 | 13 | 36:49 | 25 |
| კარლსრუე | 26 | 3 | 10 | 13 | 29:42 | 19 |

## იტალია

XXIX ტური

**ბოლონია 0:2 იუვენტუსი**

0:1 კოვაჩევიჩი (90), 0:2 პაგანინი (94ს.კ.)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, პაგანინი, დალ კანტო, ნერვო (ტონეტო 67), ინგესონი, პიაჩენტინი, გორეტი (ვომე 86), პარამატი, ვენტოლა (ბინოტო 77), სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ტუდორი (ბირინდელი 73), მონტერო, იულიანო, ძამბროტა (ესნაიდერი 83), კონტე, დავიდსი, პესოტო, ზიდანი, დელ პიერო, ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 59)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: გორეტი, ნერვო, სინიორი, ზიდანი
გაძევება: ფალკონე (70)
მსაჯი: დე სანტისი
35 000 მაყურებელი

**ტორინო 2:2 პარმა**

1:0 სომეზე (19), 1:1 კრესპო (51), 1:2 ამოროზო (74), 2:2 სილენცი (75)
ტორინო: ბუჩი, ბონომი, გრანდონი, გალანტე, სომეზე (კოკო 66), დიავარა (ტრიკარიკო 46), პეკია, იურჩიჩი, ლენტინი (სილენცი 66), ფერანტე, პინგა
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
პარმა: ბუფონი, კანავარო, ტურამი, ბენარივო, ფუზერი, ბოლანო (სტანიჩი 46), პაულო სოუზა (დ. ბაჯო 46), დაბო (ვალემი 90), ვანოლი, კრესპო, ამოროზო
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
გაფრთხილება: პეკია, გრანდონი, გალანტე, ფერანტე, ბოლანო, დაბო, ამოროზო
მსაჯი: ტრეოსი
16 000 მაყურებელი

**უდინეზე 3:0 ინტერი**

1:0, 2:0, 3:0 სოსა (4, 44, 68)
უდინეზე: ტურჩი, ძანკი (ძამბონი 75), სოტილი, ბერტოტო, ალბერტო (ჟენო 65), ფიორე, ვან დერ ვეგტი, იორგენსენი (კამარა 83), ბისგაარდი, სოსა, მუცი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
ინტერი: პერუცი, პანუჩი, სიმიჩი (გეორგატოსი 27, ზეედორფი, 46), ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, კოე, დი ბიაჯო, იუგოვიჩი (რ. ბაჯო 58), სამორანო, რეკობა
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ბისგაარდი, სამორანო
მსაჯი: რაკალბუტო
27 934 მაყურებელი

**მილანი 1:1 ფიორენტინა**

0:1 დი ლივიო (71), 1:1 ლეონარდო (76)
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო, ალბერტინი (სალა 30), დე აშენტისი (ლეონარდო 63), ამბროზინი, გულიელმინპიეტრო, შევჩენკო, ბირჰოფი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პადალინო, პიერინი, ტორიჩელი, როსიტო, დი ლივიო (ამორი 82), კ. ამორუზო (ტაროცი 70), ჰაინრიხი, კიეზა (ვაკუფცისი 89), მიატოვიჩი
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
გაფრთხილება: კოსტაკურტა, გატუზო, დე აშენტისი, ამორუზო
მსაჯი: პელეგრინო
56 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:0 ვენეცია**

1:0 ბოგდანი (66)
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, სტოვინი, ჯაკეტა (ვარგასი 66), ჩირილო, ბრევი, ბარონიო, მორაბიტო, კოცა (პირლო 61), ბოგდანი, კალონი (ფოლიო 86)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ვენეცია: ბენუსი, კარდონე, ბილიკა (პავანი 85), ნგოტი, ბეტარინი (ჯინესტრა 77), ვალტოლინა, მალდონადო, ვოლპი, პედონე, ბუდანი, განცი (ბერგი 67)
მწვრთნელი: ფრანჩესკო ოდო
გაფრთხილება: კარდონე, ვოლპი, ბეტარინი, ბილიკა
მსაჯი: აიროლდი
25 000 მაყურებელი

# ცხენები იტალიაში



REUTERS მილანიდან

მილანი — ფიორენტინა 1:1. ფლორენციელ პრედრაგ მიატოვიჩს (მარჯვნივ) მილანელებმა მასიმო ამბროზინიმ და ანდრეს გულიელმინპიეტრომ (№24) ბურთი აართვეს

**პიაჩენცა 2:1 ბარი**

1:0 ჯილარდინო (26), 2:0 გაუტიერი (60), 2:1 ანდერსონი (67)
პიაჩენცა: რომა, პოლონია, ლამაკი, ვერხოვოდი, კრისტალინი, სტატუტო (დელი კარი 53), მორონე (საკეტი 69), მანიგეტი, პიოვანი (ბუზო 4), ჯილარდინო, გაუტიერი
მწვრთნელი: დანიელე ბერნაცანი
ბარი: ფ. მანჩინი, დე როსა, ინოჩენტი, ფერარი, დელ გროსო (ოსმანოვსკი 50), კოლაუტო, დ. ანდერსონი, მ. მარკოლინი (პეროტა 42), ბელავისტა, ენინაია (სპინეზი 33), კასანო
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
გაფრთხილება: მანიგეტი, ანდერსონი, ბელავისტა, ინოჩენტი, პეროტა
გაძევება: კრისტალინი (90)
მსაჯი: კასარა
16 670 მაყურებელი

**ლეჩე 0:0 რომა**

ლეჩე: კიმენტი, ბალერი, პივოტო, ვიალი, ხუარესი, სავინო (კოლონელო 92), კონტიკიო (მარინო 91), პიანჯერელი, ლიმა, სესა (ბონომი 87), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
რომა: ლუპატელი, ძაგო, ალდაირი, მანგონე (რინალდი 26), კაფუ, ტომაზი, მარკოს ასუნსაო, დი ფრანჩესკო, ნაკატა (ბლასი 39), პოჯი, დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ალდაირი, კაფუ, დელვეკიო, ვიალი
გაძევება: ლუკარელი (60), პიანჯერელი (90)
მსაჯი: პრესკერნი
6 929 მაყურებელი

**ლაციო 1:0 პერუჯა**

1:0 ლომბარდო (48)
ლაციო: ბალოტა, ნეგრო, ნესტა (ფერნანდო კოუტუ 47), მიხაილოვიჩი, პანკარო, ლომბარდო (სიმეონე 71), სენსინი, ვერონი, ნედვედი, სალასი, რავანელი (სერჟიო კონსეისაო 78)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
პერუჯა: მაცანტინი, ილარიო (ალენიჩევი 68), რივალტა, კალორი, მატერაცი, მილანეზე, ესპოზიტო, ბიზოლი (კაპიოლი 82), ოლივე, რაპაიჩი (მელი 78), ნ. ამორუზო
მწვრთნელი: კარლო მაცონი
გაფრთხილება: სენსინი, ოლივე
მსაჯი: როსეტი
42 990 მაყურებელი

**კალიარი 0:1 ვერონა**

0:1 ფალსინი (37)
კალიარი: ფრანცონე, დილიზო, ლოპესი (ბიანკონი 39), ვილა, ბერეტა, აბეიონი (მოდესტო 92), დე პატრე, მაჩელარი, მაიელე, კორადი (მელისი 78), მბომა
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ვერონა: ფრეი, დიანა, ლაურსენი, აპოლონი, ფალსინი, ბროკი (ფილიპინი 70), მარასკო, იტალიანო (კოლუჩი 70), მელისი, სალვეტი (კოსატო 73), კამარატა
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: დე პატრე, მაჩელარი, დიანა
მსაჯი: ბრანცონი
13 000 მაყურებელი

გადავხედოთ შედეგებს: „იუვენტუსმა" მოიგო, „ლაციომ" მოიგო, „მილანმა" ფრედ ითამაშა, „პარმამ" ფრედ ითამაშა, „ინტერმა" წააგო, „რომამ" ფრედ ითამაშა...

ამრიგად, სკუდეტოსთვის მთავარ მებრძოლთა შორის სხვაობა ძველებური დარჩა, „იუვენტუსი" „ლაციოს" კვლავ სამი ქულით უსწრებს — იტალია ახალი წლის შემდგომ მდგომარეობას დაუბრუნდა, როდესაც მიმომხილველები ჩემპიონატს ორი ცხენის დოღს უწოდებდნენ. ტურინელები თუ რომაელები?

ჩავიხედოთ კალენდარში: „იუვენტუსი" უახლოეს ტურში უნდა ესტუმროს „ინტერს", შემდეგ „ფიორენტინას" უმასპინძლებს, ჩავა ვერონაში, მიიღებს „პარმას", ბოლოს კი პერუჯაში ითამაშებს; „ლაციო" შესაბამისად სტუმრობს „ფიორენტინასა" და „პიაჩენცას", მასპინძლობს „ვენეციას", შემდეგ მიდის ბოლონიაში და ბოლოს, შინ, „სტადიო ოლიმპიკოზე" „რეჯინას" დაუხვდება.

სამი ქულა, ბუნებრივია, დიდი სხვაობა არ არის, ისევე როგორც სერია A-ში არ არის მოწინააღმდეგე, რომელიც კაპიტულაციას გამოაცხადებს და უბრძოლველად ან საერთოდ მოგაგებინებს, მაგრამ არც „იუვენტუსია" ის გუნდი, მიზანმა და მდგომარეობამ რომ დააფრთხოს. იქნებ ზედმეტ სითამამედაც ჩამოგვართვათ, მაგრამ გავბედავთ და მაინც ვიტყვით, რომ რომაელებთან ტურინელთა სამქულიანი უპირატესობა მეტია, ვიდრე ტურინელებთან რომაელთა ასეთივე უპირატესობა იქნებოდა. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ იტალიის ჩემპიონი აუცილებლად „ბებერი ქალბატონი" გახდება, თუმცა ის, რომ უფრო გამოცდილი, მებრძოლი და მაღალი კლასის გუნდია ტიტულებიდან ჩანს.

„იუვენტუსი" ბოლონიაში ორი ქულის დაკარგვისგან მოედანზე მეორე ტაიმში შესულმა დარკო კოვაჩევიჩმა იხსნა. თამაშის დამთავრებას ორიოდ წუთი რომ აკლდა, მისმა თავურმა სასწორი სტუმართა მხარეს გადახარა, შემდეგ კი ადრე „ინტერში" ნათამაშევმა მასიმო პაგანინმა საკუთარ კარში შეაგდო ბურთი. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის ბოლო 20 წუთი მასპინძლებმა გაძევებული მცველის, ჯულიო ფალკონეს გარეშე, რიცხობრივ უმცირესობაში ითამაშეს.

„ლაციო" „პერუჯას" მასპინძლობდა და სამი ქულა ატილიო ლომბარდოს ერთობ შემთხვევითი გოლის წყალობით მოიპოვა. ეს გახლდათ რომაელთა პირველი გამარჯვება სარდინიაზე 1976 წლის შემდეგ, რამაც კუნძულელები ცხრილში ბოლო ადგილზე ჩაუძახა. არაა გამორიცხული, რომ „ლაციომ" ნაწილობრივ დაზოგა კიდეც ძალები, რადგან ამ კვირაში იმავე „სტადიო ოლიმპიკოზე" „ინტერის" წინააღმდეგ ქვეყნის თასის პირველ ფინალურ შეხვედრაში უწევს თამაში.

„ინტერს" რაღა მოუვიდა? თუ გავითვალისწინებთ, რომ მანამდე ზედიზედ ოთხ შეხვედრაში არ გაემარჯვა, განსაკუთრებულიც არაფერი. უბრალოდ, „უდინეზეში" 1998 წელს გადასულმა არგენტინელმა რობერტო სოსამ ამ გუნდში თავისი პირველი ჰეთ-თრიკის შესრულება მაინცდამაინც მილანელ შავ-ლურჯთა კარში მოინდომა. სოსამ მე-4, 44-ე და 68-ე წუთებზე შეურყია ეროვნული თასის ფინალისტს საკუთარი თავის რწმენა.

ამრიგად, მარჩელო ლიპის ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვება თუ სურს, უნდა დაუბრუნდეს ისეთ შედეგს, ბოლოს 5 მარტს რომ ჰქონდა ანუ მოიგოს.

რა თამაშები დარჩა? ახლა „იუვენტუსს" მასპინძლობს, შემდეგ „ბარის", ამის მერე სტუმრობს „პერუჯას", მასპინძლობს „ფიორენტინას" და ჩემპიონატს სარდინიაზე, „კალიარისთან" შეხვედრით ასრულებს.

საინტერესოა, იმ დროისთვის იქნება თუ არა „კალიარი" სერია B-ში გავარდნილი. დიდი შანსია, რომ სწორედ ასე იყოს, რადგან ეს გუნდი „პიაჩენცასთან" ერთად ბოლოდან მესამე ადგილზე მყოფ „ვენეციას" მთელი ხუთი ქულით ჩამორჩება.

„პიაჩენცამ" ბოლო ტურში გასავარდნთა ჯგუფზე სამი ქულით ზევით მყოფ „ბარის" მოუგო 2:1, მაგრამ თამაშის ბოლო წუთზე მას პაოლო კრისტალინი გაუძევეს.

რაკილა გაძევებები ორი შეხვედრის შესახებ საუბრისას უკვე ვახსენეთ, დავძინოთ, რომ მსაჯმა წითელ უკიდურესობას კიდევ ერთი მატჩის დროს მიმართა, თანაც ორჯერ. ეს გახლდათ „ლეჩესა" და „რომას" უგოლო შეხვედრა, რომლის დამთავრებაც ორ ლეჩელს, კრისტიანო ლუკარელის და ლუიჯი პიანჯერელის არ აცადეს.

**ბაჩუნა ძედია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 იუვენტუსი | 29 | 18 | 8 | 3 | 42:16 | 26 | 62 | 15 | 12 | 2 | 1 | 26:8 | 18 | 38 | 14 | 6 | 6 | 2 | 16:8 | 8 | 24 |
| 2 ლაციო | 29 | 17 | 8 | 4 | 50:26 | 24 | 59 | 15 | 11 | 4 | 0 | 34:13 | 21 | 37 | 14 | 6 | 4 | 4 | 16:13 | 3 | 22 |
| 3 მილანი | 29 | 13 | 11 | 5 | 55:36 | 19 | 50 | 15 | 8 | 6 | 1 | 35:18 | 17 | 30 | 14 | 5 | 5 | 4 | 20:18 | 2 | 20 |
| 4 პარმა | 29 | 14 | 8 | 7 | 45:34 | 11 | 50 | 14 | 8 | 3 | 3 | 24:14 | 10 | 27 | 15 | 6 | 5 | 4 | 21:20 | 1 | 23 |
| 5 ინტერი | 29 | 14 | 7 | 8 | 50:29 | 21 | 49 | 14 | 9 | 4 | 1 | 36:10 | 26 | 31 | 15 | 5 | 3 | 7 | 14:19 | -5 | 18 |
| 6 რომა | 29 | 13 | 8 | 8 | 52:31 | 21 | 47 | 14 | 9 | 3 | 2 | 31:13 | 18 | 30 | 15 | 4 | 5 | 6 | 21:18 | 3 | 17 |
| 7 უდინეზე | 29 | 12 | 8 | 9 | 51:38 | 13 | 44 | 15 | 8 | 3 | 4 | 34:22 | 12 | 27 | 14 | 4 | 5 | 5 | 17:16 | 1 | 17 |
| 8 ფიორენტინა | 29 | 10 | 11 | 8 | 35:34 | 1 | 41 | 14 | 8 | 4 | 2 | 21:14 | 7 | 28 | 15 | 2 | 7 | 6 | 14:20 | -6 | 13 |
| 9 ვერონა | 29 | 9 | 9 | 11 | 31:38 | -7 | 36 | 14 | 7 | 4 | 3 | 17:10 | 7 | 25 | 15 | 2 | 5 | 8 | 14:28 | -14 | 11 |
| 10 რეჯინა | 29 | 8 | 12 | 9 | 27:34 | -7 | 36 | 15 | 6 | 6 | 3 | 14:15 | -1 | 24 | 14 | 2 | 6 | 6 | 13:19 | -6 | 12 |
| 11 პერუჯა | 29 | 10 | 6 | 13 | 30:46 | -16 | 36 | 14 | 5 | 4 | 5 | 18:23 | -5 | 19 | 15 | 5 | 2 | 8 | 12:23 | -11 | 17 |
| 12 ბოლონია | 29 | 8 | 11 | 10 | 25:30 | -5 | 35 | 15 | 7 | 5 | 3 | 14:8 | 6 | 26 | 14 | 1 | 6 | 7 | 11:22 | -11 | 9 |
| 13 ლეჩე | 29 | 8 | 10 | 11 | 27:37 | -10 | 34 | 15 | 7 | 5 | 3 | 14:9 | 5 | 26 | 14 | 1 | 5 | 8 | 13:28 | -15 | 8 |
| 14 ბარი | 29 | 8 | 7 | 14 | 29:43 | -14 | 31 | 14 | 5 | 7 | 2 | 16:12 | 4 | 22 | 15 | 3 | 0 | 12 | 13:31 | -18 | 9 |
| 15 ტორინო | 29 | 6 | 10 | 13 | 28:41 | -13 | 28 | 14 | 4 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 16 | 15 | 2 | 6 | 7 | 13:22 | -9 | 12 |
| 16 ვენეცია | 29 | 6 | 7 | 16 | 25:48 | -23 | 25 | 15 | 6 | 4 | 5 | 16:16 | 0 | 22 | 14 | 0 | 3 | 11 | 9:32 | -23 | 3 |
| 17 პიაჩენცა | 29 | 4 | 8 | 17 | 17:37 | -20 | 20 | 15 | 3 | 6 | 6 | 11:16 | -5 | 15 | 14 | 1 | 2 | 11 | 6:21 | -15 | 5 |
| 18 კალიარი | 29 | 3 | 11 | 15 | 25:46 | -21 | 20 | 14 | 3 | 6 | 5 | 13:15 | -2 | 15 | 15 | 0 | 5 | 10 | 12:31 | -19 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 21 |
| კრესპო (პარმა) | 19 |
| მონტელა (რომა) | 16 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 16 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი) | 15 |
| კ. ლუკარელი (ლეჩე) | 14 |
| ფერანტე (ტორინო) | 14 |

**XXX ტური**

15 აპრილი
ფიორენტინა — ლაციო
ვერონა — უდინეზე
16 აპრილი
რომა — ბოლონია
ინტერი — იუვენტუსი
ბარი — ლეჩე
ტორინო — მილანი
პერუჯა — პიაჩენცა
კალიარი — რეჯინა
პარმა — ვენეცია

## სერია B

XXX ტური

**ჩეზენა 0:0 სამპდორია**

**ალძანო 2:2 ფერმანა**

1:0 ფერარი (44პ), 1:1 ფანეზი (45), 2:1 ფერარი (78პ), 2:2 პანდოლფი (82)

**ჯენოა 2:1 პისტოიეზე**

1:0 მუტარელი (26), 1:1 ბენინი (63), 2:1 ფრანკიოზო (94)

**მონცა 2:1 კიევო**

1:0 ტოპიჩი (26), 1:1 ალიეტი (73), 2:1 კოლომბო (77)

**ნაპოლი 1:1 სავოია**

0:1 გრეკო (10), 1:1 მორა (45)

**სალერნიტანა 0:1 ატალანტა**

0:1 დონი (48)

**ტერნანა 3:0 კოზენცა**

1:0 ბორგობელო (8), 2:0 მიკოლი (29), 3:0 ბორგობელო (75)

**ტრევიზო 0:0 ემპოლი**

**ვიჩენცა 3:1 პესკარა**

1:0 ლუიზო (31), 2:0 კომანდინი (37), 3:0 ლუიზო (43), 3:1 ჯელსი (56პ)

**ბრეშა — რავენა**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 30 | 16 | 6 | 8 | 55:32 | 54 |
| ბრეშა | 29 | 13 | 11 | 5 | 41:24 | 50 |
| ატალანტა | 30 | 14 | 8 | 8 | 40:28 | 50 |
| ნაპოლი | 30 | 12 | 11 | 7 | 41:34 | 47 |
| სამპდორია | 30 | 12 | 11 | 7 | 33:27 | 47 |
| ჯენოა | 30 | 12 | 6 | 12 | 37:33 | 42 |
| სალერნიტანა | 30 | 11 | 9 | 10 | 43:42 | 42 |
| ტრევიზო | 30 | 11 | 8 | 11 | 39:36 | 41 |
| კიევო | 30 | 10 | 9 | 11 | 37:39 | 39 |
| კოზენცა | 30 | 9 | 12 | 9 | 26:29 | 39 |
| ჩეზენა | 30 | 8 | 14 | 8 | 37:34 | 38 |
| რავენა | 29 | 9 | 11 | 9 | 29:27 | 38 |
| ტერნანა | 30 | 8 | 13 | 9 | 32:37 | 37 |
| პესკარა | 30 | 7 | 15 | 8 | 43:40 | 36 |
| ალძანო | 30 | 9 | 9 | 12 | 28:37 | 36 |
| ემპოლი | 30 | 9 | 9 | 12 | 28:44 | 36 |
| მონცა | 30 | 6 | 16 | 8 | 30:35 | 34 |
| პისტოიეზე | 30 | 9 | 8 | 13 | 28:34 | 31 |
| სავოია | 30 | 6 | 10 | 14 | 29:44 | 28 |
| ფერმანა | 30 | 5 | 10 | 15 | 28:48 | 25 |

* *„პისტოიეზეს" დაკლებული აქვს 4 ქულა*

## სერია C1/A

29-ე ტური. ალბინოლეფე — ვარეზე 1:1; ბრეშელო — სპალ 0:0; კარარეზე — მონტევარკი 1:1; ჩიტადელა — ლუმეცანე 2:0; კომო — რეჯანა 3:1; კრემონეზე — ლეკო 1:0; ლუკეზე — ლივორნო 1:0; მოდენა — სიენა 1:0; პიზა — სანდონა 3:1

## სერია C1/B

29-ე ტური. ანკონა — მარსალა 2:0; ასკოლი — კატანია 2:1; ატლეტიკო — არეცო 0:1; ბენევენტო — კროტონე 1:1; ფ. ანდრია — ლოდიჯანი 2:1; გუალდო — აველინო 0:0; ნოჩერინა — ჯულიანოვა 1:0; პალერმო — დი სანგრო 0:0; ვიტერბეზე — სტაბია 3:0

## ესპანეთი

XXXII ტური

**ბარსელონა 0:3 მალიორკა**

0:1, 0:2 ეტოო (14, 73), 0:3 კარერასი (75)
ბარსელონა: ჰესპი, ფ. დე ბური, ბოგარდი, პიუოლი, აბელარდო, ხავი, გაბრი (ლიტმანენი 46), კოკუ, ფიგუ, რივალდო (სიმაო 62), კლუივერტი (დანი 73)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
მალიორკა: ლეო ფრანკო, სივიერო, ოლაიზოლა, ნადალი (ფერნანდო ნინიო 17), იბაგასა, ი. სტანკოვიჩი (კარერასი 46), ლორენი, ენგონგა, ჩიჩი სოლერი, ეტოო, დიეგო ტრისტანი (კარლოსი 70)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: კოკუ, სტანკოვიჩი, კლუივერტი, ფერნანდო ნინიო, ოლაიზოლა, ეტოო, ლორენი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
70 000 მაყურებელი

**დეპორტივო 4:1 ატლეტიკო**

1:0 ტურუ ფლორესი (20), 2:0, 3:0 მაკაი (41, 43), 3:1 ჰასელბაინკი (52), 4:1 მაკაი (85)
დეპორტივო: სონგო, სესარი, შურერი, დონატო, მანუელ პაბლო, იოკანოვიჩი (ხაიმე 56), მაურო სილვა, ფლავიო კონსეისაო, მაკაი, ტურუ ფლორესი (ფერნანდო 77), ვიქტორ სანჩესი (სკალონი 84)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ატლეტიკო: მოლინა, კაპდევილა, გამარა, სანტი, აგილერა, სოლარი, ვალერონი, ბეიბლი (ბარახა 46), ნიეგუსი (პაუნოვიჩი 46), ჰასელბაინკი, კიკო ნარვაესი (კორეა 75)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: ფლავიო კონსეისაო, ვალერონი, სოლარი, ხაიმე, სესარი, ბარახა
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი
30 000 მაყურებელი

**რეალი 1:0 სელტა**

1:0 რაული (67)
რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, ივან კამპო, მიჩელ სალგადო (ჯერემი 41), გუტი (ბალიჩი 58), რედონდო, ივან ელგერა, მაკმანამანი, სავიო (კარემბუ 83), რაული, მორიენტესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
სელტა: პინტო, ხუანფრანი, ველასკო, კასერესი, ჯოროვიჩი, სერხიო (ბელმადი 81), მოსტოვოი, კარპინი, მაკელელე, ბენი მაკკარტი (ტურდო 61), გუსტავო ლოპესი (რევივო 68)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: გუტი, ივან ელგერა, ჯოროვიჩი, ბალიჩი, გუსტავო ლოპესი, სერხიო
მსაჯი: ფერნანდეს მარინი
70 000 მაყურებელი

**ვალენსია 6:2 ოვიედო**

1:0 კლაუდიო ლოპესი (18), 2:0 დანჟუ (30ს.კ.), 3:0 კლაუდიო ლოპესი (50), 4:0 ანგულო (58), 5:0 ფარინოსი (61პ), 5:1 ონოპკო (65), 6:1 ოსკარი (82), 6:2 პომპეი (85)
ვალენსია: კანისარესი, კარბონი (ფაგიანი 50), პელეგრინო, ჯუკიჩი, ანგლომა, კილი გონსალესი (ალბელდა 63), ხერარდი, ანგულო, ფარინოსი, კლაუდიო ლოპესი, ხუან სანჩესი (ოსკარი 68)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ოვიედო: ესტებანი, ბორისი, ონოპკო, დანჟუ, რუბენი (რაბარივონი 56), პომპეი, პაულო ბენტუ, ნადი (ხაიმე 55), დელი ვალდესი, დუბოვსკი, ლოსადა
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ალბელდა, პაულო ბენტუ
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
32 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 1:1 სარაგოსა**

0:1 მარკოს ვალესი (63), 1:1 ვიქტორი (72პ)
ვალიადოლიდი: სესარი, მარკოსი, პაინცე, სანტამარია, გარსია კალვო, ტურიელი, ვისკაინო (ეუსებიო 46), კამინერო, მარკესი, ალბერტო (ისაილოვიჩი 73), ვიქტორი (კონგო 83)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
სარაგოსა: ხუანმი, ლანა, სოლანა, პაკო ხემესი, აგუადო, მარკოს ვალესი, გარიტანო, არაგონი, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, ხუანელე (ელგერა 79)
მწვრთნელი: ხოსე ფრანსისკო როხო
გაფრთხილება: მარკესი, არაგონი, ლანა
გაძევება: ტორო აკუნია (76)
მსაჯი: ხაპონ სევილია
12 000 მაყურებელი

**ბილბაო 1:2 რაიო ვალეკანო**

0:1 მიჩელ I (3), 0:2 ლორენსი (38), 1:2 ესკერო (49)
ბილბაო: ლაფუენტე, რობერტო რიოსი, ფელიპე (ედუ ალონსო 46), ლარაინსარი (ი. გერერო 60), კარლოს გარსია, ტიკო (ურსაისი 72), ლაკრუსი, ალკისა, ურუტია, ხ. ეჩებერია, ესკერო
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ლორენსი (ლუის სემბრანოსი 69), ჰელდერი (ფერონი 59), ალკასარი, ერნანდესი, კოტა, ამაია, მიჩელ I (პაბლო სანსი 39), პოშნერი, კანაბალი, ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: რობერტო რიოსი, ერნანდესი, ლოპეტეგი, ამაია, კოტა
მსაჯი: კარმონა მენდესი
36 000 მაყურებელი

**ბეტისი 2:2 რასინგი**

1:0 ალფონსო (16პ), 1:1 სალვა (65პ), 1:2 რუშფელტი (75), 2:2 ალფონსო (85პ)
ბეტისი: ტონი პრატსი, მერინო, ბორნესი, ბენჟამინი, კანიასი, ფილიპესკუ, ალექსისი (რომერო 72), კროსა, კუელიარი (ოლი 66), დენილსონი (კარპანი 51), ალფონსო
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
რასინგი: ლემენსი, სიეტესი (მანხარინი 58), მელბერგი, ნერუ, არსენო, ვივარ დორადო, ესპინია, სალვა (რუშფელტი 66), მუნიტისი, ამავისკა, ბესჩასტნიხი (ტაისი 76)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
გაფრთხილება: ბენჟამინი, სიეტისი, ბორნესი, ესპინია
მსაჯი: პუენტეს ლეირა
35 000 მაყურებელი

**ალავესი 0:0 ესპანიოლი**

ალავესი: ერერა, მორალესი (მაგნო 46), ტორეს მესტრე, ტელიესი, კარმონა, კონტრა, იბონ ბეგონია (ხულიო სალინასი 66), ნან რივერა (ასკოიტია 74), პაბლო, ხავი მორენო, ასტუდილიო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ მანე
ესპანიოლი: კავალიერო, სოლდევილა, ნანდო, კრისტობალი, მაურო ნავასი, არტეაგა, გალკა, სერხიო (მარტინ პოსე 72), როხერი, სერანო (მანელი 64), ველამასანი
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
გაფრთხილება: გალკა, როხერი, ტორეს მესტრე, ასტუდილიო, კონტრა, სოლდევილა
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
16 500 მაყურებელი

**ნუმანსია 1:2 სოსიედადი**

1:0 დელგადო (58), 1:1, 1:2 იდიაკესი (67, 79)
ნუმანსია: ნუნიესი, ოქტავიო, ივან როჩა, მუნისი, ხაუმე, მორეაუ (მორანი 42), კასტანიო (რივერა 81), ნაგორე, ოხედა, დელგადო, ინიაკი (ბარბუ 77)
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე (იდიაკესი 56), გურუჩაგა, ლორენი, კორინო, გომესი, ხოხლოვი, იანკაუსკასი, სა პინტუ, დე პაულა (ხაურეგი 90)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: ოხედა, არანსაბალი, ოქტავიო
მსაჯი: მანუელ დიას ვეგა
20 000 მაყურებელი

**მალაგა 3:0 სევილია**

1:0 კატანია (63), 2:0 რუფეტე (88), 3:0 ლუკე (91)
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, როხასი (სანდრო 54), ფერნანდო სანსი, მოვილია, რუანო, რუფეტე, დე ლოს სანტოსი, კატანია (კიკი მუსამპა 70), დარიო სილვა (ლუკე 79)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო
სევილია: ოლსენი, ჟერმანი, ექტორი, ტაბარე (ოლივერა 35), პიბიჩი, იურიჩი, ანხელი, ზალაიეტა, ვიქტორი, ხუან კარლოსი (ფრანსისკო 55), ხესული
მწვრთნელი: ხუან ანტონიო ალვარესი
გაფრთხილება: სანდრო, ხესული, დარიო სილვა, ანხელი, ვიქტორი, ექტორი, ჟერმანი
გაძევება: ჟერმანი (61), ფერნანდო სანსი (84)
მსაჯი: ლონჩი ანდრეუ
28 000 მაყურებელი

# ლუის ვან გაალი უიმედობამ შეიპყრო



REUTERS მადრიდიდან

რეალი — სელტა 1:0. მადრიდელი სტივ მაკმანამანი სტუმარ ხუანფრანს დაუსხლტა

„მალიორკასთან" მატჩის შემდეგ ლუის ვან გაალმა განაცხადა: „ჩემპიონობის მოპოვება სათუო გაგვიხდა. ცხადია, შეგვწევს იმის ძალა, რომ ყველა დარჩენილი შეხვედრა მოვიგოთ, მაგრამ..." ადვილი მისახვედრია, რასაც გულისხმობს ჰოლანდიელი სპეციალისტი. „ბარსელონას" ბედი „დეპორტივოს" ხელშია. ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურიღა დარჩა, მათ შორის სხვაობა კი ხუთი ქულაა. გალისიელები სამ მატჩს შინ გამართავენ და სამსაც სტუმრად. მათი მეტოქეები კი იქნებიან: „სოსიედადი", „სარაგოსა" და „ესპანიოლი" (ლა კორუნიაში), „რაიო ვალეკანო", „სელტა" და „რასინგი" (გასვლაზე). ცხადია, ხავიერ ირურეტას გუნდს იოლი გასეირნება არ ელის, მაგრამ ჩემპიონობა თუ გინდა... არადა, 96-წლიანი ისტორიის მქონე „დეპორტივოს" ქვეყნის უძლიერესი კლუბის ტიტული ჯერ არ ღირსებია.

32-ე ტურში ლიდერმა მადრიდის „ატლეტიკოს" უმასპინძლა და 4:1 მოუგო. რამდენიმე წლის წინ „ატლეტიკოს" დიდი ანგარიშით მარცხი იქნებ მოულოდნელობაც ყოფილიყო, მაგრამ ახლა სხვა დროა. დედაქალაქელებს ვერც კვლავ დაბრუნებული რადომირ ანტიჩი შველის და ოდინდელ სახელოვან კლუბს ალბათ მეორე დივიზიონში მოუწევს დაქვეითება.

მასპინძლებს ყველაფერი გამოსდიოდათ. თითქმის მთელი მატჩის მანძილზე ბურთი მადრიდელთა საჯარიმოს სიახლოვეს ტრიალებდა. პირველი გოლი მე-20 წუთზე ტურუ ფლორესმა გაიტანა, გზად კი ორი ატლეტიკოელი მცველიც ჩამოიტოვა. შემდეგ როი მაკაის რიგიც დადგა. ჰოლანდიელმა ამ შეხვედრაში ჰეთ თრიკი შეასრულა და ბომბარდირთა სიაშიც მეხუთე საფეხურზე მოექცა. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ მაკაის მეტოქე მცველებიც გვარიანად „ეხმარებოდნენ" და ფრანსისკო მოლინას კარში გასული ბურთები მათი უნიათობის შედეგია. სტუმრებმა ერთი გოლის გაქვითვა მაინც შეძლეს. ამ გოლს „ატლეტიკოსთვის" სარგებლობა არ მოუტანია, მაგრამ მისი ავტორისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ — ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი კვლავაც ბომბარდირობას უმიზნებს.

„კამპ ნოუზე" მატჩის დაწყების წინ „ბარსელონამ" „დეპორტივოს" შეხვედრის ანგარიში იცოდა, რაც აუცილებლად მოგებისთვის თამაშს აიძულებდა. ესეც რომ არა, კატალონიელებს „მალიორკასთან" ძველი ანგარიში ჰქონდათ გასასწორებელი. პირველ წრეში კუნძულელებმა მათ 3:2 მოუგეს. ამიტომაც მივიდა სტადიონზე 70 ათასი ბარსელონელი გულშემატკივარი, მაგრამ რაც იქ იხილეს...

შეტევაში ფიგუ და კომპანია რაღაცას ცდილობდა, თუმცა არაფერი გამოდიოდა. აი, დაცვა კი... იმ დღეს „ბარსელონას" უკანა ხაზი არ არსებობდა. მალიორკელები მასპინძელთა საჯარიმოში ბურთს ისე გოგორავდნენ და გამოჰქონდათ, თითქოს ეზოში ბავშვებს ეთამაშებიანო. ხან აბელარდოს უვლიდნენ გვერდს სტუმრები, ხან პიუოლი უშვებდა უხეშ შეცდომებს და სამუელ ეტოოს და ლუის კარერასის გოლებით „მალიორკამ" მეტოქე პირწმინდად გაანადგურა. გასაოცარი მხოლოდ ის გახლდათ, რომ ეს მეტოქე სულ რაღაც ერთი კვირის წინ ქვეყნის პირველობის და ჩემპიონთა ლიგის უდავო ფავორიტად შერაცხული „ბარსელონა" იყო. მესამე გოლის შემდეგ მაყურებელთა ერთმა ნაწილმა გასასვლელებს მიაშურა. აქა-იქ პროტესტის ნიშნად აფრიალებული თეთრი ცხვირსახოცებიც გამოჩნდა. ისიც დავუმატოთ, რომ კარლოსმა რამდენიმე მეტრიდან დაუცველ კარში ვერ გაიტანა, თორემ... თუმცა არც 3:0 არის ურიგო შედეგი.

ორი ქულა დაკარგა მესამედგილოსანმა „სარაგოსამ", რითაც „ბარსელონას" გადასწრების ჩინებული შანსი დაკარგა. იქნებ სარაგოსელები „დეპორტივოსაც" შესჭიდებოდნენ, მით უმეტეს ეს გუნდები 7 მაისს ხვდებიან ერთმანეთს. „სარაგოსა" მარკოს ვალესის გოლით იგებდა კიდეც, მაგრამ ვალიადოლიდელებს გასათანაბრებლად მხოლოდ ცხრა წუთი ეყოთ. შემდეგ ტორო აკუნიაც გააძევეს მინდვრიდან.

მერამდენედ გადაარჩინა „რეალი" რაულმა. მატჩის უმეტესი ნაწილი გასული იყო, მადრიდელები კი „სელტას" ვერაფერს უხერხებდნენ. სამაგიეროდ, ვიგოელებმა რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს და იკერ კასილიასის ოსტატობა შეამოწმეს. კასილიასმა ამ ბოლო დროს აშკარად უმატა თამაშს. რაულმა კი ერთადერთი გოლი ჩინებულად შესრულებული საჯარიმო დარტყმით გაიტანა.

„ვალენსიაზეც" ვთქვათ. ექტორ კუპერის ბიჭებმა ბოლო ორ თამაშში 11 გოლი შეაგდეს. ბევრი გუნდი დაიკვეხნის ასეთი შედეგით?

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 32 | 19 | 4 | 9 | 59:38 | 21 | 61 | 16 | 14 | 0 | 2 | 41:17 | 24 | 42 | 16 | 5 | 4 | 7 | 18:21 | -3 | 19 |
| 2 | ბარსელონა | 32 | 17 | 5 | 10 | 63:39 | 24 | 56 | 16 | 12 | 1 | 3 | 38:14 | 24 | 37 | 16 | 5 | 4 | 7 | 25:25 | 0 | 19 |
| 3 | სარაგოსა | 32 | 14 | 13 | 5 | 52:32 | 20 | 55 | 16 | 10 | 6 | 0 | 33:14 | 19 | 36 | 16 | 4 | 7 | 5 | 19:18 | 1 | 19 |
| 4 | რეალი | 32 | 13 | 14 | 5 | 51:42 | 9 | 53 | 16 | 9 | 4 | 3 | 29:21 | 8 | 31 | 16 | 4 | 10 | 2 | 22:21 | 1 | 22 |
| 5 | ალავესი | 32 | 14 | 9 | 9 | 35:31 | 4 | 51 | 17 | 9 | 3 | 5 | 20:16 | 4 | 30 | 15 | 5 | 6 | 4 | 15:15 | 0 | 21 |
| 6 | ვალენსია | 32 | 13 | 9 | 10 | 46:36 | 10 | 48 | 16 | 9 | 4 | 3 | 32:15 | 17 | 31 | 16 | 4 | 5 | 7 | 14:21 | -7 | 17 |
| 7 | სელტა | 32 | 13 | 5 | 14 | 40:39 | 1 | 44 | 16 | 9 | 3 | 4 | 29:19 | 10 | 30 | 16 | 4 | 2 | 10 | 11:20 | -9 | 14 |
| 8 | ესპანიოლი | 32 | 11 | 10 | 11 | 48:41 | 7 | 43 | 16 | 7 | 6 | 3 | 28:18 | 10 | 27 | 16 | 4 | 4 | 8 | 20:23 | -3 | 16 |
| 9 | რაიო ვალეკანო | 32 | 12 | 7 | 13 | 42:44 | -2 | 43 | 16 | 7 | 3 | 6 | 24:19 | 5 | 24 | 16 | 5 | 4 | 7 | 18:25 | -7 | 19 |
| 10 | ვალიადოლიდი | 32 | 11 | 10 | 11 | 31:38 | -7 | 43 | 16 | 9 | 3 | 4 | 23:16 | 7 | 30 | 16 | 2 | 7 | 7 | 8:22 | -14 | 13 |
| 11 | მალაგა | 32 | 10 | 12 | 10 | 47:42 | 5 | 42 | 16 | 6 | 6 | 4 | 23:13 | 10 | 24 | 16 | 4 | 6 | 6 | 24:29 | -5 | 18 |
| 12 | მალიორკა | 32 | 11 | 8 | 13 | 40:41 | -1 | 41 | 16 | 9 | 4 | 3 | 26:18 | 8 | 31 | 16 | 2 | 4 | 10 | 14:23 | -9 | 10 |
| 13 | ბილბაო | 32 | 10 | 11 | 11 | 41:50 | -9 | 41 | 16 | 6 | 7 | 3 | 24:23 | 1 | 25 | 16 | 4 | 4 | 8 | 17:27 | -10 | 16 |
| 14 | სოსიედადი | 32 | 9 | 12 | 11 | 35:40 | -5 | 39 | 16 | 8 | 5 | 3 | 22:16 | 6 | 29 | 16 | 1 | 7 | 8 | 13:24 | -11 | 10 |
| 15 | ნუმანსია | 32 | 10 | 9 | 13 | 40:52 | -12 | 39 | 16 | 8 | 6 | 2 | 26:14 | 12 | 30 | 16 | 2 | 3 | 11 | 14:38 | -24 | 9 |
| 16 | ბეტისი | 32 | 10 | 8 | 14 | 28:44 | -16 | 38 | 17 | 9 | 5 | 3 | 19:14 | 5 | 32 | 15 | 1 | 3 | 11 | 9:30 | -21 | 6 |
| 17 | რასინგი | 32 | 9 | 10 | 13 | 43:44 | -1 | 37 | 16 | 3 | 10 | 3 | 23:20 | 3 | 19 | 16 | 6 | 0 | 10 | 20:24 | -4 | 18 |
| 18 | ოვიედო | 32 | 8 | 10 | 14 | 34:54 | -20 | 34 | 15 | 8 | 5 | 2 | 18:10 | 8 | 29 | 17 | 0 | 5 | 12 | 16:44 | -28 | 5 |
| 19 | ატლეტიკო | 32 | 8 | 8 | 16 | 41:53 | -12 | 32 | 16 | 5 | 6 | 5 | 23:19 | 4 | 21 | 16 | 3 | 2 | 11 | 18:34 | -16 | 11 |
| 20 | სევილია | 32 | 5 | 12 | 15 | 36:52 | -16 | 27 | 15 | 5 | 6 | 4 | 20:15 | 5 | 21 | 17 | 0 | 6 | 11 | 16:37 | -21 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 23 |
| სალვა (რასინგი) | 22 |
| კატანია (მალაგა) | 22 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 19 |
| მაკაი (დეპორტივო) | 19 |

**XXXIII ტური**

16 აპრილი

მალიორკა — ალავესი
ესპანიოლი — ბეტისი
რასინგი — ვალიადოლიდი
სარაგოსა — რეალი
სელტა — ნუმანსია
სოსიედადი — ბილბაო
რაიო — დეპორტივო
ატლეტიკო — მალაგა
სევილია — ვალენსია
ოვიედო — ბარსელონა

## მეორე დივიზიონი

XXXIV ტური

**ლოგრონიესი 1:1 ესტრემადურა**
1:0 კიკო (35), 1:1 დურე (55)

**ლეგანესი 0:0 ხეტაფე**

**სპორტინგი 2:0 ტენერიფე**
1:0 ჩერიშევი (25), 2:0 ლედიახოვი (37)

**ლას პალმასი 1:0 ლეიდა**
1:0 რენალდო (60)

**ატლეტიკო B 2:0 ეიბარი**
1:0 საინოსი (19), 2:0 ლუკე (31)

**უელვა 1:0 ლევანტე**
1:0 პაბლო (88)

**კორდობა 0:0 სალამანკა**

**კომპოსტელა 1:1 ალბასეტე**
0:1 ვულევიჩი (69პ), 1:1 ჩანგუი (73)

**ოსასუნა 0:0 ბადახოსი**

**მერიდა 1:1 ელჩე**
0:1 ზარატე (53), 1:1 სენა (90პ)

**ტოლედო 1:3 ვილიარეალი**
0:1, 0:2 ლოპესი (13, 27), 1:2 დავიდი (80), 1:3 პარი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 34 | 14 | 11 | 9 | 44:33 | 53 |
| ესტრემადურა | 34 | 14 | 11 | 9 | 38:33 | 53 |
| ლეიდა | 34 | 15 | 7 | 12 | 52:41 | 52 |
| ვილიარეალი | 34 | 14 | 10 | 10 | 47:37 | 52 |
| სალამანკა | 34 | 14 | 10 | 10 | 43:34 | 52 |
| სპორტინგი | 34 | 15 | 6 | 13 | 45:39 | 51 |
| კორდობა | 34 | 13 | 11 | 10 | 39:33 | 50 |
| ოსასუნა | 34 | 15 | 5 | 14 | 33:30 | 50 |
| ტენერიფე | 34 | 13 | 10 | 11 | 42:38 | 49 |
| ლევანტე | 34 | 12 | 13 | 9 | 44:42 | 49 |
| ლეგანესი | 34 | 13 | 11 | 10 | 37:37 | 47 |
| მერიდა | 34 | 11 | 13 | 10 | 33:32 | 46 |
| ეიბარი | 34 | 11 | 12 | 11 | 39:43 | 45 |
| ალბასეტე | 34 | 11 | 12 | 11 | 39:44 | 45 |
| ბადახოსი | 34 | 8 | 20 | 6 | 27:27 | 44 |
| ელჩე | 34 | 10 | 14 | 10 | 38:42 | 44 |
| ხეტაფე | 34 | 12 | 7 | 15 | 33:37 | 43 |
| ატლეტიკო B | 34 | 11 | 8 | 15 | 36:44 | 41 |
| ლოგრონიესი | 34 | 9 | 10 | 15 | 44:48 | 37 |
| კომპოსტელა | 34 | 8 | 13 | 13 | 38:45 | 37 |
| უელვა | 34 | 9 | 9 | 16 | 34:45 | 36 |
| ტოლედო | 34 | 7 | 7 | 20 | 26:47 | 28 |



ნიუკასლი — ჩელსი 1:2. გუსტავო პოიეტმა ლონდონელები ფინალში გაიყვანა

## პოლონეთი

22-ე ტური. ზაგლებე — რაძიონკოვი 3:3; ლეხი — ოდრა 0:1; ლეგია — პლოცკი 1:0; გურნიკი — გროცლინი 1:2; ლკს — პოგონი 4:3; ვისლა — სტომილი 4:2; რუხი — პოლონია 2:2; ამიცა — ვიძევი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 22 | 14 | 5 | 3 | 38:19 | 47 |
| ლეგია | 22 | 11 | 10 | 1 | 41:21 | 43 |
| რუხი | 22 | 11 | 9 | 2 | 40:19 | 42 |
| ვისლა | 22 | 11 | 7 | 4 | 44:29 | 40 |
| ამიცა | 22 | 8 | 9 | 5 | 32:25 | 33 |
| პოგონი | 22 | 8 | 9 | 5 | 37:34 | 33 |
| ზაგლებე | 22 | 7 | 8 | 7 | 27:26 | 29 |
| ვიძევი | 22 | 7 | 6 | 9 | 28:33 | 27 |
| სტომილი | 22 | 6 | 9 | 7 | 24:33 | 27 |
| პლოცკი | 22 | 7 | 6 | 9 | 23:32 | 27 |
| ოდრა | 22 | 7 | 5 | 10 | 24:27 | 26 |
| რაძიონკოვი | 22 | 7 | 4 | 11 | 24:34 | 25 |
| ლკს | 22 | 5 | 7 | 10 | 21:27 | 22 |
| გურნიკი | 22 | 4 | 8 | 10 | 28:29 | 20 |
| ლეხი | 22 | 4 | 6 | 12 | 27:42 | 18 |
| გროცლინი | 22 | 4 | 2 | 16 | 16:42 | 14 |

## შვედეთი

1 ტური. იორგრიტე — ჰელსინგბორგი 2:0; გაის — ფრიოლუნდა 0:0; ტრელებორგი — ჰალმსტადი 0:2; იორებრო — ნორჩიოპინგი 1:1; ელფსბორგი — აიკ 1:2; ჰაკენი — გიოტებორგი 1:3; ჰამარბი — სუნდსვალი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ჰალმსტადი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| იორგრიტე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| აიკ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სუნდსვალი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ნორჩიოპინგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| იორებრო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ფრიოლუნდა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| გაის | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ელფსბორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჰამარბი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ჰაკენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ჰელსინგბორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ტრელებორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## ნორვეგია

1 ტური. ბრანი — ვიკინგი 4:1; ვოლერენგა — ტრომსიო 4:1; ბრინი — სტარტი 4:2; ჰაუგესუნდი — ბოდიო გლიმტი 2:2; ლილესტრიომი — მოლდე 1:1; მოსი — ოდ გრენლანდი 0:0, სტაბეკი — რუსენბორგი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ვოლერენგა | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ბრინი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| რუსენბორგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბოდიო გლიმტი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ჰაუგესუნდი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| მოლდე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლილესტრიომი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ოდ გრენლანდი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მოსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სტაბეკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| სტარტი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| ტრომსიო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| ვიკინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

## საფრანგეთი

XXX ტური

**ლანსი 1:0 მეცი**

1:0 სიკორა (35)

**სენტ ეტიენი 1:1 პსჟ**

0:1 რობერი (26), 1:1 მასუდი (37)

**ნანსი 2:3 სტრასბური**

0:1 ლუინდულა (45), 1:1, 2:1 კასკარინო (53, 68), 2:2 ლუინდულა (75), 2:3 ბერტინი (87)

**ოსერი 1:1 ნანტი**

1:0 გივარში (35), 1:1 სიბიერსკი (48)

**ლე ავრი 0:1 ლიონი**

0:1 ანდერსონი (70)

**ბასტია 4:2 რენი**

1:0 ანდრე (17), 1:1 ნონდა (35), 2:1 ანდრე (45), 2:2 ლე რუ (63), 3:2 ნალისი (73), 4:2 ნე (74)

**მონპელიე 2:2 ტრუა**

1:0 გუვეია (14), 2:0 მაულიდა (19), 2:1 საიფი (83), 2:2 ლობე (89)

**სედანი 0:1 ბორდო**

0:1 დიუგარი (90)

**მარსელი 4:2 მონაკო**

1:0 პუჟე (30), 2:0 ბაკაიოკო (54), 2:1, 2:2 ტრეზეგე (60, 70), 3:2 ბაკაიოკო (79), 4:2 ბრანდო (90)

მარსელი: პორატო, აბარდონადო, დუმა, მარტინი, ბლონდო, ლუქსენი, ჟ. ლერუა, დე ლა პენია, პუჟე (მოზესი 78), ბაკაიოკო

მწვრთნელი: ბერნარ კაზონი

მონაკო: ბარტეზი, სანიოლი, ჯეტუ, კრისტენვალი, ლეონარი, და კოშტა, რიისე, ლამუში, გალიარდო, ტრეზეგე (პრსო 84), სიმონე

მწვრთნელი: კლოდ პუელი

გაფრთხილება: მარტინი, ლეონარი, გალიარდო, და კოშტა

გაძევება: დე ლა პენია (38), გალიარდო (45), ლეონარი (45)

62 000 მაყურებელი

„მონაკოს“ გაჩემპიონება, სულ მცირე, მომავალი ტურისთვის გადაიდო, რაც მარსელში, იქაური „ოლიმპიკის“ მებრძოლმა ხასიათმა და ლიდერის კარში გატანილმა ოთხმა გოლმა განაპირობა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ „ოლიმპიკი“, რომელსაც გასავარდნი ზონიდან თითქმის არაფერი აშორებს, „მონაკოს“ სამ ქულასა და ვადამდელ ჩემპიონობას იოლად არ დაუთმობდა. ვარაუდი გამართლდა, ბერნარ კაზონის გუნდმა ლიდერი 4:2 დაამარცხა, თვითონ სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა, ხოლო „მონაკოს“ ჩემპიონის ტიტული პირველობის დასრულებამდე 4 ტურით ადრე არ მოაპოვებინა.

შეხვედრაში მოხდა ინციდენტი, რომელზეც ფრანგულმა პრესამ უკვე ბევრი იმსჯელა. მსაჯმა პირველ ტაიმში თითო-თითო მეტოქე ფეხბურთელი გააძევა მინდვრიდან. უხეშობისთვის წითელი ბარათით ჯერ მარსელელი ივან დელა პენია დაისაჯა, ხოლო რამდენიმე წუთში მის კვალს მონაკოელი ფილიპ ლეონარი მიჰყვა. გუნდებმა ტაიმი ათ-ათი კაცით დაასრულეს და გასახდელს მიაშურეს, გასასვლელ დერეფანში კი მათ დიდი ჩხუბი და აყალმაყალი ელოდათ.

არეულობის მთავარ მონაწილედ და სულისჩამდგმელად დამხმარე არბიტრმა „მონაკოს“ არგენტინელი ლეგიონერი მარსელო გალიარდო მიიჩნია. დამხმარემ მთავარ მსაჯთან მიირბინა და ვითარება განუმარტა, ყველაფერი




REUTERS მარსელიდან

მარსელი — მონაკო 4:2. მონაკოელი მარტინ ჯეტუ (მარჯვნივ) მარსელელ იბრაჰიმ ბაკაიოკოს ფეხებში ჩაუვარდა

კი, წითელი ბარათით დასრულდა, რომელიც არგენტინელს უჩვენეს.

ფრანგული პრესის ცნობით, ჩხუბისას ვიღაცამ გალიარდოს სახეში მუშტი უთავაზა და დაზარალებული არგენტინელი საავადმყოფოში წაიყვანეს.

— მაპატიეთ, მაგრამ ახლა ვერაფერს ვიტყვი — განაცხადა არგენტინელმა ნახევარმცველმა ორი დღის შემდეგ (ანუ კვირას) „მონაკოს“ საწვრთნელ ბაზაზე.

გუნდის პრეზიდენტმა ჟან ლუი კამპორამ კი განმარტა: „მარსელოს რამდენიმე დღით დასვენება სჭირდება. ფეხბურთელი გაოგნებული და შეურაცხყოფილია“.

გალიარდოს თანაგუნდელის, პორტუგალიელი ფრანსისკო და კოშტას თქმით, არგენტინელი შეშფოთებულია და მას საფრანგეთში დარჩენაც კი არ სურს.

„საფრანგეთში უკვე მესამე სეზონს ვატარებ — ამბობს „მონაკოს“ იტალიელი ფორვარდი მარკო სიმონე — მსგავსი შემთხვევა პირველი როდია, სიტუაციის გამოსწორებაზე კი არავინ ფიქრობს. სულაც არ გამიკვირდება, ერთ დღეს უცხოელებმა საფრანგეთში თამაში არ ისურვონ“.

ინციდენტმა საერთო ატმოსფერო ერთობ დაძაბა და მთელი მეორე ტაიმი უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. ცხრა კაცით დარჩენილმა „მონაკომ“ ორი ბურთი გაქვითა და 70-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა 2:2, მაგრამ დარჩენილ 20 წუთში ორი გოლი გაუშვა და დამარცხდა.

„გუნდის თამაში და შემართება მომეწონა, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და გაიმარჯვეს. როცა 2:0-ს ვიგებდით, ოდნავ მოვეშვით და დავისაჯეთ, თუმცა ძალები მაინც მოვიკრიბეთ და წარმატებას მივაღწიეთ“ — განაცხადა „ოლიმპიკის“ მწვრთნელმა ბერნარ კაზონიმ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 30 | 19 | 4 | 7 | 60:29 | 61 |
| ლიონი | 30 | 15 | 6 | 9 | 38:35 | 51 |
| პსჟ | 30 | 13 | 9 | 8 | 43:36 | 48 |
| ბორდო | 30 | 13 | 8 | 9 | 45:36 | 47 |
| ბასტია | 30 | 11 | 10 | 9 | 39:33 | 43 |
| სედანი | 30 | 12 | 7 | 11 | 38:39 | 43 |
| ოსერი | 30 | 12 | 7 | 11 | 31:33 | 43 |
| სტრასბური | 30 | 12 | 6 | 12 | 40:47 | 42 |
| სენტ ეტიენი | 30 | 11 | 8 | 11 | 41:44 | 41 |
| რენი | 30 | 11 | 7 | 12 | 41:40 | 40 |
| ლანსი | 30 | 11 | 7 | 12 | 32:33 | 40 |
| მარსელი | 30 | 9 | 11 | 10 | 39:39 | 38 |
| მეცი | 30 | 7 | 16 | 7 | 33:29 | 37 |
| ნანტი | 30 | 10 | 6 | 14 | 36:38 | 36 |
| ტრუა | 30 | 11 | 3 | 16 | 30:47 | 36 |
| ნანსი | 30 | 9 | 7 | 14 | 35:40 | 34 |
| ლე ავრი | 30 | 9 | 7 | 14 | 28:42 | 34 |
| მონპელიე | 30 | 6 | 9 | 15 | 34:43 | 27 |

### მეორე დივიზიონი

32-ე ტური. კაენი — ლავალი 1:1; ნიორი — ნიცა 1:2; ლე მანი — ნიმი 1:0; ლორიანი — ლილი 0:0; კანი — გენგამი 0:2; გენიონი — სოშო 1:2; კრეტეი — ლუანი 2:1; ვასკეალი — აიაჩო 3:1; ტულუზი — შატორუ 0:1; ვალანსი — ამიენი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 32 | 22 | 6 | 4 | 49:21 | 72 |
| გენგამი | 32 | 16 | 10 | 6 | 57:37 | 58 |
| ტულუზი | 32 | 15 | 7 | 10 | 42:25 | 52 |
| ლე მანი | 32 | 11 | 13 | 8 | 38:35 | 46 |
| სოშო | 32 | 13 | 7 | 12 | 39:38 | 46 |
| გენიონი | 32 | 10 | 15 | 7 | 40:28 | 45 |
| ლავალი | 32 | 12 | 12 | 9 | 35:33 | 45 |
| აიაჩო | 32 | 13 | 6 | 13 | 31:34 | 45 |
| კაენი | 32 | 10 | 14 | 8 | 41:33 | 44 |
| შატორუ | 32 | 11 | 10 | 11 | 34:36 | 43 |
| ლორიანი | 32 | 11 | 9 | 12 | 29:32 | 42 |
| ნიმი | 32 | 10 | 10 | 12 | 37:37 | 40 |
| კანი | 32 | 9 | 12 | 11 | 26:30 | 39 |
| ნიცა | 32 | 7 | 18 | 7 | 23:28 | 39 |
| ნიორი | 32 | 8 | 13 | 11 | 34:39 | 37 |
| კრეტეი | 32 | 9 | 9 | 14 | 28:39 | 36 |
| ვასკეალი | 32 | 7 | 14 | 11 | 27:34 | 35 |
| ამიენი | 32 | 7 | 13 | 12 | 30:38 | 34 |
| ვალანსი | 32 | 5 | 13 | 14 | 29:46 | 28 |
| ლუანი | 32 | 5 | 9 | 18 | 26:52 | 24 |

## ინგლისი

ასოციაციის თასი
ნახევარფინალი

**ნიუკასლი 1:2 ჩელსი**

0:1 პოიეტი (17), 1:1 ლი (66), 1:2 პოიეტი (72)

ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, ა. პიუზი (ქეცბაია 79), პაუი, დაბიზასი, სოლანო, სპიდი, ლი, დაიერი, შირერი, დ. ფერგიუსონი (დომი 38)

მწვრთნელი: ბობი რობსონი

ჩელსი: დე გუი, ფერერი (პეტრესკუ 74), ლებეფი, დესაი, პარლი, დი მატეო, დეშამპი, უაიზი, პოიეტი, სატონი (ფლო 46), ვეა (ძოლა 79)

მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი

მსაჯი: გალაჰერი

73 876 მაყურებელი

ბოლო რვა დღეში „ჩელსიმ“ პრემიერლიგაში „ლიდსს“, ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონას“, ხოლო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ნიუკასლ იუნაიტედს“ მოუგო. აი, ჩინებული გამარჯვებები სამ შეჯიბრებაში. რამეს ხომ არ გახსენებთ? ალბათ, „მანჩესტერ იუნაიტედს“, მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერმა“ გასულ სეზონში ეს ყველაფერი ფინალებში გააკეთა.

და „ნიუკასლი“? „ნიუკასლი“ აგერ უკვე ზედიზედ მესამე წელიწადია „უემბლიდან“ დამარცხებული მიდის. წინა ორ შემთხვევაში ეს ფინალში მოხდა, ახლა — ნახევარფინალში.

მაგრამ, მაინც არის განსხვავება. კვირას „კაჭკაჭებმა“ კარგად ითამაშეს. ჩავხედოთ სტატისტიკას: ბურთის ფლობა — 59 პროცენტი, კარში დარტყმა — 17, მაშინ, როდესაც ლონდონელებმა მხოლოდ ექვსჯერ „მოიქნიეს ფეხი“. ერთადერთი, რაც „ნიუკასლს“ ამ დღეს აკლდა, გუსტავო პოიეტი იყო. რატომ აკლდა? იმიტომ, რომ ის „ჩელსის“ ფეხბურთელია და მოწინააღმდეგე გუნდში თამაშობდა.

პოიეტი, მოგეხსენებათ, ჯანლუკა ვიალიმ „ბარსელონასთან“ შეხვედრაში დაასვენა — ინგლისში ეგონათ მწვრთნელს და ფეხბურთელს კონფლიქტი მოუვიდათო — „უემბლიზე“ კი ათამაშა და ურუგვაელმაც ისე მოინდომა, რომ მოედანს სულ ბდღვირი ადინა. მას ორი მომენტი ჰქონდა და ორივე გოლით დაასრულა.

ვიალიმ კი ამჯერადაც ამოისუნთქა. სწორედ გადაუწყვეტია „ბარსელონასთან“ თამაშის გმირები, ჯანფრანკო ძოლა და ტორე ანდრე ფლო სასტარტო შემადგენლობაში რომ არ ათამაშა. საერთოდაც, იმ შემადგენლობიდან „ჩელსის“ მხოლოდ ხუთი კაცი ჰყავდა.

ხოლო „ნიუკასლმა“ ისტორიაში ნათამაშევი 15 ნახევარფინალიდან მეორე წააგო, რატომ? იმიტომ, რომ თამაში „უემბლიზე“ ჩატარდა, სადაც მან ექვსჯერ სცადა ძალა და ექვსივეჯერ დამარცხდა.

*ფინალი გაიმართება „უემბლიზე“. ერთმანეთს შეხვდებიან: ბირმინგემის „ასტონ ვილა“ და ლონდონის „ჩელსი“.*

## პორტუგალია

XXIX ტურია

**ბელენენსეში 1:1 მარიტიმუ**

1:0 დოდა (38), 1:1 პინტო (69)

**ბრაგა 3:1 სანტა კლარა**

1:0 ტაილსონი (39), 1:1 სანდრო (43), 2:1 ბორგესი (84), 3:1 ფილიპე (87)

**ალვერკა 0:1 სეტუბალი**

0:1 მაკინვა (36)

**ჟილ ვისენტე 2:2 ამადორა**

0:1 გაუჩო გომეში (55), 1:1 ლომბა (59), 1:2 გაუჩო გომეში (63), 2:2 აური (76)

**პორტუ 2:0 სალგეირუში**

1:0 რუი ბარუში (26), 2:0 ჟარდელი (69)

**კამპომაიორენსე 2:4 ბენფიკა**

0:1 საბრი (18), 0:2 ჟოაო პინტუ (29), 0:3 პობორსკი (35), 1:3 კუნია (52), 1:4 კალადუ (60), 2:4 ნოვაისი (903)

**ლეირია 1:1 სპორტინგი**

0:1 ანდრე კრუზი (23), 1:1 პაულო ალვეში (89)

**რიუ ავე 1:1 გიმარაეში**

1:0 უგო ენრიკე (84), 1:1 ტეოდორო (87)

**ბოავიშტა — ფარენსე**

წუხელ გვიან გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 29 | 19 | 8 | 2 | 48:20 | 65 |
| პორტუ | 29 | 19 | 6 | 4 | 54:19 | 63 |
| ბენფიკა | 29 | 18 | 6 | 5 | 49:27 | 60 |
| გიმარაეში | 29 | 14 | 5 | 10 | 43:31 | 47 |
| ჟილ ვისენტე | 29 | 12 | 9 | 8 | 40:29 | 45 |
| მარიტიმუ | 29 | 11 | 10 | 8 | 33:29 | 43 |
| ბოავიშტა | 28 | 12 | 6 | 10 | 30:26 | 42 |
| ამადორა | 29 | 8 | 14 | 7 | 31:28 | 38 |
| ბელენენსეში | 29 | 7 | 13 | 9 | 30:31 | 34 |
| ლეირია | 29 | 8 | 10 | 11 | 26:29 | 34 |
| ბრაგა | 29 | 10 | 4 | 15 | 36:40 | 34 |
| ალვერკა | 29 | 9 | 7 | 13 | 34:42 | 34 |
| ფარენსე | 28 | 7 | 10 | 11 | 28:50 | 31 |
| რიუ ავე | 29 | 7 | 9 | 13 | 29:41 | 30 |
| სეტუბალი | 29 | 8 | 5 | 16 | 22:41 | 29 |
| სალგეირუში | 29 | 7 | 6 | 16 | 22:40 | 27 |
| კამპომაიორენსე | 29 | 7 | 6 | 16 | 26:45 | 27 |
| სანტა კლარა | 29 | 5 | 10 | 14 | 29:42 | 25 |

## დანია

23-ე ტური. ოლბორგი — ლიუნგბიუ 1:1; კოპენჰაგენი — ესბიერგი 3:1; სილკებორგი — ოდენსე 1:0; ვიბორგი — ბრონდბიუ 2:2; აკადემისკი — ჰერფიოლგე 3:0; ორჰუსი — ვაილე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 23 | 13 | 4 | 6 | 38:33 | 43 |
| სილკებორგი | 23 | 10 | 7 | 6 | 39:22 | 37 |
| ბრონდბიუ | 23 | 10 | 7 | 6 | 40:27 | 37 |
| აკადემისკი | 23 | 10 | 7 | 6 | 37:27 | 37 |
| ლიუნგბიუ | 23 | 11 | 4 | 8 | 37:31 | 37 |
| ვიბორგი | 23 | 9 | 6 | 8 | 33:34 | 33 |
| ოლბორგი | 23 | 7 | 11 | 5 | 33:26 | 32 |
| კოპენჰაგენი | 23 | 9 | 4 | 10 | 31:24 | 31 |
| ორჰუსი | 23 | 6 | 6 | 11 | 23:36 | 24 |
| ოდენსე | 23 | 5 | 9 | 9 | 19:29 | 24 |
| ესბიერგი | 23 | 6 | 3 | 14 | 25:43 | 21 |
| ვაილე | 23 | 3 | 10 | 10 | 24:47 | 19 |

## ავსტრია

28-ე ტური. ზალცბურგი — ტიროლი 0:1; აუსტრია — შტურმი 0:1; ბრეგენცი — რიდი 0:4; ლინცერი — ლუსტენაუ 5:0; გრაცერი — რაპიდი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 28 | 17 | 5 | 6 | 51:20 | 56 |
| ტიროლი | 28 | 17 | 5 | 6 | 41:24 | 56 |
| შტურმი | 28 | 16 | 7 | 5 | 53:24 | 55 |
| რიდი | 28 | 12 | 6 | 10 | 45:30 | 42 |
| აუსტრია | 28 | 12 | 6 | 10 | 37:33 | 42 |
| გრაცერი | 28 | 11 | 4 | 13 | 33:43 | 37 |
| ზალცბურგი | 28 | 9 | 8 | 11 | 27:32 | 35 |
| ლინცერი | 28 | 7 | 7 | 14 | 34:41 | 28 |
| ბრეგენცი | 28 | 5 | 5 | 18 | 19:61 | 20 |
| ლუსტენაუ | 28 | 4 | 7 | 17 | 19:51 | 19 |

## ჩეხეთი

24-ე ტური. ვიქტორია — სლავია 3:1; ბუდეიოვიცე — ბოჰემიანსი 1:2; ტეპლიცე — ჰ. კრალოვე 1:1; იაბლონეცი — ლიბერეცი 0:0; სპარტა — ბანიკი 2:0; დრნოვიცე — სიგმა 1:0; ოპავა — ბლშანი 0:0; დუკლა — ბრნო 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 24 | 19 | 4 | 1 | 44:14 | 61 |
| სპარტა | 24 | 19 | 3 | 2 | 62:19 | 60 |
| დრნოვიცე | 24 | 13 | 4 | 7 | 32:21 | 43 |
| ბოჰემიანსი | 24 | 9 | 7 | 8 | 21:21 | 34 |
| ტეპლიცე | 24 | 8 | 8 | 8 | 34:34 | 32 |
| ბრნო | 24 | 9 | 5 | 10 | 27:29 | 32 |
| ბლშანი | 24 | 9 | 4 | 11 | 22:36 | 31 |
| ლიბერეცი | 24 | 6 | 11 | 7 | 14:16 | 29 |
| ვიქტორია | 24 | 7 | 7 | 10 | 33:38 | 28 |
| ბანიკი | 24 | 6 | 9 | 9 | 34:38 | 27 |
| დუკლა | 24 | 7 | 6 | 11 | 24:33 | 27 |
| ბუდეიოვიცე | 24 | 8 | 3 | 13 | 27:37 | 27 |
| სიგმა | 24 | 5 | 11 | 8 | 25:31 | 26 |
| ოპავა | 24 | 5 | 9 | 10 | 26:29 | 24 |
| ჰ. კრალოვე | 24 | 3 | 11 | 10 | 18:29 | 20 |
| იაბლონეცი | 24 | 4 | 8 | 12 | 17:35 | 20 |

## უკრაინა

მე-19 ტური. ტავრია — დინამო 1:3; ზირკა — დნიპრო 1:1; მეტალურგი — კრივბასი 0:0; ჩორნომორეცი — ვორსკლა 1:1; კარპატი — ზაპოროჟიე 1:0; მეტალისტი — შახტარი 0:1; ცსკა — პრიკარპატია 2:1; ნივა — მარიუპოლი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 17 | 2 | 0 | 49:9 | 53 |
| კრივბასი | 19 | 11 | 6 | 2 | 35:19 | 39 |
| შახტარი | 19 | 12 | 2 | 5 | 30:9 | 38 |
| ვორსკლა | 19 | 10 | 5 | 4 | 38:19 | 35 |
| ზაპოროჟიე | 19 | 8 | 5 | 6 | 24:19 | 29 |
| კარპატი | 19 | 9 | 0 | 10 | 28:27 | 27 |
| მეტალისტი | 19 | 8 | 3 | 8 | 25:24 | 27 |
| მარიუპოლი | 19 | 8 | 1 | 10 | 30:28 | 25 |
| მეტალურგი | 19 | 6 | 7 | 6 | 22:21 | 25 |
| ცსკა | 19 | 5 | 7 | 7 | 20:22 | 22 |
| პრიკარპატია | 19 | 5 | 6 | 8 | 16:26 | 21 |
| დნიპრო | 19 | 5 | 6 | 8 | 17:34 | 21 |
| ნივა | 19 | 4 | 6 | 9 | 25:38 | 18 |
| ტავრია | 19 | 4 | 4 | 11 | 22:36 | 16 |
| ჩორნომორეცი | 19 | 4 | 4 | 11 | 9:33 | 16 |
| ზირკა | 19 | 0 | 8 | 11 | 10:36 | 8 |

## შვეიცარია

მე-5 ტური. ივერდონი — ქსამაქსი 3:0; გრასჰოპერი — ლოზანა 1:1; სერვეტი — ლუცერნი 6:0; სენტ გალენი — ბაზელი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 5 | 3 | 2 | 0 | 15:7 | 34 |
| გრასჰოპერი | 5 | 2 | 3 | 0 | 14:9 | 26 |
| ბაზელი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 25 |
| ლოზანა | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 23 |
| სერვეტი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:5 | 21 |
| ივერდონი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 21 |
| ლუცერნი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:19 | 20 |
| ქსამაქსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 18 |




ლეო ბეენჰაკერი თანამდებობიდან გაათავისუფლეს

## ჰოლანდია

XXIX ტური

**აიაქსი 3:2 სპარტა**

1:0 არველაძე (14), 1:1 ნილსენი (29), 1:2 მარბუსი (49), 2:2 ვერლაატი (59), 3:2 ლაუდრუპი (73პ)

აიაქსი: გრიმი, ნუივენბურგი (იკედია 71), ვერლაატი, ვან ჰალსტი, ჩივუ, ვინტერი, დანი, ვიჩგე, ლაუდრუპი (ჰეიე 90), შ. არველაძე, გრონკიაერი
მწვრთნელი: ჰანს ვესტერჰოფი

**ვალვაიკი 0:1 ჰერენვენი**

0:1 ჰუიზინგი (76)

**ფეიენოორდი 1:2 უტრეხტი**

0:1 გრუნენდიკი (25), 1:1 ხულიო კრუზი (58პ), 1:2 კუიტი (90)

**ტვენტე 1:2 მაასტრიხტი**

0:1 გუდიონსონი (46), 1:1 ტერ ავსტი (52), 1:2 ვან დერ ვეერტი (66)

**ტილბურგი 0:4 ვიტესი**

0:1 კრეეკი (51), 0:2 ვან დენ ბრომი (61), 0:3, 0:4 ლაროსი (63, 71)

**კამბური 1:2 დენ ბოსხი**

0:1, 0:2 ვოსი (12, 27), 1:2 ფერიე (33)

**ალკმარი 2:0 გრააფსხაპი**

1:0 ბოსმანი (55პ), 2:0 ვან გალენი (75)

**სიტარდი 0:4 პსვ**

0:1 ბრუგინკი (7), 0:2, 0:3, 0:4 ნილისი (15, 63, 74)

**ნაიმეგენი 0:0 როდა**

შოთა არველაძეს კარგა ხანს აწუხებდა ტრავმა და ვერ თამაშობდა. იგი ახლა გამოჯანმრთელდა და ბოლო ტურებში კვლავ გამოჩნდა მინდორზე. ქართველმა ლეგიონერმა კვირას სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო თამაში და დაბრუნება „სპარტას" კარში გატანილი გოლით აღნიშნა.

მე-14 წუთზე ამსტერდამელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ხელსაყრელ პოზიციაში დარჩენილმა არველაძემ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ „აიაქსი" ოდნავ მოეშვა და სტუმრებიც გათამამდნენ. ამსტერდამელ მცველებს როტერდამელი სილვიას ინია გაეპარათ, რომლის დარტყმული მეკარე ფრედ გრიმმა მოიგერია, თუმც ერთობ უხეიროდ: „აიაქსის" დაცვამ დაზღვევაზე ზუსტად ვერ ითამაშა, ბურთი ანდერს ნილსენს მიუგორდა, რომელმაც ანგარიში გაათანაბრა.

„აიაქსის" დაცვა წლეულს ძალიან სუსტად თამაშობს. ეს უკვე აშკარაა და „სპარტასთან" მატჩმაც ნათლად დაადასტურა. გუნდი ცდილობს შეტევების წამოწყებას, მაგრამ თავისი კარის დაცვა ხშირად ავიწყდება. ასე დაემართათ ამსტერდამელებს 49-ე წუთზეც, შეტევაში გაერთნენ, ბურთი კი მათ კარში აღმოჩნდა, თუმცა მასპინძლებს ამჯერად გაუმართლათ და მაინც მოახერხეს ორი გოლის გატანა. რიხარდ ვიჩხეს ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს ვერლაატმა თავი შეუშვირა და 59-ეზე ანგარიში გაათანაბრა, რამდენიმე წუთში კი „სპარტას" ორი ფეხბურთელი გაუძევს. რიცხვნაკლული გუნდი მოეშვა, ფარ-ხმალი დაყარა და კიდევ ერთი ბურთი გაუშვა.

73-ე წუთზე როტერდამელებმა თავიანთ საჯარიმოში დანი წააქციეს. პენალტი ბრაიან ლაუდრუპმა გამოიყენა და „აიაქსს" გამარჯვება მოუტანა, თუმც ეს დამშვიდების საშუალებას არ იძლევა. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად გუნდს კიდევ დიდი ბრძოლა მოუწევს.

„უტრეხტთან" შინ ჩატარებული და წაგებული შეხვედრა ბოლო აღმოჩნდა „ფეიენოორდის" მთავარი მწვრთნელის ლეო ბეენჰაკერის როტერდამულ კარიერაში. ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან გამოვარდნა ბეენჰაკერს აპატიეს. გუნდი „ლაციოსთან" და „ჩელსისთან" ორთაბრძოლაში ვერაფერს გახდა და ეს თითქოს საპატიო მიზეზია (ჰოლანდიური საკლუბო ფეხბურთის დღევანდელ სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ), მაგრამ როტერდამელებმა ვერც საშინაო ჩემპიონატში მიაღწიეს მიზანს. სახელოვანი ჰოლანდიური გუნდი მომავალ სეზონში იქნებ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩეს.

ბეენჰაკერის განცხადებით, იგი მთლიანად აგებს პასუხს გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებლობაზე და პოსტის დატოვებაც ამიტომ გადაწყვიტა. კონტრაქტის პირობით იგი „ფეიენოორდში" სეზონის ბოლომდე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ვადაზე ადრე გაათავისუფლეს.

ჩემპიონის ტიტულისკენ ტრიუმფალურ სვლას განაგრძობს პსვ, რომელმაც მორიგ ტურში სტუმრად „ფორტუნა" გაანადგურა 4:0. ქვეყნის საუკეთესო გუნდის ტიტულსაც (კლუბის ისტორიაში მეთხუთმეტედ) ალბათ, მალე მოიპოვებს, დარჩენილ ხუთ ტურში მხოლოდ 6 ქულის აღება სჭირდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 29 | 22 | 3 | 4 | 90:22 | 69 |
| ჰერენვენი | 29 | 18 | 3 | 8 | 53:33 | 57 |
| ტვენტე | 29 | 15 | 11 | 3 | 48:26 | 56 |
| აიაქსი | 28 | 16 | 5 | 7 | 64:42 | 53 |
| ფეიენოორდი | 29 | 15 | 8 | 6 | 56:37 | 53 |
| ვიტესი | 29 | 15 | 8 | 6 | 57:39 | 53 |
| ალკმარი | 29 | 16 | 4 | 9 | 61:46 | 52 |
| როდა | 29 | 13 | 7 | 9 | 50:39 | 46 |
| ტილბურგი | 29 | 11 | 7 | 11 | 43:53 | 40 |
| უტრეხტი | 29 | 12 | 3 | 14 | 48:53 | 39 |
| ვალვაიკი | 29 | 10 | 5 | 14 | 38:57 | 35 |
| სპარტა | 29 | 10 | 4 | 15 | 43:59 | 34 |
| გრააფსხაპი | 29 | 8 | 8 | 13 | 35:46 | 32 |
| სიტარდი | 29 | 8 | 7 | 14 | 39:47 | 31 |
| ნაიმეგენი | 29 | 6 | 5 | 18 | 33:55 | 23 |
| მაასტრიხტი | 29 | 5 | 6 | 18 | 35:63 | 21 |
| კამბური | 29 | 3 | 7 | 19 | 27:60 | 16 |
| დენ ბოსხი | 28 | 3 | 7 | 18 | 25:68 | 16 |

## თურქეთი

28-ე ტური. ბურსა — ფენერბაჰჩე 2:1; გიოზთეფე — სამსუნი 1:2; ისთანბული — ალთაი 1:0; ადანა — ბეშიქთაში 1:3; ქოჯაელი — გაზიანთეფი 1:2; ტრაბზონი — ვანი 4:2; ანკარაგიუჯიუ — დენიზლი 3:1; ანთალია — ერზურუმი 1:2; გალათასარაი — გენჩლერბირლიგი 6:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 28 | 22 | 4 | 2 | 65:17 | 70 |
| ბეშიქთაში | 28 | 20 | 4 | 4 | 57:17 | 64 |
| გაზიანთეფი | 28 | 13 | 10 | 5 | 38:21 | 49 |
| ფენერბაჰჩე | 28 | 13 | 10 | 5 | 45:35 | 49 |
| ტრაბზონი | 28 | 13 | 7 | 8 | 40:28 | 46 |
| სამსუნი | 28 | 14 | 4 | 10 | 45:34 | 46 |
| გენჩლერბირლიგი | 28 | 10 | 8 | 10 | 37:42 | 38 |
| დენიზლი | 28 | 10 | 7 | 11 | 41:47 | 37 |
| ბურსა | 28 | 10 | 6 | 12 | 40:45 | 36 |
| ადანა | 28 | 10 | 5 | 13 | 41:48 | 35 |
| ალთაი | 28 | 9 | 6 | 13 | 30:34 | 33 |
| ანთალია | 28 | 9 | 6 | 13 | 31:45 | 33 |
| ანკარაგიუჯიუ | 28 | 8 | 8 | 12 | 36:45 | 32 |
| ქოჯაელი | 28 | 9 | 5 | 14 | 38:49 | 32 |
| ერზურუმი | 28 | 8 | 8 | 12 | 29:43 | 32 |
| ისთანბული | 28 | 6 | 11 | 11 | 27:35 | 29 |
| გიოზთეფე | 28 | 5 | 5 | 18 | 18:40 | 20 |
| ვანი | 28 | 3 | 6 | 19 | 30:63 | 15 |

## რუსეთი

III ტური

**სპარტაკი 0:0 ლოკომოტივი**

**კრილია 2:0 ცსკა**

1:0 წიკლაური (36), 2:0 კონოვალოვი (60)

**როტორი 2:1 ალანია**

1:0, 2:0 მისინი (17, 28), 2:1 აშვეთია (90პ)

**ფაკელი 1:1 ურალანი**

1:0 ზაზულინი (62), 1:1 ტერეშჩენკო (89)

**ანჟი 1:0 როსტსელმაში**

1:0 რანდიელოვიჩი (74)

**ნ. ნოვგოროდი 1:2 ზენიტი**

0:1 პანოვი (6), 1:1 ვასილიაუსკასი (24), 1:2 დემენკო (30)

**სატურნი 0:0 ჩერნომორეცი**

**დინამო 0:0 ტორპედო**

ცხრა ყვითელი და სამი წითელი ბარათი, გაძევებული მწვრთნელი, გატეხილი თავი, გამოუყენებელი პენალტი და უგოლო ფრე — ეს „სპარტაკისა" და „ლოკომოტივის" შეხვედრის შედეგია. გავიხსენოთ, როგორ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ რკინიგზელები რუსეთის შვიდგზის ჩემპიონს წინა სეზონში, როგორი უშეღავათო ბრძოლა იმართებოდა მათ შორის და გასაგები გახდება, თუ რატომ არ ინდობდნენ ფეხბურთელები ერთმანეთს, რატომ თამაშობდნენ უხეშობის იმ ზღვარზე, რომელსაც შეიძლებოდა უმძიმესი ტრავმები მოჰყოლოდა. ისიც დავამატოთ, რომ შარშანდელთან შედარებით „ლოკომოტივი" მნიშვნელოვნად გაძლიერებულია, ტყუილად კი არ დაუხარჯავთ ახალი ფეხბურთელების შეძენაში რუსული ფეხბურთისთვის არნახული თანხა — 15 მილიონი დოლარი. მატჩის დაწყებამდე იური სიომინმა, ვისაც მსაჯმა ანდრეი ბუტენკომ გაუთავებელი კამათის გამო მოგვიანებით ტრიბუნაზე მიუჩინა ადგილი, თქვა: „ჩემი გუნდი ასე ძლიერი არასდროს ყოფილა. შეადარეთ წინა წლების „ლოკომოტივი" დღევანდელს. ამიტომაც „სპარტაკთან" ერთად ჩემპიონატის უპირველეს ფავორიტებად ვითვლებით. დღეს დიდი ბრძოლა გველის, წარსულის შეცდომებს აღარ გავიმეორებთ".

ითამაშებდა თუ არა ილია ციმბალარი, „სპარტაკის" ყოფილი კაპიტანი, ოლეგ რომანცევისგან შერისხული და სიომინის ყველაზე ხმაურიან შენაძენად მიჩნეული ფეხბურთელი? — ეს კითხვა არ ასვენებდათ მოსკოველ ქომაგებს. ციმბალარმა ტრავმის გამო ვერ ითამაშა. [illegible] დიდ ევსეევი. მას შეეძლო, ოდინდელ [illegible] ზუსტე დაკლდა [illegible] ბურთი ძელს გაარტყა.

მატჩიც ნელ-ნელა მიილია, ორმხრივ შეტევებსა და ურიცხვ ჯარიმებში. დაძაბულობამ კი კულმინაციას დამატებული დროის მეხუთე წუთზე მიაღწია, როდესაც „ლოკომოტივის" კარში პენალტი დაინიშნა. სპარტაკელები წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას, მაგრამ ტყუილად. ნიგმატულინმა ტიხონოვს აულო და შეხვედრის უდავო გმირი შეიქნა.

„სპარტაკი" და „ლოკომოტივი", „როტორთან" ერთად გათამაშების ცხრილის სათავეში იმყოფებიან. ფსკერზე კი ვლადიკავკაზის „ალანია" გახლავთ. ოსები „ურალანს" და ცსკა-ს მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდებით უსწრებენ. „როტორი" — „ალანიას" მატჩის შემდეგ ვლადიმერ გუცაევმა განაცხადა: „საინტერესო თამაში იყო. ბიჭებზე აუგს ვერ ვიტყვი, მონდომებით ითამაშეს და ბევრი კარგი მომენტიც შექმნეს. ცოტაოდენი იღბალიც რომ გვქონოდა"... აღსანიშნავია, რომ მსაჯმა ბახვა თედეევს გოლი არ ჩაუთვალა, არადა, საეჭვო ოფსაიდი იყო. ბოლო წუთზე მიხეილ აშვეთიამაც ზუსტად დაარტყა თერთმეტმეტრიანი, მაგრამ ეს გოლი აღარაფერს წყვეტდა — „როტორი" ამ დროისთვის 2:0 იგებდა.

ბოლოს ვთქვათ, რომ აშვეთიას გარდა მე-3 ტურში სამარელმა ზურაბ წიკლაურმაც გაიტანა, მისი „კრილია სოვეტოვი" მოსკოველ არმიელებს ხვდებოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| როტორი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ლოკომოტივი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| კრილია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ზენიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ჩერნომორეცი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:0 | 5 |
| ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| ფაკელი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ანჟი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| როსტსელმაში | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| სატურნი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | 2 |
| ნ. ნოვგოროდი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ალანია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ურალანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ცსკა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |




სპარტაკი — ლოკომოტივი 0:0. ჩინებულად მოთამაშე რკინიგზელთა მეკარე რუსლან ნიგმატულინმა ანდრეი ტიხონოვის პენალტიც მოიგერია

## შოტლანდია

თასის ნახევარფინალი

***რეინჯერსი 7:0 ეირი***

1:0 როზენტალი (18), 2:0 კანჩელსკისი (27), 3:0 უოლესი (41), 4:0, 5:0, 6:0 დოდსი (66, 72, 86), 7:0 როზენტალი (89)

***ჰიბერნიანი 1:2 აბერდინი***

1:0 ლატაპი (56), 1:1 სტავრუმი (64), 1:2 დოუი (68)

*ფინალში, „ჰემპდენ პარკზე" 27 მაისს „აბერდინი" და „გლაზგო რეინჯერსი" შეხვდებიან.*

XXIX ტური

**დანდი 4:1 მოზერუელი**

0:1 გუდმენი (15), 1:1, 2:1 გრედი (52, 54), 3:1 ბილიო (82პ), 4:1 ლუნა (86)

**ჰართსი 1:0 სელტიკი**

1:0 მაკსვიგანი (36)

**კილმარნოკი 1:0 დანდი იუნ.**

1:0 მაკკვილანი (80ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 28 | 21 | 6 | 1 | 79:21 | 69 |
| სელტიკი | 29 | 18 | 2 | 9 | 78:33 | 56 |
| ჰართსი | 29 | 12 | 8 | 9 | 40:33 | 44 |
| მოზერუელი | 29 | 10 | 9 | 10 | 38:56 | 39 |
| ჰიბერნიანი | 29 | 9 | 9 | 11 | 41:47 | 36 |
| სტ. ჯონსტონი | 29 | 8 | 9 | 12 | 28:35 | 33 |
| დანდი იუნ. | 28 | 9 | 6 | 13 | 28:44 | 33 |
| დანდი | 29 | 9 | 4 | 16 | 37:55 | 31 |
| კილმარნოკი | 29 | 5 | 13 | 11 | 31:39 | 28 |
| აბერდინი | 27 | 6 | 6 | 15 | 32:69 | 24 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბელგია

### XXX ტური

**ვესტერლო 5:0 ანდერლეხტი**
1:0 ტ. ბრონო (43), 2:0 ზელენკა (22), 3:0 ტ. ბრონო (51), 4:0 მახიელსი (63), 5:0 პელიჩი (85)

**შარლერუა 1:1 სენტ ტრუიდენი**
1:0 დ. ბრონო (27), 1:1 რუდონია (74)

**ბეერსხოტი 3:0 გენკი**
1:0 ჰოფმანსი (38), 2:0 მუტავჯიჩი (39), 3:0 სონკი (73)

**სტანდარდი 1:2 ლოკერენი**
1:0 პიერი (53), 1:1 იანსენსი (61), 1:2 ვონასეკი (70)

**მუსკრონი 1:2 ბრიუგე**
0:1 კლემენტი (32), 1:1 ტანგე (68), 1:2 იანსენი (72)

**მეხელენი 4:0 ჰარელბეკე**
1:0 ვან ჰუტი (6), 2:0 კამუსი (21), 3:0 ვან ჰუტი (41), 4:0 ელიასი (58)

**ბევერენი 1:0 ლომელი**
1:0 ტორკენი (84)

**გენტი 4:0 აალსტი**
1:0 აარსტი (31), 2:0 დალუმი (32), 3:0 აარსტი (57, 4:0 დრაგუტინოვიჩი (78)

**ლიერსი 2:2 გეელი**
1:0 ლაერემანსი (7), 1:1 ჟეკერი (31), 1:2 დაელემანსი (35), 2:2 დე კისერი (49)
ლიერსი: ნისი, ლაერემანსი, დე კისერი, ჰოფკენსი, დაემსი, სნოექსი, ლეენი, რუდი, შეყილაძე, ვან დე ვეირი, კავენსი
მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

საინტერესო ჩემპიონატი აქვთ ბელგიელებს. იშვიათად თუ გაიგებთ, რომელიმე პირველობის ერთპიროვნულმა ლიდერმა ცხრილის შუაადგილოსანთან 0:5 წააგოს. ეს „ანდერლეხტმა" მოახერხა, შაბათს „ვესტერლოს" სტუმრა, 5 ბურთი გაუშვა, თვითონ ერთიც ვერ გაიტანა და შინ შერცხვენილი დაბრუნდა.

თითქოს დიდი ტრაგედია არ არის. „ანდერლეხტი" უახლოეს მდევარ „ბრიუგეს" 10 ქულით უსწრებს, ჩემპიონატის დასრულებამდე კი 4 ტური დარჩა. დიდი-დიდი, ერთი ტურით გადავადდეს გუნდის გაჩემპიონების საკითხი, რაც „ანდერლეხტის" ისტორიაში 25-ე ტრიუმფი იქნება, მაგრამ მარტო ჩემპიონობა არ არის მთავარი, ფეხბურთში პრესტიჟიც ხომ რაღაცას ნიშნავს...

წინა სეზონის შედეგები მოვიშველიოთ და მივხვდებით, რომ „ვესტერლო" „ანდერლეხტისთვის" მთლად ხელწამოსაკრავი მეტოქე არ ყოფილა. შარშან ვესტერლოში ჩასულ „ანდერლეხტს" იქაურები 6 ბურთით გაუმასპინძლდნენ. გაშვებული გოლებით თუ ვიმსჯელებთ, ოდნავი პროგრესი შეინიშნება. წლეულს ხუთი იყო...

შეხვედრა სტუმართათვის ერთობ წარუმატებლად დაიწყო. ოთხი წუთიც არ გასულიყო, რომ „ანდერლეხტი" ათი კაცით დარჩა მინდორზე, თანაც მის კარში პენალტი დაინიშნა. დიდიე დეედენიმ ვესტერლოელ ტონი ბრონოსთან ორთაბრძოლა პირწმინდად წააგო, ანდერლეხტელი წითელი ბარათით დაისაჯა, ბრონომ კი თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვა. „ანდერლეხტის" საცოდაობაზე ალარაფერს ვიტყვით, ეს შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ის ალვნიშნოთ, რომ „ვესტერლომ" ხუთი გოლი გაიტანა, ხოლო ბრონომ დუბლი შეასრულა, რაც მიმდინარე სეზონში მისი 23-ე წარმატება გამოდგა.

გელა შეყილაძის „ლიერსი" შინ „გეელთან" ფრეს დაჯაბულდა — 2:2. მთელი მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა: ჯერ „ლიერსი" დაწინაურდა, შემდეგ „გეელი", „ლიერსმა" გაათანაბრა და ასე დასრულდა შეხვედრა.

მყვირალა ჰოლანდიელის, იოჰან ბოსკამპის „გენკიც" ვახსენოთ. ვერა და ვერ გამოვიდა ეს გუნდი კრიზისიდან და ამჯერად „ბეერსხოტთან" წაიბორძიკა — სტუმრად სამი გოლი გაუშვა, თვითონ ვერაფრით უპასუხა და საბოლოოდ დამარცხდა. ცხრილს თუ ჩავხედავთ და „გენკს" მოვიძიებთ, მას შუა, მეცხრე საფეხურზე ვიპოვით, რაც ჩემპიონისთვის ერთობ შეუფერებელი ადგილია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 30 | 20 | 8 | 2 | 78:32 | 68 |
| ბრიუგე | 30 | 18 | 4 | 8 | 62:29 | 58 |
| გენტი | 30 | 17 | 3 | 10 | 68:48 | 54 |
| სტანდარდი | 30 | 17 | 2 | 11 | 62:44 | 53 |
| მუსკრონი | 30 | 15 | 6 | 9 | 65:44 | 51 |
| ლიერსი | 30 | 14 | 7 | 9 | 62:42 | 49 |
| ბეერსხოტი | 30 | 14 | 7 | 9 | 50:40 | 49 |
| ვესტერლო | 30 | 13 | 8 | 9 | 57:60 | 47 |
| გენკი | 30 | 13 | 6 | 11 | 54:52 | 45 |
| მეხელენი | 30 | 12 | 5 | 13 | 46:61 | 41 |
| ლოკერენი | 30 | 10 | 9 | 11 | 48:54 | 39 |
| აალსტი | 30 | 11 | 3 | 16 | 50:62 | 36 |
| ბევერენი | 30 | 9 | 8 | 13 | 44:53 | 35 |
| სტ. ტრუიდენი | 30 | 8 | 6 | 16 | 34:57 | 30 |
| ჰარელბეკე | 30 | 8 | 5 | 17 | 47:64 | 29 |
| გეელი | 30 | 4 | 12 | 14 | 27:53 | 24 |
| შარლერუა | 30 | 5 | 8 | 17 | 34:60 | 23 |
| ლომელი | 30 | 3 | 11 | 16 | 28:61 | 20 |

# დიდი უნგრელის დაბადების დღე

ყველაზე ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი ფერენც პუშკაში 7 აპრილს 73 წლის გახდა. ცხადია, ეს ამბავი უბანკეტოდ არ ჩაივლიდა, მაგრამ იქამდე იუბილარის პატივსაცემად ამხანაგური მატჩი გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ ქვეყნის პარლამენტის და პუშკაშის მეგობარი ვეტერანი ფეხბურთელების გუნდები წარსდგნენ. უნგრელ დეპუტატთა გვარები ჩვენთვის არაფრისმთქმელია, მეტოქე გუნდში კი ტიბორ ნილაში და ანტალ დუნაი თამაშობდნენ. რა მნიშვნელობა აქვს, რა ანგარიშით დასრულდა ეს შეხვედრა, მთავარია, რომ გულშემატკივრებმა ძველი ვარსკვლავები გაიხსენეს და პუშკაშსაც დაბადების დღე მიულოცეს. არადა, ფეხბურთელი ნამდვილად იმსახურებს ხალხის პატივისცემას. მან უნგრეთის „დიდ გუნდთან" ერთად უამრავი სიხარული მიანიჭა ფეხბურთის ქომაგებს, თუნდაც „უემბლიზე" ინგლისელთა 6:3 დამარცხება და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლა რად ღირს.



ფერენც პუშკაში

**ევროპის ჩემპიონატების ისტორიის ჩანართებს ოთხშაბათობით იხილავთ**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| № | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| | **გერმანია. ბუნდესლიგა. 29-ე ტური** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 001 | დორტმუნდი-უნტერჰახინგი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 002 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 003 | ულმი-შტუტგარტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 004 | ვოლფსბურგი-შალკე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 005 | არმინია-ჰამბურგი | 4,4 | 3,0 | 1,75 |
| 006 | მიუნხენ 1860-დუისბურგი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 007 | მიუნხენ 1860-დუისბურგი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 008 | აინტრახტი-ვერდერი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 009 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 010 | ჰანზა-ლევერკუზენი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 011 | ნელსი-ქოვენ[illegible] | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 012 | ნელსი-ქოვენთრი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 013 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 014 | უიმბლდონი-უენსდი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | **ინგლისი. II დივიზიონი** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 015 | ოლდემი-უიგანი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | **ინგლისი. III დივიზიონი** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 016 | კარლაისლი-ნორთჰემპტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 017 | ნიმი-კაენი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | **ჰოლანდია** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 018 | დენ ბოსხი-აიაქსი | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| | **შოტლანდია** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 019 | კილმარნოკი-აბერდინი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 020 | ჰართსი-რეინჯერსი | 4,4 | 3,0 | 1,75 |
| | **საბერძნეთი. 27-ე ტური** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 021 | კალამატა-პანილიაკოსი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 022 | კავალა-პროდეფტიკი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | 12 აპრილი | | | |
| 023 | აპოლონი-პანიონიოსი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 024 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 025 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 026 | იონიკოსი-ეთნიკოსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 027 | ტრიკალა-პანაჰაიკი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 028 | აეკ-ქსანთი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 029 | პაოკ-ოფი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 030 | არისი-პანათინაიკოსი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| | **საფრანგეთი. თასის 1/2 ფინალი** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 031 | მონაკო-ნანტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 032 | კალაისი-ბორდო (ლანსში) | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| | **იტალია. თასის ფინალი. I მატჩი** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 033 | ლაციო-ინტერი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | **ესპანეთი. თასის 1/2 ფინალი. I მატჩები** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 034 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 035 | რეალი-ესპანიოლი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | **პორტუგალია. თასის 1/2 ფინალი** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 036 | მორეირენსე-სპორტინგი | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 037 | პორტუ-რიუ ავე | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | **ჰოლანდია. თასის 1/2 ფინალი** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 038 | ალკმაარი-ნაიმეგენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 12 აპრილი | | | |
| 039 | ვიტესი-როდა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | **ბელგია. თასის 1/2 ფინალი** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 040 | სტანდარდი-ლიერსი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | 12 აპრილი | | | |
| 041 | გენკი-სენტ ტრუიდენი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| | **ბელგია. ლიგის თასი** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 042 | ანდერლეხტი-ვესტერლო | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | **ჩეხეთი. თასის 1/4 ფინალი** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 043 | სიგმა-ვიქტორია | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 044 | ლიბერეცი-სლავია | 4,7 | 3,5 | 1,6 |
| | **პოლონეთი. თასის 1/4 ფინალი** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 045 | ლეგია-ამიცა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | **თურქეთი. თასი (ნეიტრალურზე)** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 046 | გალათასარაი-ანთალია | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | **დანია. თასი** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 047 | ფკ ორჰუსი-ბრიონდბიუ | 8,0 | 4,4 | 1,3 |
| 048 | ესბიერგი-ოლბორგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 049 | კოპენჰაგენი-აკადემისკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 050 | ლიუნგბიუ-ვიბორგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | **რუსეთი. თასის 1/4 ფინალი** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 051 | ანჟი-ცსკა | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| | 12 აპრილი | | | |
| 052 | ურალანი-დინამო | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| | **ავსტრია. თასის 1/8 ფინალი** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 053 | აუსტრია-ლინცერი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | **შვეიცარია. თასის 1/4 ფინალი** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 054 | ლუგანო-სენტ გალენი | 3,8 | 3,1 | 1,9 |
| | 12 აპრილი | | | |
| 055 | ლუცერნი-სერვეტი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 056 | ლოზანა-ბაზელი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | **კალათბურთი** | | | |
| | 11 აპრილი | | | |
| 801 | ჩიკაგო-ნიუ ჯერსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 802 | დალასი-პორტლენდი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 803 | დენვერი-ჰიუსტონი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 804 | კლიპერსი-ფინიქსი | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 805 | გოლდენ სტეიტი-ვანკუვერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 806 | საკრამენტო-სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | 12 აპრილი | | | |
| 807 | ბოსტონი-ორლანდო | | | |
| 808 | ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი | | | |
| 809 | ფილადელფია-ვაშინგტონი | | | |
| 810 | შარლოტი-ატლანტა | | | |
| 811 | კლივლენდი-მილუოკი | | | |
| 812 | დეტროიტი-მაიამი | | | |
| 813 | ინდიანა-ტორონტო | | | |
| 814 | იუტა-კლიპერსი | | | |
| 815 | ფინიქსი-ვანკუვერი | | | |
| 816 | სიეტლი-მინესოტა | | | |
| | 13 აპრილი | | | |
| 817 | ჩიკაგო-ვაშინგტონი | | | |
| 818 | ჰიუსტონი-დალასი | | | |
| 819 | სან ანტონიო-პორტლენდი | | | |
| 820 | საკრამენტო-გოლდენ სტეიტი | | | |
| | **ჰოკეი. 1/8 ფინალი** | | | |
| | 12 აპრილი | | | |
| 821 | ტორონტო-ოტავა | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 822 | სენტ ლუისი-სან ხოსე | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 823 | დალასი-ედმონტონი | 1,45 | 4,0 | 3,2 |
| | 13 აპრილი | | | |
| 824 | ფილადელფია-ბუფალო | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 825 | ვაშინგტონი-პიტსბურგი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 826 | ნიუ ჯერსი-ფლორიდა | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 827 | დალასი-ედმონტონი | 1,45 | 4,0 | 3,2 |
| 828 | კოლორადო-ფინიქსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 829 | დეტროიტი-ლოს ანჯელესი | 1,45 | 4,0 | 3,2 |

კალათბურთის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



# საკალათბურთო კონსპექტი

ვალერი ალთაბაევი
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი

## განსაზღვრული სქემა პლუს იმპროვიზაცია

არსებობს შეტევის მრავალი ფორმა და სისტემა, რომლებიც, ძირითადად, ორ ვარიანტად იყოფა: თამაში მკაცრად განსაზღვრულ-დამუშავებული კომბინაციებით და მეორე, როცა კომბინაცია ირჩევა მეტოქის თავისებურებების გათვალისწინებით.

მე მესამე ვარიანტზეც ვფიქრობ: თამაში განსაზღვრული, ამორჩეული სქემით, რომლის ნებისმიერ მონაკვეთში შესაძლებელია იმპროვიზაცია. ეს ვარიანტი მეორეზე მკაცრია, ოღონდ შეტევის მოწესრიგების შემთხვევაში კი არ ზღუდავს, არამედ ავითარებს მოთამაშეთა შემოქმედებით აზროვნებას.

მოთამაშეები კარგად უნდა აღიქვამდნენ მოედანზე სიტუაციების ცვალებადობას, რადგან თამაშისას მწვრთნელის ჩარევა ძალიან შეზღუდულია. მწვრთნელს, ფაქტობრივად, მხოლოდ წუთშესვენებებზე და მოთამაშის შეცვლისას ეძლევა მითითებების მიცემის მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი შანსი. მოთამაშეები მატჩისას სტრესულ სიტუაციაში იმყოფებიან და ამიტომ მათთან რთულ ტექნიკურ და სხვა საკითხებზე საუბარი, პრაქტიკულად, უსარგებლოა. შესაძლებელია ვარჯიშზე დამუშავებული სქემის შეხსენება. არ არის საჭირო ახალ, ვარჯიშზე ჯერ დაუმუშავებელ თემებზე საუბარი. მოთამაშეს ის მხოლოდ აალელვებს.

დღეს, როცა მოედანზე ბევრი ორ მეტრზე მაღალი კალათბურთელია, ყურადღება ექცევა შორი და საშუალო მანძილებიდან სროლებს. მნიშვნელოვანია ფარზე ბრძოლაც. ვითარდება აქტიურად აგრესიული, მაღალტექნიკური თამაში ფარის სიახლოვეს. მიმაჩნია, რომ ფარქვეშ წარმატებული თამაშის შანსი იმ კალათბურთელებს აქვთ, რომლებიც ორივე ხელით ესვრიან, ხმარობენ „კაუჭებს" და მტევნისმიერ სროლებს. აუცილებელია, საკმაო დრო დაეთმოს შეტევის ამგვარ ფორმას: სროლები ტრიალით, ნახევარტრიალით, ცრუმოძრაობის შემდეგ... სროლები ბურთის ხელიდან ხელში გადატანის შემდეგ... ტექნიკურად ეს ძალიან ძნელია, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერია თვით ტანმაღალი კალათბურთელების წინააღმდეგ თამაშისასაც კი.

## მოსაზრებულის თამაშ-თამაშ კეთება

მოთამაშის მოედანზე გადაადგილება და ფეხების მოძრაობა საკალათბურთო ტექნიკის თავიდათავია. მოთამაშე მუდმივად უნდა ინარჩუნებდეს წონასწორობას და ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობისთვის უნდა იყოს მზად. ამისთვის კალათბურთელი უმეტესწილად მოხრილ ფეხებზე უნდა იდგეს.

მეტოქის მეურვეობისგან თავის დაღწევის ძირითადი საშუალებაა მოულოდნელი ბიძგით გაქცევა, რაც სწრაფგამძლეობას მოითხოვს. გასათვალისწინებელია, რომ სწრაფგამძლეობის და მეურვისგან თავის დაღწევის ტექნიკის გამოსამუშავებელი ვარჯიშები უინტერესო და მოსაბეზრებელია. ამიტომ, მწვრთნელს ერთფეროვნების თავიდან აცილება მართებს და შეიძლება ამ ელემენტებზე ვარჯიში სხვადასხვაგვარი თამაშების სახით შესთავაზოს მოსწავლეებს.

## მწვრთნელებო, დავდგათ სპექტაკლები!

ზუსტი სროლა ურთულესი პროცესია. მას წინ უძღვის ხანგრძლივი ვარჯიში, თუმცა სასურველ შედეგს ყოველთვის არც ეს იძლევა. მიმაჩნია, რომ ზუსტი სროლა მხოლოდ ვარჯიშის ხანგრძლივობაზე არ არის დამოკიდებული. მთავარია ვარჯიშზე გამომუშავებული ჩვევების მატჩის დროს გამოვლენა. ასეთ დროს გასათვალისწინებელია მოთამაშის სტრესული მდგომარეობა.

მარტივი მაგალითი განვიხილოთ. თქვენ ესვრით საჯარიმოებს. ყველაფერი ჩვეულებრივადაა. ათი სროლიდან რვა-ცხრაც რომ ჩააგდოთ, კარგი შედეგია. მაგრამ, მატჩის დამთავრებამდე რჩება ორი წამი, თქვენი გუნდი ერთი ქულით აგებს და თქვენ ორი საჯარიმო სროლის უფლება მიიღეთ. ესე იგი, თქვენი სიზუსტე მატჩის ბედს წყვეტს.

ცხადია, ვარჯიშზე ასეულობით საჯარიმო ჩაგიგდიათ, ოღონდ მათზე არაფერი იყო დამოკიდებული. ეჭვგარეშეა, თქვენი ახლანდელი მდგომარეობა განსხვავდება ვარჯიშისდროინდელი მდგომარეობისგან. წამსვე გიჩნდებათ აზრი: ვარჯიშზე ამგვარი სიტუაცია ნარმოდგენილი მქონდა. მასში ნებისმიერს შეეძლო აღმოჩენა, მათ შორის მეც. თუმცა მაშინ ეს სიტუაცია აბსტრაქტული, ძალიან შორეული იყო. ახლა კი ამ მდგომარეობაში ვარ: საჯარიმოს ხაზზე ვდგავარ და ორჯერვე უნდა ჩავაგდო.

საბედნიეროდ, ადამიანს შეუძლია ურთულეს, ხანდახან თითქოსდა გამოუვალ მდგომარეობასთან შეგუება. ადამიანს აგრეთვე შეუძლია სწავლა. ვიღაცისთვის ეს პროცესი ადვილია, ვიღაცისთვის — რთული. აუცილებელია, მწვრთნელმა ვარჯიშისას სპექტაკლივით დადგას რთული სიტუაცია. რაც უფრო შემოქმედებითად მიუდგება მწვრთნელი ამ სპექტაკლის დადგმას, მით უფრო იოლად გადაჭრის პრობლემას რთულ სიტუაციაში ჩავარდნილი მისი მოსწავლე. შეიძლება ვთქვათ, რომ სტრესულ სიტუაციაში გამოცდილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჭკუა.

## ვერ გააკეთებ, თუკი არ გაგიკეთებია

ნურასდროს გაკიცხავთ მოთამაშეს, თუკი იგი გადამწყვეტ მომენტში რამეს სათანადოდ ვერ გააკეთებს. გახსოვდეთ: ბურთის ჩაგდება ალბათობაზეა დამოკიდებული. გადამწყვეტ მომენტში მოთამაშეს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუკი მსგავსი სიტუაცია ოდესმე ან სადმე დაუმუშავებია. გადაწყვეტილების მიღებისთვის განკუთვნილ წამებში მოთამაშე მხოლოდ იმას გაიხსენებს, რაც მის მეხსიერებაშია.

აქედან გამომდინარე, მივიღეთ მნიშვნელოვანი კანონი: თუკი გუნდი მინიმალური სხვაობით აგებს, ესე იგი, მწვრთნელმა საქმე ბოლომდე არ გააკეთა, ვარჯიშზე გუნდს რაღაც დააკლო. ნუ დააბრალებთ წაგებას ნურც მსაჯებს, ნურც მოთამაშეებს. ხოლო თუკი თქვენი გუნდი რთულ სიტუაციაში მოიგებს, ხაზი გაუსვით მოთამაშის დამსახურებას და აღნიშნეთ, რომ ეს საწვრთნელი პროცესისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის შედეგია. ამით თქვენდამი მოთამაშის ნდობა ერთიორად გაიზრდება.

## მსაჯი: ადამიანი — შუქნიშანი

არ არსებობს იდეალური მსაჯობა — ეს ყველას უნდა ახსოვდეს. დაფიქრდეს მოთამაშე: იგი ყოველთვის ცდილობს საკუთარი შეცდომის გამართლებას, ხოლო სხვის შეცდომაზე განსაკუთრებული სიმძაფრით რეაგირებს. მსაჯი, ნებისმიერი ადამიანივით, ცდება, საეჭვო სიტუაციაში შეიძლება დაიბნეს. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, კალათბურთის წესებს ყველა მსაჯი თავისებურად აღიქვამს. წესები კი, მოგეხსენებათ, საერთო და საერთაშორისოა. გარდა ამისა, დაბალი კვალიფიკაციის მსაჯმა შეიძლება უბრალოდ ვერ მოასწროს მოვლენებისთვის თვალის მიდევნება. მწვრთნელს მსაჯის საქციელის საგულდაგულო ანალიზი მართებს და მოთამაშეებსაც შეძლებისდაგვარად უნდა აუხსნას მსაჯის მოსალოდნელი რეაქცია ამა თუ იმ მომენტში.

მსაჯი იგივე შუქნიშანია მოთამაშის გზაზე. ამდენად, მსაჯის გადაწყვეტილებაზე მოთამაშეთა და, განსაკუთრებით, მწვრთნელთა ემოციური რეაქცია მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს. ამ წესის დარღვევამ კი გამოუსწორებელ შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს: ემოციური არამდგრადობის გამო გუნდები ხშირად აგებენ.

## გუნდის შიგნით

მატჩის დამთავრებისთანავე სათამაშო სიტუაციების გარჩევა მიზანშეუწონლად მიმაჩნია. ამის გაკეთება მომდევნო დღესაა სასურველი. კარგი იქნება, თუ მოთამაშეები იხილავენ მატჩის ჩანაწერს (თუკი ამის საშუალება არსებობს) და შენიშვნები და დასკვნები ამის მერე გაკეთდება. მოთამაშეს მითითება მაქსიმალურად კეთილგანწყობილი ფორმით უნდა მიეცეს. ზოგიერთთან ცალკე გასაუბრებაც არ არის ურიგო. სასურველია, მატჩისშემდგომ პირველსავე ვარჯიშზე დამუშავდეს ის სიტუაციები, რომლებშიც გუნდმა და ცალკეულმა მოთამაშეებმა შეცდომები დაუშვეს.

აუცილებელია შეცდომის ერთმანეთზე გადაბრალების სინდრომის ალკვეთა. დამნაშავის ძებნა მატჩის განმავლობაში ან შესვენებაზე — ეს ყველაზე უარესია, რაც გუნდში შეიძლება მოხდეს. ეს სიმხდალის ერთ-ერთი ვარიანტია. დამნაშავეს არამდგრადი ფსიქიკა ეძებს. ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ თავის საქციელს ძირითადად ამართლებს. ამიტომ, დამნაშავედ შეიძლება შერაცხო ყველა და ყველაფერი გარდა საკუთარი თავისა, რომელმაც, შესაძლოა, დააშავა კიდეც.

## პასი

კალათბურთი ალბათობაზე ძალიან დამოკიდებული თამაშია. არ არსებობს ასპროცენტიანი ჩასაგდები, ანუ საგოლე სიტუაცია. არსებობს ბურთის კალათში ჩაგდების დიდი ან მცირე ალბათობა. ამიტომაც, მოთამაშეს უნდა განვუვითაროთ პასის გრძნობა. სწრაფი, მოულოდნელი პასი, როგორც წესი, ჩაგდებული ბურთით სრულდება. იგი ალამაზებს თამაშს, მაყურებელიც კმაყოფილი რჩება.

რაც უფრო დაძაბულია მატჩი, რაც უფრო სტრესულ სიტუაციაშია მოთამაშე, მით უფრო მცირდება მისი თვალთახედვის არე. მიუხედავად ამისა, პასის გაკეთების საშუალება მაინც ყოველთვის არსებობს. სხვა საკითხია ის, რომ პასის მიმცემს ხან მოედნის ხედვა ღალატობს, ხან — ოსტატობა. ამასთანავე, დასამახსოვრებელია კანონი: ცუდ პასზე პასუხს აგებს მისი მიმცემი. ამით არაზუსტი პასისას ყოველგვარი ურთიერთბრალდებები გამოირიცხება.

თურქეთი

# თოფაშმა თასი შეინარჩუნა

## ფაჩულიამ ფინალისტობა იკმარა

### თასის გათამაშება

ნახევარფინალი

**ულქერი 78:70 ბეშიქთაში**

ულქერი: ფაჩულია, გონლუმი, კოტუროვიჩი (8), ვ. აიდინი, ალენი (23), თოფსაკალი (5), პოუპი (13), ილდირიმი (2), სარიჯა (27)

ბეშიქთაში: გიულერი (15), იუჯელი, ტაში, ბლექველი (19), ელი (10), თამსოზი (2), ო. აიდინი, პრასკევიჩუსი (11), ჰ. ბეშოქი (13)

**თოფაში 91:83 ეფესი**

თოფაში: ერდოგანი, ფარსი (2), რიმაცი (23), ბაში (9), ქონუქი (8), ერდენი, ილმაზი (4), ოქური (12), გრიფიტი (15), რივერსი (18)

ეფესი: მულაომეროვიჩი (26), თურქოღლუ (4), ონანი (4), სანჯარი, ვექილოღლუ, ქუთლუაი (25), დალი, ჰ. ბეშოქი (4), ფირინჯიოღლუ (15), დრობნიაკი (5)

თურქეთის თასის „ოთხთა ფინალი" ქალაქ მერსინში გაიმართა. ერთ-ერთი ნახევარფინალის ბოლო წუთებზე მოედანზე შევიდა ქართველი კაცი — „ულქერის" 16 წლის ფორვარდ-ცენტრი ზაზა ფაჩულია. იმ დროისთვის მისი გუნდი 11 ქულით იგებდა. ფაჩულიას თუ ბევრი არაფერი გაუკეთებია, არც არაფერი დაუშავებია — სანამ იგი მოედანზე იყო, „ბეშიქთაშმა" ბურთი ვერ ჩააგდო.

ულქერელებს კი უფუკ სარიჯამ და ამერიკელმა რეი ალენმა მოაგებინეს. პირველმა თითქმის ყველა ნასროლი ჩააგდო, ხოლო მეორე ისეთ რთულ კომბინაციებს ხლართავდა, რომ გაოგნებული ბეშიქთაშელები ბურთს მხოლოდ თვალს აყოლებდნენ. „ულქერის" უპირატესობამ ერთხანს 20 ქულასაც კი უწია, შემდეგ ფაჩულიას თანაგუნდელები მოეშვნენ და „ბეშიქთაშს" ექვს ქულამდე შეამცირებინეს ანგარიში. თუმცა, მეტის გაკეთების უფლება ულქერელებმა მეტოქეს არ მისცეს და ფინალშიც გავიდნენ.

მეორე ნახევარფინალში კი ბურსას „თოფაშმა" ნამდვილი რბევა მოუწყო სტამბოლის „ეფესს". ბურსელთა მაღლებმა, ამერიკელმა რაშარდ გრიფიტმა, მეჰმეთ ოქურმა და მურათ ქონუქმა ძალიან შეავიწროვეს ეფესელი კოლეგები ჰუსეინ ბეშოქი და პრედრაგ დრობნიაკი. „ეფესის" მაღლებმა ძალიან მალე მიიღეს ოთხ-ოთხი პერსონალური და ჯამში 9 ქულა და 6 მოხსნა გააკეთეს. „ეფესის" წინა ხაზის დაუძლურებით კარგად ისარგებლეს „თოფაშის" უკანახაზელებმა, ამერიკელმა დევიდ რივერსმა და ხორვატმა სლავენ რიმაცმა. ამ უკანასკნელმა ხუთიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდო.

„ეფესს" ქულათა უმრავლესობა ხორვატმა დამირ მულაომეროვიჩმა და იბრაჰიმ ქუთლუაიმ მოუტანეს. მათ სროლებს რიგიანი ეთქმოდა, სამაგიეროდ ჩაფლავდა ჰიდაიეთ თურქოღლუ, რომელმაც ათი ნასროლიდან ერთადერთხელ უწია მიზანს.

„თოფაშმა" პირველ ტაიმშივე გადაწყვიტა მატჩის ბედი და შემდეგ საქმეში სათადარიგოები ჩართო. იგივე გააკეთა „ეფესის" მწვრთნელმა ერგინ ათამანმა, ოღონდ მან ეს ნაბიჯი იძულებით გადადგა, რადგან მოთამაშეთა ლამის ნახევარი ხუთი პერსონალურით გაუვარდა. „ეფესის" სათადარიგოები კი, მოგეხსენებათ, რა ხვითოებიც არიან. ერთადერთი ფირინჯიოღლუ (ადრე რიკი ვინსლოუ ერქვა) ცდილობდა რაღაცის გაკეთებას, მაგრამ ყუმბარმტყორცნივით მომუშავე „თოფაშთან" მარტო იგი, აბა, რას გახდებოდა.

ფინალი

**თოფაში 72:54 ულქერი**

თოფაში: გრიფიტი (21), ილმაზი (18), რივერსი (8), რიმაცი (8), ბაში (8), ოქური (7), ქონუქი (2), ფარსი, ერდენი, ერდოგანი

ულქერი: ალენი (12), სარიჯა (11), პოუპი (11), ილდირიმი (9), ზიდეკი (6), ვ. აიდინი (5), თოფსაკალი, გონლუმი

„თოფაში" ფავორიტად კი ითვლებოდა, მაგრამ ამისთანას მაინც არავინ ელოდა. ციფრებს მივმართოთ: მე-15 წუთზე „თოფაში" 29:5 იგებდა, ტაიმი კი 40:16 დასრულა თავის სასარგებლოდ...



ეფესელმა ჰიდაიეთ თურქოღლუმ ნახევარფინალი ჩააფლავა

„ულქერს" ნახევარფინალში დაუშავდა იუგოსლაველი ცენტრი დეიან კოტუროვიჩი. იგი „ჟალგირისიდან" ახლახან გადმოსულმა ჩეხმა ირჟი ზიდეკმა შეცვალა, რომელმაც ზედ მატჩის წინ მიიღო თამაშის უფლება. ზიდეკი აშკარად შეუთამაშებელი იყო გუნდთან. „თოფაშის" მაღლებმა რაშარდ გრიფიტმა და მეჰმეთ ოქურმა ორივე ფარი გადაკეტეს და იქ არც ერთი ულქერელი არ გააჭაჭანეს. დევიდ რივერსი ბურთს გონივრულად ათამაშებდა, ხოლო ალფერ ილმაზი დაბნეულ ულქერელებს დაცვაში არ ახარებდა... მეტი რაღაა საჭირო უპირატესობის მოსაპოვებლად? ალბათ, არაფერი. ჰოდა, ნუ დაიზარებთ და ამ მატჩის მიმოხილვის დასაწყისი კიდევ ერთხელ იხილეთ.

„ულქერმა" ვერაფერი დაუპირისპირა გაშმაგებით მოთამაშე მეტოქეს. ახლა გამოჩნდა, თუ რა ძალას წარმოადგენს გუნდისთვის ჰარუნ ერდენაი, რომელმაც ამ სეზონში მეორედ მოიტეხა თითი და თავისიანებს კარგა ხანია, ველარაფრით ეხმარება. „თოფაშს", ცხადია, ეს არ ანაღვლებდა და მეორე ტაიმში ერთხანს 30 ქულითაც დაწინაურდა. მატჩის ბოლოს „ულქერს" თითქოს წაუვიდა სროლები, ტრიუმფის მოლოდინში თოფაშელებიც მოდუნდნენ და... სხვაობა 12 ქულამდე შემცირდა. „ულქერს" იმედი მიეცა, მაგრამ როცა შენს წინააღმდეგ დევიდ რივერსი თამაშობს... ამერიკელმა გამთამაშებელმა ჯერ სამქულიანი ჩააგდო, მერე უფუკ სარიჯას ბურთი წაართვა და ფართან მარტო დარჩენილ რაშარდ გრიფიტს ჩააგდებინა...

ზაზა ფაჩულიას ფინალში არ უთამაშია, თუმცა თურქეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა თურგაი დემირელმა ქართველ ბიჭს ფინალისტისთვის განკუთვნილი მედალი მაინც გადასცა. ორიოდ წუთში კი დემირელმა „თოფაშის" კაპიტანს მურათ ქონუქს ჩააბარა ქვეყნის თასი. სიმართლე ითქვას, ეს თასის ჩაბარება კი არა, უფრო დაბრუნება იყო, რადგან „თოფაშმა" წინა წელსაც მოიგო ეს ჯილდო და მერსინში მატჩის წინა დღეს ჩაიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

# იქნება მესამე მსოფლიო ომი?

7 აპრილი

**სიეტლი 116:119 ჰიუსტონი**

სიეტლი: პეიტონი (29 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი, 5 ჩაჭრა), ბერი (11), პატერსონი (10), ბეიკერი (10), გრანტი (9 ქულა, 10 მოხსნა); ლუისი (22 ქულა, 10 მოხსნა), შ. ვილიამსი (20), მაკკოი (5)
ჰიუსტონი: ფრენსისი (31), ანდერსონი (28), ვ. ვილიამსი (23), ტომასი (7), კატო (6); მობლი (22), მილერი (2), ნორისი, ბალარდი

8 აპრილი

**დენვერი 105:97 სიეტლი**

დენვერი: ვან ექსელი (18 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა), პოუზი (19), მაკლაუდი (20), მაკდაიესი (10), ჯონსი (2); ლაფრენცი (15), კლარკი (10), ბოუენი (6), ჰერენი (3), გეტლინგი (2).
სიეტლი: პეიტონი (30 ქულა, 10 მოხსნა), ბერი (20), პატერსონი (10), ბეიკერი (10), გრანტი (6); ლუისი (13), ვილიამსი (8), მაკკოი.

„ჰიუსტონიცა“ და „დენვერიც“ უმოტივაციოდ დარჩნენ ამ სეზონში, მაგრამ ჩვენებური ვოვა სტეფანიას „სიეტლმა“ ამ ორ დასავლელ აუტსაიდერს მაინც ვერ მოუგო. ამ ამბავმა ერთობ ჩააფიქრა „ზებგერითების“ თავკაცი პოლ ვესტფოლი. მისმა გუნდმა, რაც პლეი ოფში თავი დაიგულა, ბოლო მატჩები ცუდად ჩაატარა და რამდენჯერმე სამარცხვინოდ წააგო. „სიეტლს“ არ შეშვენის ბოლო ათ თამაშში რვა წაგება, მით უმეტეს, „დენვერთან“ ან „ჰიუსტონთან“. „პლეი ოფში იმისთვის როდი მოვხვდით, რომ იქიდან პირველივე წრიდან გამოგვაგდონ, თუმცა თუ ასე გავაგრძელეთ, სხვა არაფერი გველის“ — „სიეტლის“ თავკაცი ვესტფოლი თავის შეგირდთა უკბილო გარჯას შეუწუხებია.

პარასკევს, 7 აპრილს, სტეფანიას თანაგუნდელები სრულად თავდაჯერებულნი გავიდნენ მოედანზე, მაგრამ იმდენი მოახერხეს, რომ „ჰიუსტონი“ შინ გამარჯვებული გაუშვეს. მატჩი თანაბარი ბრძოლით დაიწყო და თავისიანთა საქომაგოდ დარბაზში მისული თხუთმეტი ათასამდე სიეტლელი გაფაციცებით ელოდა „სონიქსის“ აფეთქებას. ამაოდ — გუნდს ამის მაგვარი არაფერი დასტყობია, ეგ იყო, ერთხელ ექვსი ქულით გავიდა წინ და მერე ისევ მდევრის როლში აღმოჩნდა. მიუხედავად უხვქულიანობისა, ლამის მთელი 48 წუთის განმვლობაში თამაში ქულა-ქულაში, დუნედ წარიმართა. ასე იყო ბოლო წუთებამდე. საფინალო სირენამდე 23 წამით ადრე მასპინძელმა რაშარდ ლუისმა ორი საჯარიმო ჩააგდო და 116:116 გაათანაბრა. სტუმრებს სრულად საკმარისი დრო ჰქონდათ საბოლოო შეტევის ორგანიზებისთვის და ამას მშვენივრადაც გაართვეს თავი. მასპინძლებს ეგონათ, საბოლოო სროლას სტივ ფრენსისი ანაც კუტინო მობლი შეასრულებდნენ, ამიტომაც იყო, ამ ორ უკანახაზელს ლამის ნაბიჯის გადადგმის საშუალება რომ არ მისცეს და მკაცრი მეურვეობა დაუწესეს, მაგრამ მოტყუვდნენ. სტუმართა მსროლელმა შენდონ ანდერსონმა კარგა ხანს ათამაშა ბურთი და ბოლო წამებზე სამქულიანის სასროლ პოზიციაზე გაიყვანა ფრთა ვოლტ ვილიამსი. ამანაც თავი არ შეირცხვინა და აუღელვებლად ჩაუშვა კალათაში ბურთი. ეს უკვე გამარჯვება იყო. უკანასკნელმა ხუთმა წამმაც ვერაფერი შეცვალა. პეიტონის პასი, რომელმაც მთელი მოედანი გადაკვეთა, შემონდ ვილიამსს ბავშვივით გაუვარდა ხელიდან.

კიდევ უფრო ცუდად ითამაშეს „დენვერთან“ სტეფანიას თანაგუნდელებმა. მიმდინარე სეზონში გერი პეიტონმა, სადაც მოიხელთა, არ გააჩარა „დენვერის“ ლიდერი, მისი ამპლუის მოთამაშე ნიკ ვან ექსელი, რაც, საერთოდ, მათი გუნდების ურთიერთშეხვედრების შედეგებზეც აისახა. სამჯერვე „სიეტლმა“ იმარჯვა. იმ სამ მატჩში პეიტონს 81 ქულა მოუგროვდა, ვან ექსელს კი სულ რაღაც 14. პეიტონმა ახლაც გამოიდო თავი და 30 ქულა მოუტანა თავის გუნდს, მაგრამ მთელი არსებით შეტევაში გადართულმა დაცვაში ვერ ივარგა, შედეგად მისმა მეურვემ ვან ექსელმა თავადაც ბლომად აკეთა ქულები და არც თანაგუნდელთათვის დაიშურა ზუსტი გადაცემები. მისი შრომა დაფასდა. „დენვერმა“ ნავსი გატეხა და ბოლო ექვს წელიწადში პირველად მოუგო „სიეტლს“.

როგორც პირველი, ისე მეორე თამაში „სიეტლმა“ მხოლოდ რვა კაცით ჩაატარა, რომელთა შორის „სონიქსის“ ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია არ იყო. „სიეტლს“ აგრეთვე არ ჰყავდა ერთ-ერთი საუკეთესო სათადარიგო ვერნონ მაქსველი, იგი სულაც მშობლიურ ატლანტაში გახლდათ, მშობიარე ცოლს თავზე ადგა. მაქსველებს გოგონა ეყოლათ.

7 აპრილი

**საკრამენტო 92:95 მინესოტა**

საკრამენტო: დივაცი (20 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი), სტოიაკოვიჩი (19)
მინესოტა: ბრენდონი (30), გარნეტი (21 ქულა, 14 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 84:105 იუტა**

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (14)
იუტა: მელოუნი (19)

**ორლანდო 89:96 ნიუ იორკი**

ორლანდო: არმსტრონგი (15)
ნიუ იორკი: იუინგი (28 ქულა, 18 მოხსნა)

**ინდიანა 95:94 კლივლენდი**

ინდიანა: როუზი (26 ქულა, 13 მოხსნა)
კლივლენდი: კემპი (23 ქულა, 13 მოხსნა), მიურეი (20)

**ნიუ ჯერსი 85:103 მაიამი**

ნიუ ჯერსი: გილი (18), პერი (18)
მაიამი: მაშბურნი (21)

**შარლოტი 82:97 დეტროიტი**

შარლოტი: დევისი (14)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (23)

**ატლანტა 84:104 ტორონტო**

ატლანტა: ჰენდერსონი (24)
ტორონტო: კარტერი (23), მაკგრეიდი (21)

**ბოსტონი 97:102 ფილადელფია**

ბოსტონი: ანდერსონი (28), პირსი (18)
ფილადელფია: გეიგერი (20), აივერსონი (16)

მართალია, „სიეტლმა“ პარასკევს წააგო, მაგრამ მარცხს ვერც მისი მეზობელი „საკრამენტო“ გადაურჩა, ასე რომ, სტეფანიას გუნდმა მასთან სხვაობა შეინარჩუნა. „საკრამენტო“ 12 ქულით უგებდა „მინესოტას“, მაგრამ ამ უკანასკნელთა 180-სანტიმეტრიანმა გამთამაშებელმა ტერელ ბრენდონმა პირდაპირ სიქა გააცალა მასზე გაცილებით მაღალ მეურვეებს და შეძლო მატჩის ბედის შემობრუნება, ხოლო როცა დამთავრებამდე 1,10 წუთით ადრე სამქულიანით თავისიანები 88:83 დააწინაურა, ნათელი გახდა, რომ „მინესოტა“ დარჩენილ დროში ამ უპირატესობას ხელიდან აღარ გაუშვებდა.

ორსაათნახევარი ებრძოლა „ორლანდო“ თავისი მთავარი მწვრთნელის დოკ რივერსის ყოფილ გუნდს „ნიუ იორკს“, მაგრამ ვერც შინაურმა კედლებმა და ვერც გამარჯვების დაუოკებელმა წყურვილმა იხსნა „მეჯიქი“. რივერსის ბიჭებს პატრიკ იუინგმა მოუღო ბოლო. ტრავმ[illegible]ით გაწამებული 37 წლის ვეტერანის [illegible] ქულა და 18 მოხსნა მასპინძელთა [illegible]ამარცხებლად საკმარისი აღმოჩნდა. ნამატჩევს რივერსმა დაიჩივლა, ამ ბებერმა ცენტრებმა სული ამოგვხადეს, ჯერ რობინსონმა გადაგვიარა და ახლა არც პატრიკმაც დაგვინდოოო.

გაუჭირდა აღმოსავლეთის ლიდერ „ინდიანას“ „კლივლენდთან“. ბოლოს ისევ სნაიპერმა რეჯი მილერმა (15 ქულა) ივარგა და მატჩის დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე, 94:94-ზე გადამწყვეტი საჯარიმო ჩააგდო.

8 აპრილი

**მილუოკი 109:101 ნიუ ჯერსი**

მილუოკი: ალენი (21), კასელი (20 ქულა, 11 პასი), რობინსონი (20)
ნიუ ჯერსი: ნიუმენი (21), ვან ჰორნი (19), პერი (18)

**ლეიკერსი 80:98 სან ანტონიო**

ლეიკერსი: ბრაინტი (26), რაისი (17)
სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 16 მოხსნა)

**ჩიკაგო 79:98 ტორონტო**

ჩიკაგო: არტესტი (17), ბრენდი (16 ქულა, 11 მოხსნა)



REUTERS დენვერიდან

დენვერი — სიეტლი. დენვერელი ჯორჯ მაკლაუდი (მარჯვნივ) გერი პეიტონს უფარებს



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ლეიკერსი — სან ანტონიო. დევიდ რობინსონი (№50) და ლეიკერსელი ეი სი გრინი

ტორონტო: მაკგრეიდი (19), კარტერი (17)

**კლივლენდი 117:98 დეტროიტი**

კლივლენდი: კემპი (25 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), სურა (21), მიურეი (21)
დეტროიტი: ვილიამსი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**ვაშინგტონი 108:98 ატლანტა**

ვაშინგტონი: ვიტნი (19)
ატლანტა: ჰენდერსონი (22)

**პორტლენდი 98:85 ვანკუვერი**

პორტლენდი: სმიტი (27), ვოლესი (21), გრანტი (20)
ვანკუვერი: დიკერსონი (20), აბდურ-რაჰიმი (17)

**დალასი 98:96 კლიპერსი**

დალასი: ფინლი (19), სტრიკლენდი (19), ნოვიცკი (18)
კლიპერსი: ნესბი (29), ტეილორი (24 ქულა, 15 მოხსნა)

„ორლანდოს“ მდევარმა „მილუოკიმ“ შინ იოლად დაამარცხა „ნიუ ჯერსი“ და „მეჯიქთან“ სხვაობა შეამცირა. „მილუოკი“ მესამე მეოთხედის შემდეგ 19 ქულით იგებდა და თავს მოდუნების უფლება მისცა. საბოლოოდ რვა ქულის სხვაობით მაინც იმარჯვა.

„ლეიკერს“-„სან ანტონიოს“ მატჩმა ნათლად წარმოაჩინა, თუ რამხელა ძალას წარმოადგენს შაკილ ონილი „ლოს ანჯელესისათვის“. მას წინა შეხვედრაში მარცხენა ქუსლის მყესი დაეჭიმა და „სან ანტონიოსთან“ თავისიანებს ვერაფრით შეეშველა. შედეგმაც არ დააყოვნა, მისმა გუნდმა ჩემპიონთან ერთბაშად 18 ქულის სხვაობით წააგო, რითაც თერთმეტმატჩიანი მოგებების სერია შეწყვიტა. მართალი რომ ითქვას, „ლეიკერსს“ უკვე განაღდებული აქვს რეგულარული სეზონის ჩემპიონობა, რაც მას პლეი ოფში მოედნის უპირატესობას მოუტანს ნებისმიერ მეტოქესთან. ასე რომ, ლოსანჯელესელებს „სან ანტონიოსთან“ მაინცდა მაინც თავი არ მოუკლავთ. რაც შეეხება ონილს, მისი ტრავმა უმნიშვნელოა.

9 აპრილი

**ვანკუვერი 99:107 სან ანტონიო**

ვანკუვერი: ბიბი (24), აბდურ-რაჰიმი (23 ქულა, 11 მოხსნა), დიკერსონი (20)
სან ანტონიო: დანკანი (31 ქულა, 11 მოხსნა), პორტერი (22), რობინსონი (19)

**გოლდენ სტეიტი 117:103 დენვერი**

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (44)
დენვერი: მაკდაიესი (25) ქულა, 12 მოხსნა)

**საკრამენტო 97:102 ფინიქსი**

საკრამენტო: ვილიამსი (24), ვებერი (17 ქულა, 13 მოხსნა)
ფინიქსი: ჰარდევეი (25 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), რობინსონი (20)

**მაიამი 95:94 ნიუ იორკი**

(ძირითადი დრო 88:88)

მაიამი: მურნინგი (33 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება), ჰარდევეი (16 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (23), სპრიუელი (19)

**ჰიუსტონი 99:90 იუტა**

ჰიუსტონი: ფრენსისი (26), ვილიამსი (21)
იუტა: სტოქტონი (23), მელოუნი (20)

**შარლოტი 96:80 ინდიანა**

შარლოტი: კემპბელი (19 ქულა, 13 მოხსნა), ჯონსი [illegible]), კოულმენი (19)
ინდიანა: როუზი (18)

**ორლანდო 92:80 ფილადელფია**

ორლანდო: მერსერი (17)
ფილადელფია: ჰილი (22 ქულა, 14 მოხსნა), აივერსონი (18), რეთლიფი (10 ქულა, 13 მოხსნა, 8 დაფარება)

ამ უქმეებზე გასამართ თამაშებში ყველაზე საინტერესოდ „მაიამი“ — „ნიუ იორკის“ დაპირისპირება მიიჩნეოდა. ეს მატჩი მართლაც დაძაბული გამოდგა, მოსისხლე მეტოქეებმა ერთმანეთი გვარიანად გააწვალეს, გამარჯვებულის გამოვლენას კი ძირითადი დრო არ ეყო. დრამატული იყო ოვერტაიმის დასასრული. ბოლო წამებზე „ნიუ იორკი“ 94:92 იგებდა, როცა მაიამელთა გამთამაშებელმა ტიმ ჰარდევეიმ ბურთი სამქულიან ხაზს გარეთ მიიღო. მან ოდნავ მარცხნივ გაიწია, მაგრამ კრის ჩაილდსის მჭიდრო მეურვეობას თავი ვერ დააღწია და გადაწყვიტა, მის ხელებს ზემოდან ესროლა. ბურთი რგოლს მოხვდა, შემდეგ ფარს და მაინც ჩავიდა კალათში. „მაიამიმ“ მიმდინარე სეზონში ოთხიდან სამი შეხვედრა მოუგო „ნიუ იორკს“ და ახლა ფლორიდაში იმედოვნებენ, რომ პლეი ოფის მეორე წრეში ფსიქოლოგიური უპირატესობა მათ მხარეზე იქნება (ცხადია, თუ პირველი წრე გაიარეს) თუ მართლა შეხვდნენ „მაიამი“ და „ნიუ იორკი“ პლეი ოფში ერთმანეთს, ეს მათი ზედიზედ მეოთხე შეჯახება იქნება. მაშინ კი მესამე მსოფლიო ომს ვიხილავთ — ამბობენ სპეციალისტები.

**ირაკლი ფირაშვილი**

# შუმი ბოქსშიც მაგარია

რამდენიმე ხანიც არ უნდა გავიდეს, „იმოლაზე" მუდამ იტრიალებს აირტონ სენას სული, რადგან ფერარების სახელობის ავტოდრომის ერთ გამოსაჩენ ადგილზე, 6 წლის წინ დაღუპული ლეგენდარული ბრაზილიელი მრბოლის ბრინჯაოს ორიგინალური ქანდაკება დაუდგამთ და კიდევ იმიტომაც, რომ „ტამბურელოდ" წოდებული იმ ავბედითი მოსახვევის ბეტონის კედელთან დღესაც ყვავილების ზღვაა, ტრიბუნებზე კი „ჯადოქრის" მოსაგონებლად ტრანსპარანტებს შლიან.

რაც შეეხება „ტამბურელოს", 1994 წელს სენასა და ავსტრიელი როლანდ რაცენბერგერის დაღუპვის შემდეგ, ტრასის სხვა ფათერაკიანი მონაკვეთების მსგავსად, ისიც ძირეულად შეიცვალა. მანამდე იმ მოსახვევში მრბოლები თითქმის 300 კმ/სთ სიჩქარით შედიოდნენ და ავარიებიც მრავლად იყო. რეკონსტრუქციის შემდეგ ხუთკილომეტრიანი წრე 110 მეტრით დამოკლდა და, რაც მთავარია, სიჩქარის შესამცირებლად რამდენიმე „მშვიდი", გლუვი მოსახვევი დაემატა, თან მოხრეშილი ფართო დამცავი ზონებიც მოეწყო.

ერთი სიტყვით, ცვლილებებმა სასურველი შედეგი გამოიღო და უწინდელი „ფეთიანი" ტრასა ბევრად უხიფათო, თუმც შედარებით ნაკლებად ჩქაროსნული გახადა.

წლევანდელი ჩემპიონატის მესამე ეტაპს — სან მარინოს რიგით მეოცე გათამაშებას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, შეძლებდა თუ არა მიკა ჰაკინენი, ზედიზედ ორი სამარცხვინო მარცხის შემდეგ მიხაელ შუმახერისთვის საკადრისი წინააღმდეგობა გაეწია. შაბათის კვალიფიკაციამ „მაკლარენის" გულშემატკივრებსაც და, ცხადია, თავად მიკას დიდი იმედი ჩაუსახა. ძალიან დრამატულად და საინტერესოდ წარიმართა ბოლო საკვალიფიკაციო წუთები. თავიდან შუმი ლიდერობდა, მაგრამ მალე ჯერ დევიდ კულჰარდმა, მერე კი ჰაკინენმა წრე უმთავრეს კონკურენტზე ბევრად სწრაფად გაიქროლეს. საკონტროლო დროის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მიხაელმა უკანასკნელად შეუტია ჩემპიონს და მის შედეგს წამის 25 მეასედი ჩამოაკლო. იქვე მიკა ვაბანკზე წავიდა და მართალია, თავიდან საკმაოდ ჩამორჩებოდა გერმანელის გრაფიკს, მაგრამ გზის მეორე ნახევარი რისკიანად, კრიტიკული სიჩქარით გაიარა და საბოლოოდ პოულიც (კარიერაში 24-ე) მას დარჩა. მართალია გაოგნებული იყო შუმახერი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ჩანდა, რადგან წლეულს პირველად დაიკავა ადგილი სტარტის წინა ხაზზე. რბოლის დასაწყისი კი მეტად შთამბეჭდავი გამოუვიდა.



გამარჯვებულმა მიხაელ შუმახერმა მიკა ჰაკინენს პირველი ექვსი ქულა შამპანურით დაულოცა

ჰაკინენი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უსწრაფესად დაიძრა და პირველ, ყველაზე ხიფათიან მოსახვევში უპრობლემოდ შევარდა. შუმახერმა ასევე ტრადიციულად, თავიდანვე სცადა მეტოქის, ამჯერად კულჰარდის ბოლიდისთვის გადაეკეტა გზა და ამან სასურველი ეფექტიც მოუტანა — შოტლანდიელის „მაკლარენი" აქეთ-იქით კი მიაწყდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. თანაგუნდელის მანევრით ბარიკელომაც იხეირა და შუმის ხაფანგში მომწყვდეულ კულჰარდს მეორე მოსახვევში აუარა გვერდი.

ბრწყინვალე სტარტი ჰქონდა ჟაკ ვილნევსაც, რომელმაც მარცხნიდან, ლამის ბალახებში გადასულმა, ერთიმეორის მიყოლებით ოთხი მეტოქე ჩამოიტოვა და მეხუთე პოზიციაზე აღმოჩნდა. კანადელმა ისეთი ტემპი აიღო, აშკარად მეტის გაკეთებაც შეეძლო, მაგრამ მის წინ გზა „ფერარებითა" და კულჰარდის „მაკლარენით" იყო ჩახერგილი.

ასეთი მშფოთვარე დასაწყისის მიუხედავად, სტარტმა კი არა, მთელმა რბოლამ უავარიოდ ჩაიარა და ამჯერად ერთხელაც არ შემწყდარა. თავიდანვე არ გაუმართლა ერთ-ერთ იუბილარს, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს. გერმანელი პილოტი და ირლანდიელი ედი ირვინი კვირას კარიერაში მე-100 რბოლას ატარებდნენ. ფრენცენმა მხოლოდ ოთხ წრეს გაუძლო და ტრასიდან სულ მცირე მოსრიალებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბრძოლას გამოთიშოდა. სამაგიეროდ, ბოლომდე ყოჩაღად ეჭირა თავი ირვინს — წლეულს პირველად მივიდა ფინიშამდე და მხოლოდ ერთი ადგილი დააკლდა, რომ ქულა მოეპოვებინა.

სტარტზევე ვილნევის იმ უზუსტესი მანევრის შედეგად გამოკვეთილ ხუთეულს პოზიცია ბოლომდე ვერავინ შეურყია, რაც მეტად იშვიათი შემთხვევაა. მართალია, კანადელმა მრბოლმა თავისი დაბადების დღე (ჟაკი კვირას 29 წლის შესრულდა) გამარჯვებით ვერ აღნიშნა, მაგრამ მისი ბოლიდის გადამკიდე ორი ქულაც ურიგო შედეგი არაა.

ათი წრის შემდეგ ჰაკინენი წამნახევრით წინ იყო შუმახერზე, დანარჩენები 15-20 წამით ჩამორჩნენ. ხუთიოდე წრის შემდეგ დაწინაურებულთა შორის სხვაობა არ შეცვლილა, მდევრებთან კი ნახევარ წუთამდე გაიზარდა. კულჰარდი კუდში ეჯდა ბარიკელოს, თუმც გასწრებას მაინც ვერ ახერხებდა, ისე ოსტატურად იცავდა ბრაზილიელი საკუთარ პოზიციას.

24-ე წრეზე ბენზინის საშოვნელად იარნო ტრულის გასეირნების შემდეგ ექვსეულში მისი ადგილი დროებით რიკარდო ზონტამ დაიკავა, მაგრამ მალე გამოეთიშა რბოლას და ჩასათვლელ ზონაში უმცროსი შუმახერი აღმოჩნდა. ამჯერად ფინიშამდე ვერც მან გაძლო და ის ვაკანტური ქულაც საბოლოოდ მიკა სალოს ერგო.

სასტარტო ციებ-ცხელებას თუ არ ჩავთვლით, საათნახევრიანმა რბოლამ საკმაოდ მშვიდად ჩაიარა, თუმცა ბრძოლა წუთითაც არ შეწყვეტილა და საინტერესო საცქერიც იყო. რბოლის ბედი ფაქტობრივად ბოქსებში გადაწყდა. ლიდერებს ამჯერად ერთნაირი — ორი პიტ-სტოპის სტრატეგია ჰქონდათ არჩეული და საბოლოო შედეგიც მექანიკოსების მარიფათზე ბევრად გახლდათ დამოკიდებული. ჯერ კულჰარდი შევიდა საწვავზე (9,0 წამი), შემდეგ ერთდროულად ჰაკინენი (7,6) და შუმახერი (9,9), რის შემდეგ მიკას უპირატესობა ოთხ წამამდე გაიზარდა. შუმის ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვიწრო და დაბალსიჩქარიან მონაკვეთებზე გასწრებას მაინც ვერ შეძლებდა.

გადამწყვეტი აღმოჩნდა საწვავის მეორედ ჩამატების პროცედურა. 43-ე წრეზე ჰაკინენმა 8,3 წამი დაკარგა და ლიდერობა პირველად დაუთმო კონკურენტს. ახლა ყველაფერი შუმახერის მეორე პიტ-სტოპზე იყო დამოკიდებული. „ფერარის" მექანიკოსებსაც თავი არ შეურცხვენიათ — მხოლოდ 6,2 წამით დააყოვნეს ლიდერი და ისიც მიკას ცხვირწინ დაბრუნდა ტრასაზე. მართალია, ფინიშამდე ჯერ საკმაო მანძილი რჩებოდა, მაგრამ მეტოქის გასწრება ჩემპიონის ძალას აღემატებოდა. მან ისღა მოახერხა, რომ წრის რეკორდი დაამყარა და ძალიან მცირედ, მხოლოდ წამით ჩამორჩა გამარჯვებულს.

ბოქსებშივე გაირკვა მესამე პრიზიორის ვინაობაც: ბარიკელო და კულჰარდი ერთდროულად შეჩერდნენ — შესაბამისად 8,6 და 7,1 წამით. ამ უმცირესი სხვაობითაც კი მშვენივრად ისარგებლა შოტლანდიელმა, რუბინიოზე წინ აღმოჩნდა და ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა.

ზედიზედ მესამე, სულ კი 38-ე ეტაპის მოგებით შუმახერმა კიდევ უფრო გაზარდა საერთო ჩათვლაში მდევრებთან სხვაობა. აღსანიშნავია, რომ მის კარიერაში ეს პირველი შემთხვევა არაა — 6 წლის წინ შუმიმ ზედიზედ ოთხი სასტარტო რბოლა მოიგო და ჩემპიონობაც მოიპოვა, ოღონდ „ბენეტონის" ბოლიდით. მიხაელს კარიერაში ზუსტად 600 ქულა დაუგროვდა და მესამე პილოტი შეიქნა, ვისაც ეს მოუხერხებია: [illegible] 14 ქულა და 8 [illegible] ბაპა-აშორებს.

(ცხადია, ჰაკინენიც [illegible] კვირაო შედეგით — პირველად შედგა „იმოლას" პოდიუმის მეორე საფეხურზე და საამისო ექვსი ქულით უპრესტიჟულეს „სამასიანელთა" კლუბშიც ამოყო თავი.

**ირაკლი ნიკოლაძე**

## რბოლის შედეგები

**სან მარინოს დიდი პრიზი**
9 აპრილი. იმოლა
დისტანცია — 62 წრე — 305.609 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:31.39,776 (200,043 კმ/სთ) | 10 ქულა |
| 2. ჰაკინენი (მაკლარენი) | ჩამორჩა 1,168 | 6 ქულა |
| 3. კულჰარდი (მაკლარენი) | 51,006 | 4 ქულა |
| 4. ბარიკელო (ფერარი) | 1.29,276 | 3 ქულა |
| 5. ვილნევი (BAR) | 1 წრით | 2 ქულა |
| 6. სალო (ზაუბერი) | 1 წრით | 1 ქულა |
| 7. ირვინი (იაგუარი) | 1 წრით | |
| 8. დინიცი (ზაუბერი) | 1 წრით | |
| 9. ვურცი (ბენეტონი) | 1 წრით | |
| 10. ჰერბერტი (იაგუარი) | 1 წრით | |
| 11. ფიზიკელა (ბენეტონი) | 1 წრით | |
| 12. ზონტა (BAR) | 1 წრით | |
| 13. მაცაკანე (მინარდი) | 2 წრით | |
| 14. ვერსტაპენი (ეროუსი) | 3 წრით | |
| 15. ტრული (ჯორდანი) | 4 წრით | |

**საუკეთესო წრე**

ჰაკინენი 1.26,523

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| დე ლა როსა (ეროუსი) | გაიარა 49 წრე |
| რ. შუმახერი (უილიამსი) | 45 |
| ალეზი (პროსტი) | 25 |
| ჰაიდფელდი (პროსტი) | 22 |
| ბატონი (უილიამსი) | 5 |
| ჟენე (მინარდი) | 5 |
| ფრენცენი (ჯორდანი) | 4 |

## სტარტზე განლაგება

15 ჰაიდფელდი პროსტი 1.28,361
20 ჟენე მინარდი 1.28,333
21 მაცაკანე მინარდი 1.28,161
11 ფიზიკელა ბენეტონი 1.27,253
10 ბატონი უილიამსი 1.27,135
8 ჰერბერტი იაგუარი 1.27,051
18 ვერსტაპენი ეროუსი 1.26,845
14 ალეზი პროსტი 1.26,824
23 ზონტა BAR 1.26,814
19 დე ლა როსა ეროუსი 1.26,349
17 სალო ზაუბერი 1.26,336
12 ვურცი ბენეტონი 1.26,281
16 დინიცი ზაუბერი 1.26,238
22 ვილნევი BAR 1.26,124
6 ტრული ჯორდანი 1.26,002
7 ირვინი იაგუარი 1.25,929
5 ფრენცენი ჯორდანი 1.25,892
9 რ. შუმახერი უილიამსი 1.25,871
4 ბარიკელო ფერარი 1.25,242
2 კულჰარდი მაკლარენი 1.25,014
3 შუმახერი ფერარი 1.24,805
1 ჰაკინენი მაკლარენი 1.24,714

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.09.00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | | | 30 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 6 | – | 3 | | | | | | | | | | | | | | | 9 |
| 3 ფიზიკელა ბენეტონი, იტალია | 2 | 6 | – | | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 4 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | 6 | | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 5 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | 4 | 2 | – | | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 6 ვილნევი BAR, კანადა | 3 | – | 2 | | | | | | | | | | | | | | | 5 |
| 7 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | – | 4 | – | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 8 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | – | – | 4 | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 9 ტრული ჯორდანი, იტალია | – | 3 | – | | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 10 სალო ზაუბერი, ფინეთი | – | – | 1 | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| ზონტა (BAR, ბრაზილია), ბატონი (უილიამსი, ბრიტანეთი) — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 16 | 10 | 13 | | | | | | | | | | | | | | | 39 |
| 2 მაკლარენი | – | – | 10 | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 3 ბენეტონი | 2 | 6 | – | | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 4 უილიამსი | 4 | 3 | – | | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 5 ჯორდანი | – | 7 | – | | | | | | | | | | | | | | | 7 |
| BAR — 6; ზაუბერი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# მომავლის რეპეტიცია

## ბიჭები მსოფლიოს ჩემპიონატობანას ითამაშებენ

დღეს საქართველოს ჭაბუკ მორაგბეთა ნაკრები საფრანგეთში გაემგზავრა ცხრამეტწლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ტურნირს 13-დან 23 აპრილამდე ბურგუნდია უმასპინძლებს.

ტურნირზე თავმოყრილი 32 გუნდი ორ ჯგუფში განაწილდა. A ჯგუფში უფრო მაღალი დონისა და რეიტინგის გუნდები შეიკრიბნენ. ჩვენებურები კი B ჯგუფში ითამაშებენ.

ჩემპიონატი ოლიმპიური სისტემით ჩატარდება და ჯგუფებში ყველა, თექვსმეტივე ადგილი გათამაშდება. A ჯგუფის გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადდება. ბოლო ორ ადგილზე გასული A ჯგუფს დატოვებს და ადგილს B ჯგუფის ორ გამარჯვებულს დაუთმობს. ამავე ჯგუფის ბოლო ორი მაჩანჩალა უფრო ქვევით, C ჯგუფში ჩაინაცვლებს.

ახლა ცოტა რამ ტურნირის ისტორიიდან. კარგა ხნის მანძილზე მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატი სარაგბო ბობოლების გარეშე მიმდინარეობდა, შემდეგ ისინიც ჩაერთვნენ პირველობაში, რამაც ერთიორად გაზარდა მისი პრესტიჟი. დღესდღეობით ჭაბუკთა ნაკრებების მსოფლიოს პირველობა იმ უმნიშვნელოვანეს ტურნირთა სიაშია, რომელსაც IRB ატარებს.

საქართველოს ნაკრები ამ ჩემპიონატში 1993 წლიდან თამაშობს და ყველაზე უკეთესი შედეგები 1997 და 1998 წელს აჩვენა: პირველად ჩილეში III ჯგუფში I ადგილი დაიკავა, მერე საფრანგეთში, II ჯგუფში ყველას აჯობა. ამ წარმატებამ ჩვენი ჭაბუკები მომდევნო, 1999 წლის ჩემპიონატზე I ჯგუფში მოახვედრა, მაგრამ იქ მათ ადგილი ვერ შეინარჩუნეს და პოლონეთთან წაგების შემდეგ ისევ II ჯგუფში ჩაინაცვლეს.

წლევანდელი ტურნირისთვის ნაკრები შავი ზღვის სანაპიროზე, ბათუმში ემზადებოდა. სანატორიუმ „სპუტნიკში" ჭაბუკ სპორტსმენებს ყოველგვარი პირობა შეუქმნეს ვარჯიშისთვის. ნაკრების მწვრთნელები — დავით კილასონია და ლევან მგელაძე თავიანთი შეგირდების მომზადებით კმაყოფილნი არიან და იმედოვნებენ, რომ ისევ დაიბრუნებენ I ჯგუფში ადგილს.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა 25 ჭაბუკი აარჩიეს საფრანგეთში სასპარეზოდ, საბოლოო 22 კაცს კი, რომლებიც უშუალოდ მატჩებში მიიღებენ მონაწილეობას, ადგილზე შეარჩევენ. დავით კილასონიამ და ლევან მგელაძემ საფრანგეთში ეს მორაგბეები წაიყვანეს: ზურაბ მხეიძე, ვახტანგ შენგელია, აკაკი [illegible], ლევან [illegible]რიძე, დათო ხინჩაგაშვილი, გიორგი წიკლაური, გიორგი ჩხაიძე, დიმიტრი [illegible]ვლოვი, გიორგი [illegible], ზაზა [illegible]ლიშვილი, შოთა საყვარელიძე, შალვა პაპაშვილი, გიორგი კაჭარავა, ვლადიმერ ავლოხაშვილი, ნიკოლოზ ჩიტალაძე, ჯაბა კიზირია, გიორგი გალოგრე, ირაკლი გიორგაძე, ირაკლი მაჩხანელი, შახინ აივაზოვი, ლექსო გუგავა, ზვიად კობერიძე, დათო კილასონია, ირაკლი გუნდიშვილი (კაპიტანი), ლევან ზესაშვილი.

საქართველოს დელეგაციას მიხეილ რობიტაშვილი უხელმძღვანელებს.

**ზაზა ბენიძე**



ქართველი ჭაბუკი მორაგბეები კვლავ ელიტაში მოხვედრას ეშურებიან

**ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის გათამაშების ფორმულა**

| 13 აპრილი | | 16 აპრილი | | 19 აპრილი | | 22 აპრილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| №1 | რუსეთი მადაგასკარი | №9 | №1 — №2 (გ) | №17 | №9 — №11 (გ) | ფინალი №17 — №21 (გ) |
| №2 | უკრაინა პარაგვაი | №10 | №1 — №2 (დ) | №18 | №9 — №11 (დ) | მე-3 ადგილისთვის №17 — №21 (დ) |
| №3 | პორტუგალია ტუნისი | №11 | №3 — №4 (გ) | №19 | №10 — №12 (გ) | მე-5 ადგილისთვის №18 — №22 (გ) |
| №4 | სამოა გერმანია | №12 | №3 — №4 (დ) | №20 | №10 — №12 (დ) | მე-7 ადგილისთვის №18 — №22 (დ) |
| №5 | საქართველო ლიტვა | №13 | №5 — №6 (გ) | №21 | №13 — №15 (გ) | მე-9 ადგილისთვის №19 — №23 (გ) |
| №6 | ტონგა ჰოლანდია | №14 | №5 — №6 (დ) | №22 | №13 — №15 (დ) | მე-11 ადგილისთვის №19 — №23 (დ) |
| №7 | ჩეხეთი მაროკო | №15 | №7 — №8 (გ) | №23 | №14 — №16 (გ) | მე-13 ადგილისთვის №20 — №24 (გ) |
| №8 | პოლონეთი კორეა | №16 | №7 — №8 (დ) | №24 | №14 — №16 (დ) | მე-15 ადგილისთვის №20 — №24 (დ) |

*შენიშვნა: № — მატჩის ნომერი, (გ) — გამარჯვებული, (დ) — დამარცხებული*



DAVIS CUP by NEC

# იანკები ეშაფოტზე

**აშშ 3:2 ჩეხეთი**

პარასკევი: **ანდრე აგასი** (აშშ) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:3, 6:3, 6:3; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — პიტ სამპრასი (აშშ) 7:6 (7:1), 6:3, 6:2.

შაბათი: **ნოვაკი და დევიდ რიკლი** (ჩეხეთი) — ალექს ობრაიენი და ჯერედ პალმერი (აშშ) 7:5, 6:4, 6:4.

კვირა: **აგასი** — ნოვაკი 6:3, 6:3, 6:1; **სამპრასი** — დოსედელი 6:4, 6:4, 7:6 (7:2).

თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს ხანებში ჯონ მაკინროის თავის ანდერძზე, ჟურნალისტებს კი მასზე ნეკროლოგის დაწერაზე მოუწევთ ფიქრი.

როდესაც ლეგენდარულმა ამერიკელმა გასულ შემდგომაზე დიდი ხნის ნატვრა აისრულა აშშ-ის დევისის თასის გუნდის კაპიტნის თანამდებობა მოიპოვა, ვერც კი იფიქრებდა, რა მარყუჟში უყრიდა თავს. მერვედფინალში ამერიკელები ბეწვზე გადაურჩნენ მარცხს ზიმბაბვეში. მაკინროიმ იქ კორტზე იტირა და მისივე თქმით, 5 წლის სიცოცხლე დაკარგა.

ბებერი შარისთავი მაკი მეოთხედფინალში მაინც ელოდა იოლ გამარჯვებას შინ, თანაც საკმაოდ სუსტ ჩეხებთან, მაგრამ ინფარქტამდე ახლაც სულ მცირე დააკლდა.

ამერიკელებმა ამჯერად არაჩვეულებრივ შემადგენლობას მოუყარეს თავი: პირველად თითქმის 20 წლის მანძილზე მათ განკარგულებაში მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნები — ანდრე აგასი და პიტ სამპრასი, ასევე მსოფლიოს საუკეთესო წყვილი იყვნენ.

და მაინც, შაბათის შემდეგ ანგარიში 2:1 იყო სტუმრების სასარგებლოდ, რაც ძირითადად მათი საუკეთესო მოთამაშის, ირჟი ნოვაკის დამსახურება გახლდათ. მან ჯერ ნათესავ-მეგობრების თვალწინ თავის გამოჩენის მსურველ სამპრასს ჩაუშხამა სიამოვნება, მერე კი წყვილებშიც შესანიშნავად გაისარჯა.

მაკინროის ალშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. პრესკონფერენციაზე მან ყველას და ყველაფერს გაჰკრა კბილი — მაყურებლებს არასაკმარისად ხმამაღლა ქომაგობისთვის დაუცაცხანა, ასი ჩეხი უფრო მეტს ხმაურობდაო; ჟურნალისტები გათათხა, შეცდომით სხვა ჰიმნი რომ დავუკარით ჩეხურის ნაცვლად, ყველასთვის არ უნდა მოგვლოთო; თუმცა ყველაზე მწარედ, რა თქმა უნდა, მოთამაშეებს მოხვდა.

„ჩვენ გაფუჭებული ბავშვებივით ვიქცევით. უფრო უნდა მოვინდომოთ იმისთვის, რომ გადავრჩეთ. რატომღაც ყველას ჰგონია, რომ მარტო მრისხანე სახელი და უამრავი ტიტული კმარა მოსაგებად."

კვირას პირველმა აგასიმ ითამაშა, რომელსაც კაპიტნის კრიტიკა ყველაზე ნაკლებად შეეხებოდა. ხოტორა ამერიკელმა, როგორც იქნა, მოარგო გასაღები გადაღლილ ნოვაკს და ანგარიში გაათანაბრა.

მეხუთე, გადამწყვეტი მატჩი კი ამერიკელთათვის კინაღამ კატასტროფულად დაიწყო — მესამე გეიმში სამპრასმა მარჯვენა ფეხის კუნთი დაიჭიმა.

„არც მიფიქრია, თამაშისთვის თავი დამენებებინა და ეს რომც მდომოდა, ჯონი უმალ საკუთარი ხელით დამახრჩობდა. როცა ვუთხარი, ფეხი ვიტკინე-მეთქი, ისეთი თვალებით შემხედა, შემეშინდა. მას ამის მოსმენაც არ სურდა, ტკივილი დაივიწყეო, მითხრა. ადრენალინი არაჩვეულებრივი წამალია, რომელიც არაერთხელ გიხსნის მძიმე სიტუაციიდან" — გაიხსენა მოგვიანებით პისტოლ პიტმა.



პიტ სამპრასი

თუმცა უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონს სწრაფ კორტებზე ყავარჯნებითაც შეუძლია მოგება, თავისი ყუმბარისებური მოწოდებების ხარჯზე. სამპრასს მატჩში 18 ეისი დაუგროვდა, პირველი მოწოდებების განსაცვიფრებელი, 90 პროცენტი ჩააგდო და ჩეხ სლავა დოსედელს შანსი არ დაუტოვა.

„ეს შურისძიების მაგვარი იყო. პარასკევს გამოფიტულად და დაღლილად ვგრძნობდი თავს და ჩემიანების თვალწინ წაგებამ გული ძალიან დამწყვიტა. ამიტომ დღეს ორმაგად მოვინდომე" — განაცხადა სამპრასმა, რომელიც მატჩის დასრულების შემდეგ ტრიბუნებზე ავარდა და მამას, სემს გადაეხვია, მერე კი ეროვნული დროშით ხელში საპატიო წრე დაარტყა.

რაც შეეხება მაკინროის, იგი უკვე ფიქრობს ნახევარფინალზე, სადაც ამერიკელებს უმძიმესი მატჩი ელით სტუმრად ესპანელებთან: „დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიხდა, მაგრამ ყველაზე მეტად ის მაშინებს, რომ წინ კიდევ უფრო რთული შეხვედრებია. მადლიერი ვიქნები, თუ ესპანელები ბალახზე გვეთამაშებიან და არა თიხნარზე."

**ესპანეთი 4:1 რუსეთი**

პარასკევი: **ალექს კორეტხა** (ესპანეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4, 6:3, 5:7, 6:1; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 6:2, 6:2, 6:2.

შაბათი: **კაფელნიკოვი და საფინი** — კორეტხა და ხუან ბალსელსი 7:6 (7:4), 2:6, 7:6 (7:3), 6:4.

კვირა: **კოსტა** — კაფელნიკოვი 6:0, 6:3, 6:0; **ფერერო** — საფინი 6:0, 6:3.

დევისის თასის შეხვედრა ისე არ ჩაივლის, ევგენი კაფელნიკოვმა ვინმე არ მოიმდუროს. შაბათს მარატ საფინთან ერთად წყვილების მატჩის მოგებისა და ანგარიშის შემცირების შემდეგ მან მოულოდნელად განაცხადა, რომ ესპანელთა კაპიტნის, ხავიერ დუარტეს ადგილზე კვირას მის წინააღმდეგ ალბერტ კოსტას გამოიყვანდა და არა ალექს კორეტხას.

„მე რომ არჩევანის უფლება მქონდეს, მათ კაპიტან შამილ ტარპიშჩევს ვეთამაშებოდი" — ირონიულად უპასუხა ჟენიას განაწყენებულმა კორეტხამ.

თუმცა ყველაზე საინტერესო ის არის, რომ კაფელნიკოვის ნათქვამი დუარტეს მართლაც ჭკუაში დაუჯდა. კორეტხას ნაცვლად, რომელსაც რუსთან ხუთივე პირადი შეხვედრა წაგებული ჰქონდა, მან კვირას სწორედ ზემოხსენებული კოსტა ათამაშა.

გადაუღებელი წვიმის გამო კვირას მატჩები 5 საათით გვიან დაიწყო და სველ, კიდევ უფრო დამძიმებულ და შენელებულ კორტზე სოჭელმა ჟენიამ კარიერის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო მარცხიც იწვნია — 0:6, 3:6, 0:6 სულ 75 წუთში.

**ბრაზილია 3:2 სლოვაკეთი**

პარასკევი: **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:1, 7:5, 6:2; **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 2:6, 6:3, 4:6, 7:5, 6:1.

შაბათი: **კუერტენი და ხაიმე ონსინსი** — ჰრბატი და კუჩერა 6:3, 2:6, 6:2, 6:3.

კვირა: **ჰრბატი** — კუერტენი 7:5, 6:4, 7:6 (7:5); **მელიგენი** — კუჩერა 5:7, 7:6 (7:4), 6:2, 6:4.

როგორც წესი, ბრაზილიაში მასპინძლების წინააღმდეგ თამაში თითოეულ მაყურებელთან ბრძოლად იქცევა ხოლმე და გამონაკლისი არც ამჯერად მომხდარა.

ტემპერამენტიანი სამხრეთამერიკელი გულშემატკივრები სლოვაკებს თვალებში სარკით უჭყიტინებდნენ, მოწოდების დროს სტვენასა და ღრიალს არ წყვეტდნენ და თაკარა სიცხეში ლუდით გაჭყეპილები ლანძღვა-გინებასაც არ იშურებდნენ.

ამ ხელჩართულ ბრძოლაში სტუმრები დამარცხდნენ, მაგრამ მატჩის შემდეგ გალიზიანებულები და აგრესიულები რატომღაც ისინი კი არა, მაინც ბრაზილიელები ჩანდნენ. „ნეტავ, ჰრბატი ისევ ისე სარკასტულად იღიმება?" — ეს მასპინძელთა კაპიტნის, რიკარდო ასიოლის სიტყვებია, რომლის გვარიც მის ხასიათს, ეტყობა, კარგად მიესადაგება და რომელიც ნახევარფინალში ავსტრალიელთა იოლი დამარცხებითაც დაიმუქრა.

**ავსტრალია 3:2 გერმანია**

პარასკევი: **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — მიხაელ კოლმანი (გერმანია) 6:1, 6:1, 6:2; **უეინ არტურსი** (ავსტრალია) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 7:6 (7:4), 3:6, 7:6 (7:3), 6:7 (7:9), 11:9.

შაბათი: **პატრიკ რაფტერი და მარკ ვუდფორდი** (ავსტრალია) — პრინოშილი და მარკ-კევინ გელნერი (გერმანია) 6:3, 6:2, 2:6, 6:7 (4:7), 11:9.

კვირა: **რაინერ შუტლერი** — ჰიუიტი 2:6, 6:3, 6:4; **კოლმანი** — არტურსი 7:5, 7:6 (7:5).

**ავთანდილ სვანიძე**

## ველორბოლა



იოჰან მუსეუვი

# ბელგიელის აღდგომა

გუშინწინ ველომრბოლთა დიდი ჯგუფი მსოფლიოს თასის ქულებისთვის ირჯებოდა. თასის მესამე ეტაპი პარიზიდან რუბემდე გაჭიმულ 272 კილომეტრიან ტრასაზე მოეწყო და ბელგიელი იოჰან მუსეუვის გამარჯვებით დასრულდა. „მაპეის“ ამ საჩინო წევრს ეს ეტაპი 1996-შიც მოუგია და იქნებ შემდეგაც არ დაეკლო ხელი, მაგრამ ორი წლის წინ, ერთი რიგითი რბოლისას ველოსიპედი წაექცა და ქვიან ზედაპირს ისე ძლიერ დაენარცხა, ერთი პირობა ფეხის მოჭრას უპირებდნენ. მუსეუვი გადარჩა და გამოჯანმრთელების შემდეგ, როგორც ჩანს, თავისი პროფესიის მწვერვალებსაც უბრუნდება. კვირას იგი შეუდარებელი იყო, აჯობა ცალკე მეტოქეებს და ცალკე — ღონივრად მქროლავ ქარს, ველომრბოლებს წაქცევას რომ უქადდა. სტარტიდან 35 კილომეტრში პელოტონს 12-კაციანი ჯგუფი მოსწყდა და წინ გავარდა. სწორედ ამათში გაიმართა მძაფრი ბრძოლა პირველი ადგილისთვის, რომელიც მუსეუვმა დამაჯერებლად მოიგო. მეორე ადგილზე გასული ბელგიელივე პეტერ ვან პეტეგენი თავისტომს 15 წამით ჩამორჩა. მესამემ უწია ფინიშს გერმანელმა ერიკ ზაბელმა (სამი დღის წინ ცხენს რომ დაეჯახა), რითაც თასის საერთო ჩათვლაში გაბატონებული მდგომარეობა შეინარჩუნა.

მუსეუვს კი უხარია: „ჩემი ცხოვრების ყველაზე ცუდი ორი წელიწადი, მგონი, უკან მოვიტოვე — უთხრა ბელგიელმა მასმედიას — დღევანდელი გამარჯვება რაღაც განსაკუთრებულად მეჩვენება. ამიერიდან, ალბათ, უკეთ წამივა საქმეები“. მუსეუვის საქმეებს მსოფლიოს თასზე ახლაც არა უშავს, სამი ეტაპის შემდეგ მას მეორე ადგილი უკავია.

დავით გულუა

### საერთო ჩათვლა

1 ერიკ ზაბელი (გერმანია, „დოიჩე ტელეკომი“) — 190
2 იოჰან მუსეუვი (ბელგია, „მაპეი“) — 111
3 ანდრეი ჩმილი (ბელგია, „ლოტო-ადესკო“) — 110
4 პეტერ ვან პეტეგენი (ბელგია, „ფარმ ფრაიტსი“) — 94
5 ფაბიო ბალდატო (იტალია, „ფასა ბარტოლო“) — 84

## მძლეოსნობა

# ელიტა გაღმა ირბენს

31-ათასკაციანი არმია დაიძრა 9 აპრილს ელისეს მინდვრებიდან 42 კილომეტრისა და 195 მეტრის გასარბენად. იმათგან ნახევარიც ვერ უწევდა ფინიშს, მაგრამ რახან მკითხველს ფიზკულტურელებზე მეტად ნაღდი სპორტსმენების ამბავი აინტერესებს, ჩვენც პარიზის მარათონის მოწინავეებზე ვთქვათ.

სტარტზე ყველაზე შთამბეჭდავი ექსბელგიელი, ახლა ფრანგი და გვარით აშკარად არც ერთი და არც მეორე, ბენუა ზვირჩლევსკი გახლდათ. დასაწყისში მისმა გამალებულმა სირბილმა ის მოიტანა, რომ 20 კილომეტრის შემდეგ უახლოეს მდევარს 15 წამს უგებდა, ხოლო 25-ე კილომეტრის ბოლოს დანარჩენები ლამის ჰორიზონტზე აღარ ჩანდნენ. შემდეგ ბენუამ მხრები ჩამოყარა. ამ მონდომებულ რბოლაში ისე დაღლილიყო, რომ უკვე კენიელი გოდფრი კიპროტიხის ზურგს უჭვრეტდა. ზვირჩლევსკიმ კიპროტიხს ბოლოს კი გაუსწრო, მაგრამ ეს უკვე უინტერესო ისტორიაა, რახან ფინიშზე მისულმა იქ უკვე რვა მეტოქე იხილა. მათგან ნანატრი ხაზი პირველს ფრანგსავე მოჰამედ ოუაადის გადაელახა გვარიანი შედეგით — 2 საათი, 8 წუთი და 49 წამი. ოუაადიმ ფინიშამდე 7 კილომეტრით ადრე აიწყვიტა და საბოლოოდ უახლოეს მდევარს 21 წამი მოუგო. „ყველაფერი გეგმის მიხედვით გავაკეთე და გამომივიდა — თქვა ოუაადიმ — უდიდესი გამარჯვება მოვიპოვე“. ოუაადი სიდნეის ოლიმპიადაზეც გამოვა, ოღონდ იქ მისი გამარჯვების იმედი ნაკლებადაა, პარიზში ხომ, რჩეულებს თითქმის არ ურბენიათ. აი, ენის გასატეხი გვარებისგან შემდგარი საუკეთესო ხუთეულიც: მოჰამედ ოუაადი (საფრანგეთი), სამუელ ოტიენო (კენია), აბდელა ბეჰარი (საფრანგეთი), ზებედაია ბაიო (ტანზანია), მვენზე კალომბო (კონგო). ამჩნევთ ისეთს, ვისი გვარიც ორჯერ მაინც გსმენიათ? არა მგონია, ამიტომ არც ოუაადის გამარჯვებას შეიძლება ეწოდოს მაინცდამაინც ისტორიული, ისევე როგორც ქალებში ბელგიელი მერლეენ რენდერსის წარმატებას. მათ თავიანთი საქმე გააკეთეს, ორივემ 150-150 ათასი ფრანკი ჩაიჯიბა და მარათონულ სტატისტიკაშიც მოიხვედრა თავი. ესაა და ეს. მორბენალთა ელიტამ კი პარიზს უგანა და როგორც ამბობენ, შეიძლება ლა მანშის გაღმა გამოჩნდეს. ლონდონის სახელგანთქმული მარათონი 16 აპრილსაა დანიშნული.

დავით გულუა

## ჰოკეი

# გლადიატორები დაწყვილდნენ

7 აპრილი

**დეტროიტი — ვაშინგტონი 2:4**

0:2 1:2 1:0

0:1 იუთსი 2'59 (15); 0:2 ზედნიკი 19'10 (18); 0:3 ნიკოლიშინი 22'46 (10); 0:4 ნიკოლიშინი 25'54 (11); 1:4 ლ. მერფი 28'31 (10); 2:4 ლარიონოვი 41'28 (9)

**ბუფალო — პიტსბურგი 1:2**

0:1 1:0 0:0 0:1

0:1 ტრებილი 1'38 (1); 1:1 ვარადა 30'30 (10); 1:2 იაგრი 60'13 (42)

**ვანკუვერი — ედმონტონი 4:5**

2:1 1:0 1:3 0:1

0:1 ჰამრლიკი 6'14 (8); 1:1 მესიე 10'47 (17); 2:1 დრაკენი 19'01 (7); 3:1 პედერსონი 38'19 (6); 3:2 გერინი 48'52 (24); 3:3 უეიტი 54'51 (20); 3:4 მარჩანტი 55'48 (17); 4:4 კესელსი 59'49 (16); 4:5 რ. მიურეი 64'01 (8)

**ლოს ანჯელესი — დალასი 3:2**

2:0 1:1 0:1

1:0 მოდრი 7'06 (5); 2:0 ლაპერიე 17'13 (9); 3:0 კარალაჰტი 23'49 (6); 3:1 მიულერი 28'14 (6); 3:2 მიულერი 58'46 (7)

**ფინიქსი — სან ხოსე 1:3**

0:1 1:1 0:1

0:1 ჰარვი 9'48 (11); 0:2 მატო 27'36 (12); 1:2 დრეიკი 28'47 (15); 1:3 სუტერი 48'19 (6)

**კალგარი — კოლორადო 1:3**

1:0 0:0 0:3

1:0 იგინლა 1'32 (29); 1:1 საკიკი 46'27 (28); 1:2 ობენი 48'02 (1); 1:3 ჰეიდუკი 59'48 (35)

**ნეშვილი — ანაჰაიმი 1:5**

1:1 0:3 0:1

1:0 ფიცჯერალდი 6'03 (13); 1:1 რუჩინი 11'33 (18); 1:2 კარია 20'18 (40); 1:3 აალტო 26'16 (7); 1:4 რუჩინი 31'41 (19); 1:5 კარია 42'57 (41)

**სენტ ლუისი — ჩიკაგო 3:3**

2:1 1:0 0:2

0:1 ამონტე 1'43 (43); 1:1 ნადი 2'49 (2); 2:1 რიზონერი 16'53 (10); 3:1 მაიერსი 21'36 (7); 3:2 სალივანი 56'31 (21); 3:3 ჟამნოვი 59'12 (22)

**აილენდერსი — ტორონტო 1:2**

0:1 1:1 0:0

0:1 კოროლიოვი 17'10 (20); 0:2 ტომასი 31'39 (25); 1:2 ორსაგი 33'26 (2)

8 აპრილი

**ნიუ ჯერსი — ფლორიდა 2:1**

0:1 1:0 0:0 1:0

0:1 უიტნი 14'30 (29); 1:1 არნოტი 39'24 (21); 2:1 არნოტი 60'47 (22)

**ფილადელფია — ბოსტონი 3:0**

0:0 0:0 3:0

1:0 იტონი 42'06 (1); 2:0 რეკი 54'03 (27); 3:0 ლეკლერი 59'07 (40)

**ატლანტა — კაროლინა 3:4**

1:2 2:2 0:0

0:1 რობერტსი 0'24 (22); 0:2 ტანაბე 11'07 (4); 1:2 ოდეტი 17'12 (18); 2:2 ბრიუხეტი 21'26 (23); 2:3 რობერტსი 26'54 (23); 2:4 კაპანენი 29'37 (24); 3:4 ფ. კაბერლე 50'52 (1)

**მონრეალი — ოტავა 1:3**

0:1 0:1 1:1

0:1 არვედსონი 15'08 (14); 0:2 მილერი 22'03 (3); 0:3 ალფრედსონი 50'47 (21); 1:3 დაიჰიუსი 58'21 (7)

**ტორონტო — ტამპა 4:2**

1:1 3:0 0:1

1:0 ანტროპოვი 11'28 (12); 1:1 ჰოლცინგერი 19'30 (10); 2:1 სუნდინი 25'04 (32); 3:1 ტომასი 34'35 (26); 4:1 ტაკერი 38'59 (21); 4:2 მ. ჯონსონი 52'24 (21)

**კალგარი — ედმონტონი 3:6**

0:0 1:3 2:3

0:1 კლირი 27'44 (3); 0:2 სელივანოვი 30'53 (25); 1:2 სავარი 36'55 (22); 1:3 რ. მიურეი 37'43 (9); 2:3 ნაზაროვი 42'04 (10); 3:3 ვარლამოვი 44'16 (3); 3:4 სელივანოვი 50'02 (26); 3:5 უეიტი 54'42 (21); 3:6 სელივანოვი 59'28 (27)

9 აპრილი

**კაროლინა — ატლანტა 2:1**

1:0 1:0 0:1

1:0 კოფი 6'21 (10); 2:0 კოფი 23'27 (11); 2:1 ოდეტი 59'01 (19)

**ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი 3:4**

1:0 1:1 1:2 0:1

1:0 კარია 7'58 (42); 1:1 ტუომაინენი 32'34 (9); 1:2 სელიანე 36'58 (32); 2:2 კორკამი 42'14 (5); 2:3 რ. ბლეიკი 43'56 (18); 3:3 სელიანე 48'54 (33); 3:4 გ. მიურეი 41'06 (29)

**ოტავა — ტამპა 5:2**

2:0 2:0 1:2

1:0 იორკი 2'35 (8); 2:0 არვედსონი 10'11 (15); 3:0 ვან ალენი 24'21 (9); 4:0 ბონკი 35'55 (23); 4:1 დრულია 50'38 (11); 4:2 შვეიკოვსკი 55'11 (6); 5:2 ჰოსა 58'41 (29)

**ჩიკაგო — სენტ ლუისი 3:1**

0:1 1:0 2:0

0:1 პეხტი 16'14 (13); 1:1 სალივანი 25'32 (22); 2:1 მარჰა 47'32 (10); 3:1 ნიულანდერი 59'05 (24)

**კოლორადო — დეტროიტი 3:2**

2:0 0:1 1:1

1:0 ჰეიდუკი 3'28 36); 2:0 ობენი 15'09 (2); 2:1 შენაჰანი 21'03 (41); 3:1 ტანგეი 45'44 (17); 3:2 რესტი 59'56 (7)

**დალასი — ფინიქსი 2:2**

1:0 1:2 0:0 0:0

1:0 კინი 6'43 (13); 2:0 ლიაშენკო 23'43 (6); 2:1 დოუნი 28'39 (26); 2:2 ბრირი 30'46 (1)

**ბოსტონი — პიტსბურგი 3:1**

2:1 1:0 0:0

0:1 მოროზოვი 7'20 (12); 1:1 ლააკსონენი 9'40 (5); 2:1 ლააკსონენი 18'01 (6); 3:1 ტორნტონი 37'54 (23)

**სან ხოსე — ვანკუვერი 2:5**

0:3 1:0 1:2

0:1 სოპელი 7'42 (2); 0:2 ბერტუცი 8'27 (25); 0:3 მეი 18'21 (9); 1:3 დამფუსი 24'50 (21); 1:4 კლეტი 54'14 (10); 2:4 შტურმი 58'58 (12); 2:5 კესელსი 59'28 (17)

**აილენდერსი — ფლორიდა 3:2**

0:0 2:1 1:1

0:1 პ. ბურე 28'18 (58); 1:1 ჩერკავსკი 32'28 (33); 2:1 ჩერკავსკი 34'08 (34); 3:1 ჩერკავსკი 47'13 (35); 3:2 სილინჯერი 52'55 (23)

**რეინჯერსი — ფილადელფია 1:4**

0:0 1:2 0:2

0:1 რეკი 20'45 (28); 0:2 ლენგკოუ 25'38 (18); 1:2 დიმაიო 39'12 (6); 1:3 დესარდენი 50'57 (14); 1:4 ბერუბი 59'50 (4)

**ვაშინგტონი — ბუფალო 1:1**

0:0 0:0 1:1 0:0

0:1 ბარნსი 42'18 (20); 1:1 ზედნიკი 45'36 (19)

დასრულდა ნჰლ-ის მორიგი რეგულარული ჩემპიონატი და ამიერიდან ქომაგნი საპლეიოფო ბატალიებს მიაპყრობენ ყურადღებას. როგორც ყოველთვის, პირველობამ ბოლომდე შეინარჩუნა ინტრიგა — ბოლო დღემდე ორივე კონფერენციაში დარჩა თითო-თითო თავისუფალი საპლეოფო ადგილი.

ჯერ დასავლეთ კონფერენციაზე ვთქვათ — პარასკევს, უაღრესად საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში ედმონტონმა თავის მთავარ კონკურენტ ვანკუვერს სძლია და ზედიზედ მეოთხედ დაეუფლა საპლეიოფო საგზურს. თანაც 49-ე წუთამდე ვანკუვერი 3:1 იგებდა და თითქოსდა ხელთ ეპყრა მატჩის სადავეები, მაგრამ შვიდიოდ წუთში ედმონტონმა 3 უპასუხო შაიბა შეაგდო და დაწინაურდა, თუმც ყველაფერი ამით როდი დასრულდა. ძირითადი დროის ბოლო წამებზე მასპინძლებმა მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალეს და ანგარიში გაათანაბრეს. ოვერტაიმში ვანკუვერმა, რომელსაც მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, კვლავ შეცვალა მეკარე, მაგრამ ამჯერად აღარ გაუმართლა, შაიბა საკუთარ კარში მიიღო და მარკ მესიეს გუნდი საბოლოოდ დაემშვიდობა პლეი ოფს.

დაძაბული გამოდგა ბრძოლა აღმოსავლეთშიც. იღბლიანი გუნდი კვირას გამოვლინდა. კაროლინამ, რომელსაც აუტსაიდერ ატლანტასთან ორმატჩიანი დუელი ჰქონდა, ყველაფერი გააკეთა, რათა საგზურის მოპოვების მთავარ პრეტენდენტ ბუფალოსთვის საქმე გაერთულებინა. „ქარიშხლებმა“ მართალია დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ორივე მატჩი მოიგეს მაშინ, როცა აქამდე გმირულად მებრძოლმა მონრეალმა გადამწყვეტი ნაბიჯი ვერ გადადგა და ოტავას უსიტყვოდ დანებდა. საგზურის ბედი ბუფალოს ხელთ აღმოჩნდა და „ხმლებმა“ საბოლოოდ გადაწყვიტეს ამოცანა, თუმც დიდი ძალისხმევის ფასად. პარასკევს „პიტსბურგთან“ დამარცხების მერე, კვირას როგორც იქნა, „ვაშინგტონთან“ სასურველი ქულა ირგუნეს და საუკეთესო თექვსმეტეულშიც ამოჰყვეს თავი. პლეი ოფის მატჩები 12 აპრილს დაიწყება.

სამველ ლარიბიანი

### სატურნირო ვითარება

აღმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 82 | 45 | 12 | 3 | 25 | 237:179 105 |
| ვაშინგტონი | 82 | 44 | 12 | 2 | 26 | 227:194 102 |
| ტორონტო | 82 | 45 | 7 | 3 | 30 | 246:222 100 |
| ნიუ ჯერსი | 82 | 45 | 8 | 5 | 29 | 251:203 103 |
| ფლორიდა | 82 | 43 | 6 | 6 | 33 | 244:209 98 |
| ოტავა | 82 | 41 | 11 | 2 | 30 | 244:210 95 |
| პიტსბურგი | 82 | 37 | 8 | 6 | 37 | 241:236 88 |
| ბუფალო | 82 | 35 | 11 | 4 | 36 | 213:204 85 |
| კაროლინა | 82 | 37 | 10 | 0 | 35 | 217:216 84 |
| მონრეალი | 82 | 35 | 9 | 4 | 38 | 196:194 83 |
| რეინჯერსი | 82 | 29 | 12 | 3 | 41 | 218:246 73 |
| ბოსტონი | 82 | 24 | 19 | 6 | 39 | 210:248 73 |
| აილენდერსი | 82 | 24 | 9 | 1 | 49 | 194:275 58 |
| ტამპა | 82 | 19 | 9 | 7 | 54 | 204:310 54 |
| ატლანტა | 82 | 14 | 7 | 4 | 61 | 170:313 39 |

დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 82 | 51 | 11 | 1 | 20 | 248:165 114 |
| დალასი | 82 | 43 | 10 | 6 | 29 | 211:184 102 |
| კოლორადო | 82 | 42 | 11 | 1 | 29 | 233:201 96 |
| დეტროიტი | 82 | 48 | 10 | 2 | 24 | 278:210 108 |
| ლოს ანჯელესი | 82 | 39 | 12 | 4 | 31 | 245:228 94 |
| ფინიქსი | 82 | 39 | 8 | 4 | 35 | 232:228 90 |
| ედმონტონი | 82 | 32 | 16 | 8 | 34 | 226:212 88 |
| სან ხოსე | 82 | 35 | 10 | 7 | 37 | 225:214 87 |
| ანაჰაიმი | 82 | 34 | 12 | 3 | 36 | 217:227 83 |
| ვანკუვერი | 82 | 30 | 15 | 8 | 37 | 227:237 83 |
| ჩიკაგო | 82 | 33 | 10 | 2 | 39 | 242:245 78 |
| კალგარი | 82 | 31 | 10 | 5 | 41 | 211:256 77 |
| ნეშვილი | 82 | 28 | 7 | 7 | 47 | 199:240 70 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 96 (42+54); პ. ბურე (ფლორიდა) 94 (58+36); რეკი (ფილადელფია) 91 (28+63); კარია 86 (42+44); სელიანე (ორივე ანაჰაიმი) 85 (33+52); ნოლანი (სან ხოსე) 84(44+40); ამონტე (ჩიკაგო) 84 (43+41); მოდანო (დალასი) 81 (38+43); საკიკი (კოლორადო) 81 (28+53); აიზერმანი 79 (35+44); შენაჰანი (ორივე დეტროიტი) 78 (41+37); რენიკი (ფინიქსი) 78 (34+44); ლეკლერი (ფილადელფია) 77 (40+37); ვ. ბურე (კალგარი) 75 (35+40); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 74 (36+38).*

### პლეი ოფის პირველი რაუნდი

**აღმოსავლეთი**

ფილადელფია — ბუფალო
ვაშინგტონი — პიტსბურგი
ტორონტო — ოტავა
ნიუ ჯერსი — ფლორიდა

**დასავლეთი**

სენტ ლუისი — სან ხოსე
დალასი — ედმონტონი
კოლორადო — ფინიქსი
დეტროიტი — ლოს ანჯელესი


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ზზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო ჰოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
მხატვრული რედაქტორი გოჩა რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვარაცხელია, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება [illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli